

ස්ථාන මෙහෙයු

300 ලේඛන

වෘත්තිය ප්‍රාග්ධනය

වෘත්තිය ප්‍රාග්ධනය



ଶ୍ରୀମଦ୍ଭଗବତ



ଅମ୍ବାଳେ 2022

ქეთევან დოლიძე – პოეტი, მწერალი, პროფესიით ფილოლოგი, ფოლკლორისტი.

დაიბადა თბილისში 1968 წლის 11 ნოემბერს. დაამთავრა იგ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი. მისი ლექსები და წერილები 90-იანი წლებიდან იძექდება ქართულ პერიოდულ პრესაში. გამოცემული აქვს წიგნები: „მაინც გათენებას ველოდები“ (1992 წ.), „შავი ქრიზანთემები“ (1995 წ.), მითოლოგიური პოემა „დალი“ (1996 წ.), „ქალი-კენტავრი“ (2006 წ.), „კონკიას ქოში“ (2008 წ.), „ზეცის სარკეში“ (2013 წ.), „ხუთი ზღაპარი“ (2015 წ.), „მარადიული უანგბადი ელიზაბეტ ბლექველის ჰოსპიტალში“ (2019 წ.). მისი სახელი შეტანილია იენის უნივერსიტეტის პროფესორის ჰაინც ფერიხის მიერ გერმანიაში გამოცემულ „ქართველ მწერალთა კატალოგში“ (1993 წ.). მიღებული აქვს გურამ რჩეულიშვილის საუნივერსიტეტო და „შოთაობის“ (1) პრემიები. 2021 წელს კი დიდგორის ბრძოლის ძლევამოსილი გამარჯვების 900 წლისთავისადმი მიძღვნილი პატრიოტული ლექსების კონკურსზე „ძლევაზ საკვირველი“ წარმოდგენილი საუკეთესო ნანარმობებისათვის დაჯილდოვდა დავით ალმაშენებლის ოქროს მედლით. არის საქართველოში პირველად „ზღაპრის სახლისა“ და ზოგადად, ლიტერატურაში „თეორი პროზის“ დამფუძნებელი.

მუშაობდა საბავშვო უურნალ-გაზეთების რედაქციებშიც, წერს ზღაპრებს და საბავშვო ლექსებსაც... იგი ორიოდე წელია, რაც მხატვრობას ეზიარა და შეეცადა თავისი ლექსებიდან წამოსული განცდები და ემოციები თქვენთვის ჩანახატებად ექცია.

„300 ლექსი და ერთი პოემა სიყვარულზე“ მისი მეცხრე წიგნია, რომელიც პირველად ავტორისეული ჩანახატებით არის წარმოდგენილი.

300 ლექსი და ერთი პოემა სიყვარულზე

რედაქტორი: მარიამ ჭაფარიძე

გარეკანის, ფორმაციისა და

ჩანახატების ავტორი: ქეთევან დოლიძე

დიზაინერი: გიორგი ჩიქვინიძე

© ქეთევან დოლიძე

© გამომცემლობა „მერიდიანი“ 2022



დაგენერაცია: გამომცემლობა „მერიდიანი“,
თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზ., №47. 239-15-22
E-mail: meridiani777@gmail.com

ISBN 978-9941-34-078-9

სარჩევი

პროლოგი

თეთრი პროზა

შროშანების დღესასწაულზე....9

300 ლექსი სიყვარულზე

ლირიკის რიკულები	13
ფოტოზე.....	14
ცრემლისოფელი.....	15
ყვავილის ლექსი.....	16
ჩამოილალოს იქნებ ზეცა	17
ფესვებით კოცნა	18
თენდება...	19
ნიკალას.....	20
ფიქრებს მოვრეკავ.....	21
ჩემო არღანო.....	22
ჩვენი სახლი	23
სად არის.....	24
ზამთარში მოლი	25
ღვთის საჩუქარი	26
ღრუბლის ბუდიდან.....	27
მზესავალი.....	28
ჩემი მონადირე	29
ცელქი	30
რატომ მიყვარხარ ასე ძალიან	31
დადგა მაისი	32
შეხვედრა	33
სიყვარულის მზე	34

ჩიტი-კონკია	35
ბოლო წვეთი	36
გულის თონიდან	37
სანამ კიდევ.....	38
ეჭვი.....	39
ტრფიალისფერით	40
ივლისის ნიავი	41
ფიქრებს დაგიცხობ	42
მიმწუხრის მერეც.....	43
ჩაგიშაქრდები.....	44
ჩიტები.....	45
ნადირთპატრონი გფარავდა	46
ცერცვის მარცვალი – ბედნიერება	47
მზეო, უთხარი.....	48
ჩემს ბედისწერას	49
ლექსის კვირტები	50
ლალი სული	51
ფერად ქარებად	52
სიყვარულის ანაბარა.....	53
ტრფობის მინდვრები	54
კვირტები შეფოთლეს	55
ვაფერადებ	56
თოვლის მინდორი	57
ფიფქის ფარაზე	58
პატარა მზეები	59
ქვესკნელსამც გააკვირვებდის	60
რა გეშველება...	61

წყალში ქვიშობა	62	ნუ გაგიკვირდება	92
უნდა გამზარდო.....	63	მოვფრინავ	93
ერთი სფირიდი.....	64	შენც ასე ფიქრობ?	94
ტანიე	65	უკვე დამხატე.....	95
შენ და ალუბლები	66	წასვლა თუ დარჩენა.....	96
სიტყვის ჩუქურთმიდან	67	მიწის ანგელოზი.....	97
იცი, როგორ დავიღალე.....	68	ცაზე არჩვები.....	98
სიყვარული.....	69	ლექსების ფარდაგები.....	99
ცის მინანქარი.....	70	შოკოლადის ფერი	100
ტანიეს ნისლები წოლილან.....	71	როგორ იძინებენ	101
ბედის ბალეტი.....	72	მიპოვი.....	102
საცხოვრისი და სათოფური.....	73	ყოველ წუთას სიცოცხლე	104
ქილით გამატან	74	ნაწვიმარი ქუჩა	105
გუდამაყარში.....	75	სიყვარულს არა აქვს	
ნატვრა	76	საზღვრები	106
ღრუბელს გადავწევ	77	მუფარახი	108
მე ვარ ცუნამი.....	78	ცის კიბით	109
განსხვავებული დღე	79	სიყვარულის ვიმღერეთ	110
მზის ათინათთან	80	უფლის ბეღურები	111
რა მოგიტანო...	81	სიყვარულის ნადავლი	112
მზესასწაული	82	ჩემი ამინდი	114
საკურნებელი	83	ორქიდეას მარხილით	115
სიყვარულის ხურჯინი	84	კვნიწილა	116
შეგეფინები კონახურებად	85	გაწეწილი ბეღურები	117
თეთრი გედები	86	ვემშვიდობები წკვარამს	118
ჩემსავით	87	მითხარი...	119
დაფნის ტოტებში	88	სამი კაკალი	120
მთაზე ბოლავენ ნისლები	89	როდესაც ჩემზე იფიქრებ	121
ვინ არის	90	ზაფხულის ქუჩა	122

სად წაგიყვანო.....	124	ამარანტების პიკით	153
შეყვარებულებს.....	125	გაზაფხულების თექა	154
შანდალი.....	126	საქანელა ზეცა	155
სამი დღის მერე.....	127	ქოლგა	156
მიდის შემოდგომა	128	ეჭვიანობისა	157
მცხობელი	129	უასმინის რტო	158
გადახდილი ფიქრი	130	გარბის დრო	159
ბედისწერის ფუნჯი	131	ბედისწერის ჩრდილში	160
მონატრება	132	გულის სასახლეში	161
ასე მგონია	133	უქოლგობის ხნის.....	162
ხელები შენი	134	შენიერთა კოშკი	163
ფრიალო კლდეზედ	135	ცაში გადაწყდა	164
მაინც სველია სიყვარული	136	სიყვარულის კოცონი	166
უშენობის ქარი	138	ლექსებით ბოდვა	167
პოეზიის ზარები	139	ვიფუტკე	168
პალიმფსესტი	140	გადაწყდა	169
ზეციურ ტყეში	141	წვიმამშვიდობის	170
ციცინათელებად დამყვებიან	142	როშკიონი სამყურები	171
წვიმის ყვავილი	143	გვირილის ფურცლების მირქმამდე	172
შენი ფერი	144	წითელ ქოლგიდან	173
გული-კალამი	145	რიბირაპოთი	174
გულის ბილიკი	146	წვიმების ნოხები	175
უფრო გერბერის	147	კამელია	176
მოდის აპრილი	148	წვიმაში დაწერილი	177
სიყვარულის ქურდები	149	ლექსების სარეცხი	178
წკაპუნობს წვეთი	150	ვინ ხარ?	179
ციხესიმაგრე	151	წერილი ალოეს ეკლიან ფოთლებზე	180
ცისარტყელების ბალში	152		

სიყვარულის ფიქლები.....	181	პაუზის მერე.....	210
ჰიმნი სიყვარულს	182	ქარს შევატოვებ ერქვანს	211
პაუზა	184	ქარიშხალი მოგინანიებს	212
მაჩიტას ზანზალაკი.....	185	თუკი მომისწარი	213
ლექსების ნაწვეთარაზე.....	186	ისევ წერილი	214
მოწნული თოკით.....	187	მზის აბაზანები	215
უამიდან უამად	188	სიტყვის მარეკად	216
ნეტა იცოდე.....	189	მე ნაწვიმარი ფრთებიც	
ორი ტოტი.....	190	მეყოფა.....	217
ორნი	191	ქაცვი თუ ლელი?	218
შავი მოცვები	192	სამყურას სუნი	219
ბოლო ფურცელი.....	193	სხეულში უკვე ვეღარ ვეტევი	220
მიღეულ მთვარემდე	194	შენ თუ გგონია	221
აბრეშუმის ჭია	195	წლების შემდეგ წასაკითხავი	222
სიყვარულის წვიმა	196	ღამის პალიტრაზე.....	223
სულის ხეობა.....	197	არ მყოფნის ძალა.....	224
არ მიგატოვებ	198	ქისტები, ცხენები,	
სრულად მეწილე	199	ღრეობა აულის.....	225
სიყვარულის კორიანტელი	200	მასწავლეთ მოთმინება	226
სიჩუმე ხმაურობს.....	201	ციცინათელას ღამე.....	227
თუ უჭირს მიჯნურს.....	202	შენ ერთგულება არ მაპატიე	228
გონებას ღამით ღვიძავს.....	203	კესანე	229
თუკი მიმიხედავ...	204	მოვარდა ქარი მსტოვარი	230
ხარ უთბილესი და		მიყვარხარ	231
ხანაც ცივი	205	წერილი	232
ღამეს უთევს.....	206	როცა მოგენატრო	233
წიო-წიოდან.....	207	სიჩუმის ლოცვა.....	234
თუ გინდა, აუშვი აფრა	208	ამაოდ ვეძებ	235
სად ცხოვრობს სიყვარული?	209	მეგობრის ბარათიდან.....	236
		განთიადისას	

ძელიცხოველთან.....	237	სხვა არაფერი.....	262
დარდის წინდები	238	ლექსების გუდა	263
ნუ დამპირდები	239	ლექსის ჭირნახული	264
დღესაც უკრავდა ვიღაც		ნახატი „შემოდგომა“	265
„ელიზეს“.....	240	ხევსურეთისკენ	266
ბედნიერება	241	მეთოვლიებით	268
ნაზამთრალ ბალებში	242	შუადღე შარახევს	269
მცნობდა შენი ძალლი.....	243	თუკი სიყვარული	270
თეთრ ედელვაისებს დაგიკრევ		ნეტავი, ვინ არის.....	271
მთებიდან	244	ქვებზე ძველია	272
ქარებმა ეს ღამეც მინალეს	245	მახსენდება, როგორ არა	273
ამ დღესაც მიითვლის ზეცა.....	246	ახალწლის ღამეს	274
ცოტა ხანს მაინც	247	ზღაპარი იქნება.....	275
ქალი-კენტავრი	248	ნახე? როგორ დნება თოვლი	276
გადავიღალე ქარის თარუშით	249	ბონაპარტული	277
ქარიშხალში მაძიებლის		უშენობას გავექცევი მთებში	278
წერილიდან.....	250	რატომ გეგონა	279
წუთისოფლის ბატონები.....	251	მზე ჩადგა	280
სულის ბარათი	252	ფარდა	281
ყველაფერს და არაფერს	253	მელანქოლია	282
იცი?	254	ცეცხლის შუქურად	284
ერთი სიტყვა	255	ისევ ნილოსი	285
არ დაიჯერებ	256	ნეტავ იმ ჩიტს	286
დღელამსამოსი	257	ფიცარზე დაწერილი	287
ბევრჯერ იზამთრებს.....	258	დედას გაფიცებ	288
იყვავიღებენ ნარიყალები.....	259	როგორ მოგძებნო	289
უ-უმნიფესი.....	260	ყოველ დილას, ექვსისთვის	290
მოღლილი ფრთებით		ზეცის ყვავილები	291
მოვედი შენთან	261		

მოვიხევსურე გუდანი.....	292	მზე უყვარს ბრონეულს.....	321
სიყვარულის ტაძარი	293	უყელსაბამოდ	322
სიყვარული იბუდებს	294	სთხოვე მებორნეს	323
შობის ხე.....	295	დალი	
სანათი სალამპრეზე	296	მითოლოგიური პოემა	325
შინ შემოვიყვან.....	297	ეპილოგი	
დედა ქიონია, ილოცე მისთვის.....	298	თეთრი პროზა	
არ მინდა სიცოცხლე უშენოდ	299	შინ – ბრონეულში	413
ვერტყვიჭალელო	300		
ნეკნივით	301		
სულის წვიმა	302		
კავშირი სულთა.....	303		
ღრუბლის ოლარი.....	304		
სკელია მიწა	305		
სულის ტოლო	306		
ბეწვის ხიდისკენ.....	307		
იყოფა წვიმა	308		
სიჩუმის ვიტრაჟი	309		
იმედის სამოსახლო	310		
გული ქვაში	311		
ზეცა იყვავილებს	312		
ვგროვდები საშენოდ	314		
არც მიტრედი...	315		
ნაკაფი ხე-ტყე	316		
მზემ მოიტაცა.....	317		
ცის იქით.....	318		
ცრემლის პურები	319		
თოვლია წყნეთში	320		



პროლოგი

შროშანების დღესასწაულზე

თეთრი პროზა

წამოხვალ საფრანგეთში შროშანების დღესასწაულზე? მოვრთათ ბუხრები, ფანჯრები, მაგიდები... დაკურიფოთ თაიგულები, ქარი დაუკრავს შინდის ფლეიტას, ტყე ვიოლინოებს ააშრიალებს. ჩვენ კი ვიცელქოთ, დიდხანს ვიცეკვოთ და ცეკვისას გავცვალოთ შროშანების მარგალიტები. –

გახსოვს, ეს სიტყვები... და სიყვარულის შრიალმა ტყის შრიალივით გადაგვიარა, ჩაგვებუდა, დაგვიმორჩილა შეპყრობილივით...

ჩვენ არ წავსულვართ საფრანგეთში, არც შროშანები დაგვიკრეფავს, მაგრამ მაშინვე შროშანების დღესასწაული წამში მოვიწყეთ. ხელისგულები ერთმანეთს ჩავახუტეთ და ორი მუჭა ერთმუჭა, დიდგულად ვიქეცით.

სწორედ ამ გულში დატრიალდა შროშანების დღესასწაული. მოვრთეთ ბუხრები, მაგიდები, ფანჯრები... შროშანების მარგალიტებით მოფენილიყო გულის ხიდები და მდინარე შროშანების სადა ბზინვარებით ბრწყინვადა.

ქუჩები? – გულის ქუჩებიც მოკირწყლული შროშანებისგან...

მოვრთეთ ბალები, თალები და ვიყავით უსაშველოდ ლალები... და ჰოი, საოცრებავ! – ციდან შროშანების გრილი თოვლი მოდიოდა, გულის მწვერვალებზე ეფინებოდა, გულის უფსკრულები კი პანაწინა, უთეთრესი ზანზალაკებით ამოვსებულიყო. შროშანებით მოწნული გვირგვინებიც გვემოსა თავზე.

გეონებოდა გულმა მოისხა, – გულის ცაზე ჩამოვკიდეთ შროშანების საქანელები... და ვქანაობდით, ვქანაობდით დაუსრულებლად და თეთრ ქარებს ვეჯიბრებოდით სურნელების გაქროლებაში.

შროშანებიან თოკის სიგრძეს თვალს ვერ ვუწვდენდით და ცის სიღრმეში იკარგებოდნენ უთეთრესი მარგალიტები. თავად გვიკვირდა, – რა იმაგრებსო იქ, ზეცაში ამ საქანელებს?

უკვე ასი წელია, რაც მიყვარხარ და არც ერთი ფერი არ გაუცვდათ

არც აკვარელებს, არც ყვავილებს... ისევ ისეთი სუნი და გემო... ისევ ისე-თი ფერი ხასხასა, ამ სიყვარულმა წუთისოფლის დროც კი გახაზა... არ გაუფერულდა, არ დანაოჭდა, არ დაბერდა, მხოლოდ ასაკი მოემატა დაუსაბამოდ... და ძველქართულად ჰასაკი – სიმაღლეს ნიშნავს. ესე იგი, უფრო ამაღლდა, გაიზარდა, ერთგულებით გაივსო, უფრო გამძლე, მტკიცე, იდუ-მალი გახდა... და ამბის მთხრობელიც დატოვა სახტად.

რას შევადარო, ხუთი ათას ხუთასი წლის თაფლს თუ ექვსი ათასი წლის წიპნას ყურძნისას, რომელიც არქეოლოგებმა აღმოაჩინეს...

... და ვინ იქნება ჩვენი არქეოლოგი? ალბათ, პოეზიოლოგი და უფრო ვიწროდ, სიყვარულოგი?

– რას აღარ მოიგონებო, უცნაური ხარო, სიყვარულოგი რაღა არისო? მე კი გეტყვი – არავითარი უცნაურობა! –

ტე-ტე-ტე-ტე-ა!


ჰო, მომავალში ასეთი სპეციალობაც შეიძლება იყოს ლიტერატურაში, რომელიც ბენვის ხიდებზე მოსიარულე შეყვარებულების ამბებს შეისწავლის.

არ გაიკვირვოს არც არავინ, არ გაიკვირვოს! – ასი წელი არაფერია სიყვარულისთვის... დაიმახსოვრეთ! – სიყვარული მარადისობაა, გიყვარდეთ და დააფასეთ ერთმანეთი, არ ხუნდება, არ ბერდება ერთადერთი.

ასი წელიწადია, რაც თვალები ერთმანეთის სიყვარულით გვიბრნებინავს და შროშანების სურნელი არ მოგვბეზრებია.

ჰო, მართლა... წამოხვალ პარიზში შროშანების დღესასწაულზე?





300 ලැංඩෝ
ලොක්කරුලාංසි



ლირიკის რიკულები

ავყევი ლირიკის რიკულებს,
რიალებს ფიქრები, რიალებს...
გულის კუნჭულიდან გიყურებ
და მთელი სამყარო ტრიალებს.

თუ გინდა, ქარს ჰკითხე, ნიავებს,
თუ გინდა, ფანტელებს იანვრის,
ლექსებიც რომ დამიფრთიანე...
შენამდე ქარბუქში ვიარე.

შენამდე ვებრძოდი ყამირებს
და გზაზე მიპოვე ტიალი...
და თმებში ჩაყინულ ყვავილებს
სულის მოუბრუნე ფრიალი.

შენი სიყვარული ვიხურე,
ნიმფებმაც ვარდისფრად მიმფერეს,
ავყევი ლირიკის რიკულებს
და გულში ჩაკიდულ კიბეებს.



ფოტოზე

ფოტოზე, სადაც შენ მიღებ სურათს,
დარდის ნამსხვრევიც არ ჩანს...
ბედნიერების წამია სულაც
და შეშლილია მაჯა.

თვალებში მნათობს მზის ორი სხივი –
ჩემი და შენი წილი...
და ამოფრენილ გულიდან ღიმილს
არ უწერია ძილი.

ვერ დაიჯერებ, ცხრა მთის გადალმა
დარდის ლოდი რომ ვზიდე
და სიყვარული როცა გადახმა,
ცხრა ცრემლის კაბა ვცვითე...

როგორ მიპოვე მსხვრეული სურა,
როგორ მაქციე არჩვად?..
ფოტოზე, სადაც შენ მიღებ სურათს,
დარდის ნამსხვრევიც არ ჩანს.



ცრემლისოფელი

შენ მე დამხატავ, დიდი ხნის შემდეგ,
როცა სიმშვიდის გრიგალები წამოგეწევა...
როდესაც ხსოვნით დაბერტყილ ბაღებს
სუნთქვა – კენწერო, ფესვი – მიწა გამოეწვება.

შენ მე დამხატავ, გაცოცხლდება სულის შრეებში
პატარა ჩიტი, ოდესლაც რომ იყო ფერადი...
ფოლადი გული რომ დაგიდნო, ქარი წენავდა...
და ერთი ცრემლისოფელი რომ გაგიფერადა.



ყვავილის ლექსი

ცამ წამოიღო წვიმის ღრუბელი,
პატარა ჩიტო, არ გაიწუნო...

ყვავილის ლექსი გქონდა ულევი
ჩემი ცხოვრების კენტო და ლუნო.

ფიროსმანივით ექვსი ურემი
თაიგულები, ოღონდაც მინდვრის...
თან სიყვარულის ცრემლნაპკურები,
აღარ დათვალო, მეც აღარ ვითვლი...

შენ რომ გიძღვენი, ფერებად კივის
ყვავილის ლექსი ექვსი ურემი,
სხვებს თუ შემორჩათ ნერვები რკინის,
აუღურტულდება მათი გულებიც.

ყვავილის ლექსი გქონდა ულევი,
ჩემი ცხოვრების კენტო და ლუნო...
ცამ წამოიღო წვიმის ღრუბელი,
პატარა ჩიტო, არ გაიწუნო.



ჩამოილალოს იქნებ ზეცა

ჩამოილალოს იქნებ ზეცა,
წვიმა დამთავრდეს...
სიზმარში პეპლის ფურცლები მეცვა,
ვითვლი ათამდე.

ეს სიყვარული შენ გადამდე?..
თუ მე გადაგდე?!
სასწაულების ხილვისაგან
ლამის გავთავდე.

ისე ჩამოთბა წუხელ სულში,
როგორც მკათათვე...
საწუთროს თუკი მოევლინე,
მადლის ქვა დადე.





ფესვებით კოცნა

ქარის ჩანგებზე ჩამოსთლიათ
გრძელი თითები,
მათ უყვართ ქარი,
რატომ უყვართ, ალბათ, მიხვდებით.

ერთმანეთისკენ ტოტებს გაშლის
ორი ჩინარი,
გაირინდება ზეციური
ნამის მდინარე...

ჩახუტებულნი ირწევიან,
სცვივათ ცრემლები,
ნისლებს ირაოს შეაფსკვნიან
ბედისმწერლები.

მთელი ცხოვრება
ცახცახებენ მათი ფოთლები
და შემოდგომით ბარბაცებენ,
როგორც ლოთები.

წვიმისგან ნაცემ დედამიწას
თავებს ახლიან,
ხეების ოხვრა აშფოთებსო
მხოლოდ მაყვლიანს.

ერთი მაღალი, მეორე კი
უფრო მჭვირვალი,
ერთმანეთს ფესვებს უკოცნიდა
წყვილი ჩინარი.

თენდება...

თენდება... გესმის? გათენების ჩუმი ხმა ისმის...
ოთახში ჩიტის შემოფრენამ გაგვახალისა...
ჩამოგიწვები გულისპირზე, როგორც მთას ნისლი
და სათითაოდ ამოგიკრეფ ყველა ნაისრალს.





ნიკალას

ჩემო ნიკალა, რახანია არ შევხვედრივართ,
გახსოვს, შენს ნახატს ვეამბორე მაშინ სიღნაღში?!
შენ გაგელიმა... გამაფრთხილეს როცა სასტიკად, –
არ შეეხოო... და თვალებში ცრემლი მოხარშეს.

კინაღამ ნაგავს მიახვეტა ეგ „კრუხ-წიწილა“
მეეზოვემ და ბედისწერამ მოხატა ფუნჯით...
მე ვენაცვალე შენს ცხოვრებას, მერე მხატვრობას,
შავი მუშამბაც აღარ დაგრჩა, – ფერით გარუჯე.

გრაფო ნიკალა, დრო დადგაო ამტევანების,
ალარასოდეს შეგანუხებს ქვეყნის ვალები,
მილიონებად შეაფასეს შენი მონასმი,
ღვინის ქაფშია ხელოვნების შადრევანები.

დღეს ჩვენს ქვეყანას ხომ აკლია ზდანევიჩიც,
რატომ მიღიმი, უწყინარო, ნაღდო მხატვარო,
ჩემო ძმობილო, კარგო კაცო, გრაფო ნიკალა,
ლამის ეს სული სამრეკლოს მტრედს გამოვატანო...

ჩემს სიყვარულსაც უაქიმე, სხვისა მკურნალო,
მიშველე ნიკაალ!... ვინაცრები ლამის ბუხარში...
შენ გაგელიმა... გამაფრთხილეს როცა სასტიკად, –
არ შეეხოო... და თვალებში ცრემლი მოხარშეს...

ფიქრებს მოვრეკავ

რა დრო გასულა... ფიქრებს მოვრეკავ,
რა ქარიშხლები... რა ნარიყალა...
როგორც ხელისგულს ცრემლის მოლექვა,
გულის უღრანში იამ იხარა.

და აღარ ვჩივი დაბარდნილ მინდორს
და აღარ ვჩივი წვიმას საცრისას,
შენი თვალები რომ ამომინთო
ილბალმა, ვნახოთ, თუ დამაცლისა...





ჩემო არღანო

ჩიტებხატულა ჩემო არღანო,
შეზავებულო ეჭვით და ფიჭით,
ჩემმორეული შენი სამყარო
მიმზერს ყოველთვის, როდესაც მიჭირს.

მიმზერს ყოველთვის, როცა მიხარის,
მაქრობს, როდესაც ძალიან ვიწვი...
ამაგიზგიზებს დილა სისხამი,
ნუ მიპირებ ძილს... ნუ მიპირებ ძილს...

ვერ დავიძინებ, შენი ჭირიმე,
ვერ მოვიშუშებ გულის ნაპრალებს,
მთაში ჩანჩქერებს ავიტირილებ
და წვიმა მოვა, ვიდრე დამფლავენ.

ცას მიცრეცილი ცისკრის ვარსკვლავი
როცა მოწყდება, მაშინ იალებს
და ალიონზე დილა სისხამი
ორლესულივით გამაპრიალებს.

ჩემმორეული შენი სამყარო
მარადმნვანეა, როგორც ეს ფიჭვი...
ჩიტებხატულა ჩემო არღანო,
შეზავებულო ეჭვით და ფიჭით.

ჩვენი სახლი

ჩვენ ერთმანეთში ვცხოვრობთ და ვბუდობთ,
ერთმანეთისთვის ვზრუნავთ და ვიწვით...
და წუთისოფელს – მონლოლთა ურდოს
გამოვქცევივართ, დავფრინავთ ციმციმ.

როგორც ქარებში ყვავილი ურტო,
როგორც უგირჩო ნაძვებზე წიწვი,
როგორც ვერ გავძლებთ უმზეოდ, უმთოდ,
უერთმანეთოდ ვერ გავძლებთ, ვიცი.

რა ეშველებათ ანყვეტილ თოკებს...
გულს ჩავუფინეთ უსიტყვო ფიცი...
მარილის ლოდი იმდენი ვლოკეთ,
თურმე გამხდარა პატარა კვნიწი.





სად არის...

ამ წუთისოფლის ღამეებივით
მხრებზე და წიგნზე შემოგეთიე,
მდინარეზე რომ გამანებივრე,
ზღვებზეც გენდობი, ჩემო მეტივე.

როგორ შეერთდა გზები გზაწვრილით,
იქნებ შენ მითხრა, პატარა ხუნდო...
სად არის ახლა ჩემი ნაწილი,
სად არის ახლა... რომ ჩავეხუტო!



ზამთარში მოლი

უკვე ჩამოწვა ზამთრის ამინდი,
უკვე ჩამოწვა... მშვიდობით სითბოვა...
მაგრამ ცხოვრება მზედ რომ ამინთე,
ჩემი სხეულიც მზით გამოითბო.

და აღარ მცირა, ნისლით გავერთე
და შენი შორი სიჩუმე ითხოვს,
არ მივაკარო ფიქრის კარტებს
დარდების კარტი... რაც არის იყოს!

რაც არის იყოს... შენ რომ გამანდე...
შენა ხარ ჩემი ნაწილი... მორჩა...
და მოთმინების ღიმილს – კამათელს
ჩამოეხია ნიღბების ხონჩა.

და დაინახე ის ერთი მნათი,
გადაგეშალა ზამთარში მოლი...
შენი გულისთვის წუთებს რომ ათევს
და ცის მდინარის გამოჩნდა ფონი.



ლვთის საჩუქარი

ვინ გაგაჩინა ჩემდა იმედად,
წუთისოფელმა ბევრჯერ მითოფა...
მზიდან მოფრენილ უთბილეს ქარებს,
გამოატანე სულის მშვიდობა.

რა ვიმსახურე მაინც ასეთი,
ჩემი კალამი ცეცხლში იწრთობა,
შენა ხარ ჩემი სიცოცხლის მგზავრი,
ჭირშიც და ლხინშიც რომ შეიცნობა.

შენა ხარ ჩემი სულის ტაძარი
და ტყუპისცალი ჩემი ღირსება,
ჩვენ ბედისწერამ არ გაგვიმეტა,
არ დამაწერა შუბლზე სხვისობა.

როგორ გავძელი უშენდლეებოდ,
რომელიც გულში ისრად ისობა...
შენა ხარ ჩემთვის ლვთის საჩუქარი
და სიყვარულის მარადისობა.

ღრუბლის ბუდიდან

ღრუბლის ბუდიდან მხოლოდ ერთი ჩიტი გიყურებს
და ისიც ხშირად ეხეთქება ზეცის ნაპირებს...
ახლა ვინა ხარ, მარტოსული და გარიყული
არავის უნდა, მოკითხვასაც არვინ აპირებს.

ლექსის პურ-ლვინო სტუმრისათვის გქონდა არილად,
განთიადივით გაუშლიდი სულის საფირონს...
შენმა სუმბულმა დეკემბერში დაიყვავილა
და თესლებს მარცვლავს, მიწის ხნულში რომ ჩააფინოს.

ნუ ტირი, გულო, თუ ათასი კარი მიხურეს,
დრო მოვა, როცა უსაშველოდ გაიაპრილებ...
ღრუბლის ბუდიდან მხოლოდ ერთი ჩიტი გიყურებს
და ისიც ხშირად ეხეთქება ზეცის ნაპირებს...



მზესავალი

შევსვით ავსებული წვიმა გობით,
შენა ხარ ჩემი იაკობი,
დევნიდნენ სიყვარულს, გადავმალეთ,
შენა ხარ ჩემი მზესავალი.

ლმერთთან მეომარი ნუ იქნები,
მაჩუქე შენი ბუნიკები...
ხედავ, თეთრად ჰყვავის გარდენია*,
თურმე ყვავილები რამდენი აქვს.

და როგორც არ უნდა გაიკვირვო,
დაგროვდა ფიქრები საქვითკირო...
მთის ბროლით აშენდა მისაღობი,
შენა ხარ ჩემი იაკობი.

შენა ხარ ჩემი მზესავალი,
ამქვეყნად ყველაზე დასამალი...



* გარდენია – ღვთისმშობლის ხე



ჩემი მონადირე

ჩემი მონადირე შენა ხარ,
სისხამზე დაგიცხობ მზის კვერებს,
იქნებ ის მწვერვალიც გენახა,
გულში დარდებმა რომ მიმკერეს.

იქნებ მინადირო, დამიხსნა,
ხელდახელ შემიპყრო ტიალი,
აღარ მეხვეოდეს ხანდისხან
თავბრუ და სამყაროს ტრიალი.

იქნებ მაბალახო ზეცაზე,
იქნებ გამიყვანო გულიდან,
თორემ დავიღალე მიმწვარზე
ცრემლის და წკვარამის წურვითა.

იქნებ ის ადგილი მაჩვენო,
ლალად ვაშრიალო ცის ფრთები;
ქოხი – საჩინო და საჩვენო,
გარშემო გულწრფელი წიფლები.

წყარო – მწვერვალივით კრიალა,
წვიმა – შენ რომ გიყვარს, უუჟუნა,
კაბა – ყვავილების ფრიალა,
ქვეყანა – უმტრო და უშურო.

იქნებ ის მწვერვალიც გენახა,
გულში დარდებმა რომ მიმკერეს...
ჩემი მონადირე შენა ხარ,
სისხამზე დაგიცხობ მზის კვერებს.



ცელქი

რა დროსაც გინდა დამიძახე,
შენთან გავჩნდები,
ყოჩივარდების და იების
ზამთრის თავშლებით,
იქნება წვიმის დედოფლადაც
ვიქცე იმწუთას,
ვერვინ შეამჩნევს კაცის ცრემლებს,
ისე გაგწუნავ.
ვიქნები სეტყვის დედოფალიც,
ჩამოგისიტყვავ
მარგალიტებად მეტყველების
უთეთრეს სეტყვას.
ქარად ვიქცევი, მზეს დაგინთებ
და დავიმორცხვებ...
და შეგავედრებ სამებას და
დედა ღვთისმშობელს.



რატომ მიყვარხარ ასე ძალიან

რატომ მიყვარხარ ასე ძალიან?! –
მოჩუქურთმებულ სამრეკლოს ჰკითხე...
მე ხომ არ ვიცი, რა მიხარია,
მე ხომ არ ვიცი, სად განმიკითხეს.

მე ხომ შემთხვევით დედამიწაზე
მომინანქრებულ ფიქრებს დავეცი...
თუმცა ჭიშკარი გადამირაზეს
და დღესაც მტკივა ბეჭი ნალენი.

მე ხომ არ ვიცი, რა მიხარია,
მე ხომ არ ვიცი, სად განმიკითხეს...
რატომ მიყვარხარ ასე ძალიან?! –
მოჩუქურთმებულ სამრეკლოს ჰკითხე.



დადგა მაისი

დადგა მაისი შენით სავსე
და ჩემით სავსე,
მაგრამ არ უნდა,
რომ როგორმე გამოიდაროს...
გადმოვკიდულვარ ბედისწერის
უფსკრულის ქავზე,
რომ გული ჩემი
და სიცოცხლე ჩამოგითალო,
რომ დაგანახო სამყაროში
და გულის გულში
რა მიწისძვრები,
ვულკანები ჰყვავის ვარდებად...
მაგრამ ამ სალ კლდეს, –
კაბის მაქმანს ხელები უშვი,
თორემ ზეცაშიც
უფსკრულები აბრდლვიალდება.
ამოიფრქვევა სიცოცხლე და
დალენავს საზღვრებს,
რა მსუბუქია სიყვარულის
ღრუბლის არშია...
თუ მიწის სუნი, ობშივარი
ალარ გვანალვლებს,
მაში, თიხის გემო, მისი სუნთქვა
რატომლა გვშია?!
დადგა მაისი შენით სავსე
და ჩემით სავსე...



შეხვედრა

შევიბნევ სიცოცხლის ამქარად
ასკილებს – უწითლეს მაქმანებს,
ღობესთან სიცივე ჩამდგარა
და უკვე ზამთარი ამთქნარებს.


მალე ჩამოგვირნევს აკვანად
ბუნების უთეთრეს აკვარელს,
თოვლში შემეყრები ნაქარალს...
და გზა აერევათ მანქანებს...





სიყვარულის მზე

ზამთარში ისე შემცივდება,
ვერც კი გავუძლებ,
მაგრამ გავუძლებ...
გულის ძირში
ცეცხლი ბიბინებს...
თბილია გრძნობა,
გაყინულ ჩიტს
სისხლს რომ გაურნევს,
რადგან ბუდეში
სიყვარულის მზე
ჩამიფინე.



ჩიტი-კონკია

როგორც ბეღურამ, ალუბლებში გამოვიზამთრე,
თვით მუჭისხელას, მუჭისხელა გული დამქონდა,
ვიყინებოდი, თვალებს მჭრიდა თოვლის სინათლე,
სხვებისთვის მარცვლებს დავეძებდი, თავად რა მქონდა?!

ყინვის ალმასებს შევალიე ჩემი ბუმბული,
ვწერე ლექსები, ტვირთივით რომ ზურგშიც დამკოდა,
მთლად განუწული სიყვარულად აგებულბულე,
გულში უჩუმრად გინახავდი, როგორც ნაქურდალს.

ზამთრის სხეული მერე წვიმით ჩამოვიბანე
და ვარსკვლავები დაგიკრიფე – ცის ჩირალდნები,
შენი სურნელი გაზაფხულად გადავიფარე,
ამომტვიფრვია ბუმბულებზე ყოჩივარდები.

ჩასძინებია მდინარესაც... რამე ინატრე...
ვიდრე ტყის შრიალს გაიტაცებს ქარი აკორდად,
ჩიტმა-კონკიამ ალუბლებში გამოვიზამთრე,
თვით მუჭისხელას, მუჭისხელა გული დამქონდა.

ბოლო წვეთი

მე ყურძენი ვარ, დაწურული შენი ბაგისთვის,
ცივი წვიმებიც მიგემნია... შემსვი, გაამოს,
ამაოების ქვეყნიდან რომ ცამდე გამიშვი...
ჩემო სიცოცხლის სასწაულო და მზეკაბანო.

მოვედი შენთან ნაწვიმარი და ნამზეური
და შემოდგომის ცივმა სუსხმა ლამის დამლენა,
უფალმა მიხსნა, მგლების ხროვაშემოსეული
და ოცნებების თიკნის ფარა შენთან გამექცა.

რომ დაგეწურა ჩემი ტკბილი, მწიფე მტევნები,
ცრემლის სიმლაშე, სუსხის გემოც კარგად შეგეგრძნო...
ზეცის და მიწის მოყვარული, მერე დევნილი
რომ შეგეფარა, ტკივილისთვის ტყავი გაგეძრო...

გულის ქვაბულში წარწერილო ჩემო ანბანო,
მოვედი სოფლად, შენთან ერთად მეც რომ მეხარა,
ჩაგეხუტები!.. წუთისოფლის ქვიშით ნაბანო,
იქნებ განთიადს ბოლო წვეთი ჩამოეღვარა...






გულის თონიდან

შენ გაიღვიძე თორემ,
მე რახანია მღვიძავს,
შენ შემიყვარე თორემ,
მე რახანია ვიწვი.

შენ გამიფრთხილდი თორემ,
გადავიქცევი კვიცად
და მივატოვებ მსტოვრებს...
და მოგანატრებ მიწას.

და მოგატარებ ზეცას,
საქანელას რომ მირწევს...
და ვიგვირაბებ ლერწამს,
დარდს გამოვკენკავ ცირცელს.

გულის თონიდან პურებს
ასი წელია გწირავ,
შენ ახლა მიხვდი თორემ,
მე რახანია მცივა...



სანამ კიდევ

სანამ კიდევ თვალს ახარებს მწვანე,
მწვერვალები ნამით ჩამოვცვარე.

სანამ დარდი შეპპარვიათ თვალებს,
შენს ნისლებში ჩავძირულვარ მთვარე.

სანამ კიდევ დაჩხაკუნობს ძვალი,
არ მატარო ეულად და ცალად.

პეშვით მასვი წუთისოფლის წყალი,
დამიკოცნე მისტიკური ხალი.

სანამ მთლად არ ჩამოგვალბო წვიმამ,
სიყვარული საუკუნის წინა

გაიხსენე, სრულად შემოგწირე...
გაუფრთხილდი ტრფობის ფრთებს და წვივებს.

სანამ კიდევ ერთხელ გეტყვი – მცივა,
დამეფუთნე შენს ბუდეში მძინარს.

სანამ სადმე გამოჩნდება მღვრიე,
კიდევ ერთხელ მაგრად ჩამეხვიე.



ეჭვი

რატომ არ სჯერა ჩემი,
რატომ არ უნდა მენდოს?!
შენ დამიფარე ფრთებით,
სამოთხის თეთრო მტრედო.

რატომ ჩამოწვა ნისლი
და შემოდგომის ფარდა...
დარდის უთბილეს ფთილებს
თითისტარებზე ვართავ...

რომ მოვუქსოვო წინდა
შემოდგომების ფერი,
რომ დაამარცხოს ეჭვის
ცხრათავიანი დევი.






ტრფიალისფერით

სიყვარულს გულის კუნჭულებში მოხეტიალეს,
რა უნდა უთხრა... ვერ განდევნი და ვერ გააგდებ...
გზანვრილ უფსკრულზე პოეზიის ქარებს ვანთებდი...
უარი ყველა ქარბორიო, ოხერ-ტიალებს.

ასკილისფერი, ღრუბლისფერი, ბალახისფერი,
ჟღალი მიმინოს, ხოხბისფერი, წვიმებისფერი,
მე შევიყვარე ერთი სრული ტრფიალისფერით
და ქვეყანაზე ჩამოიმსხვრა ყინულისფერი.



ივლისის ნიავი

ივლისის ნიავი... ივლისის ნიავი...
და ცხელი პალმების ზაფხულის სინედლე...
გინათებს ცისკარი ცხოვრების პიანოს
და რაც არ გქონია, მწუხრამდე ინატრე...

და რაც დაჰკლებია ყვავილებს ქლიავის,
რის დამახსოვრებაც ვერ ძალუდს თივის სუნს...
ზეცაში ბორიალს და გულის კრიალებს
ვარდებად გაუშლი ოდესმე იესოს.

ეტყვი, ალუბალი რომ იყავ პატარა
და რომ შეიყვარე ზეცის პირამიდა,
თავადაც აღმოხდა გამომდნარ მადანად:
– ო, სემირამიდა... ო, სემირამიდა...

გინათებს ცისკარი ცხოვრების პიანოს
და რაც არ გქონია, მწუხრამდე ინატრე...
ივლისის ნიავი... ივლისის ნიავი...
და ცხელი პალმების ზაფხულის სინედლე...

ფიქრებს დაგიცხობ

აშრიალდება ფოთლები კომშის,
ფოთლები კომშის აშრიალდება,
დაბრუნებული კონკიას ქოშით
ერთი სიზმარი კიდევ ახდება.

გადამიწონის საწუთროს ტკივილს
და ოცნებები დაფრთიანდება...
კაკლის გულიდან იღბალი კივის, –
დედოფლის კაბად აფრიალდება.

ფიქრებს დაგიცხობ სამყაროს ფქვილით,
დედამიწაზე, – იტყვი – რა ხდება...
ხვალ ერთად წავალთ წირვაზე კვირის
და სიყვარული გამთლიანდება.





მიმწუხრის მერეც

როცა ერთმანეთს ვერ დავინახავთ,
რა ეშველებათ თვალების ჩინებს?!
სოფელმა ფრთები ვერ შეგვილახა,
ჩვენ ერთმანეთი გადავარჩინეთ.

ასეთი თბილი, მითხარ, ვინა ხარ?!
გულის გვალვებშიც რომ მომიჩრდილე...
მიმწუხრის მერეც გეტყვი: – მიყვარხარ!..
და სიყვარული განდევნის ჩრჩილებს...



ჩაგიშაქრდები

ჩვენ – ერთმანეთის ბედისწერები
და ნაწილები ცეცხლის დანთების...
რას იფიქრებდნენ ბედისმწერლები,
რომ შევისრუტეთ ცეცხლის ვარდები.

ჩვენი შეხვედრა – შემთხვევითობა,
მერე ზღაპრები, მერე კირთები...
მას შემდეგ ბევრმა წელმა ითოვა
და ალბათ, ყველას გაუკვირდება,

რომ ისევ მოხვალ ღამეთეული
და ერთმანეთის ლექსში გავკრთებით...
ერთმუჭა გულში გამომწყვდეული
სიყვარულისგან ჩაგიშაქრდები.





ჩიტები

მოფრინდნენ ჩემი ჩიტები,
ფრთებმოქარგული ჩითებით,
ჩამომხსნეს სოფლის ტვირთები...
ლექსებად გავიკვირტები.

შენ კიდევ რას დამპირდები,
ჩემს გულში რომ იჭყიტები?..
სიყვარული რომ შემყარე,
ცის კამარამდე ვინთები.





ნადირთპატრონი გფარავდა

ნადირთპატრონი გფარავდა
ნადირობისას მთებში,
შველს გადამაწყდი ანაზდად
ოცნებისაგან შეშლილს,
შევკრთი და მაინც გესროლე
დაფეთებული მზერა,
შორს მოისროლე თოფი და
ოცნებით მკვებე შენაც.
მერე ვარსკვლავიც მოწყვიტე,
ამილიცლიცე თავზე,
ეს იყო ჩვენი ნიშნობა,
აღარ გვინდოდა სხვა მზე.
მთვარე აენთო კელაპტრად,
წყარომ გვაპკურა შეფი,
ბროლის სამოსი ჩაგვაცვეს –
დედოფლისა და ნეფის.
გედევნებოდი კვალდაკვალ
ნაფეხურებით შველის,
რად დამილამე თვალები
შემოლამებით შენით.
ღმერთო, მოგვხედე საბრალოთ,
თუკი შეგვყარე ოდეს,
რაგინდ ქარბუქმა იძალოს,
რაგინდ თოვდეს და თოვდეს...
გული დაფლითეს ფიქრებმა
და ვეღარაფრით ვშველი,
მოდი, მოგიხმობს მოყმეო,
შენი ქათიბა შველი.

ცერცვის მარცვალი – ბედნიერება

არ მინდა მე ზღვა – ბედნიერება,
ზღვა მოხრჩობამდე მომეფერება...

და არც სიცოცხლე მინდა ხანგრძლივი,
სითბო მჭირდება ციცქნა მარწყვივით.

ხანდახან ისე მომენატრები,
ჩასაფრდებიან ფიქრი-აფთრები...

სტყორცნეს ისარი ქუსლში აქილევსას,
მე კი გულიდან ვიგლეჯ მარგილებს...

შენთვის ვიმზევე და ვიმარიხე,
შენ კი დარდები რატომ მორიყე?!

მაინც გიკივი, მაინც მოგძახი:
– გადასარჩენი ძაფი მონახე!

გამოიმეტო ჩემთვის იქნება
ცერცვის მარცვალი – ბედნიერება.






მზეო, უთხარი...

მინდა ჩანჩქერად ჩამოველვარო,
ჩემთან შეხვედრა თუკი უხარის,
რაც უნდა ფრთები გადამეღალოს,
სულ მეყვარება, მზეო, უთხარი.

უთხარი, ისევ შევეცილები, –
მის წილს გავიყოვ შხამსაც, ბადაგსაც,
ლექსის ცრემლებით ვცვარე იები,
რომ მიფენია სულში ფარდაგად.

თითქოს შაშვები შემომიფრინდნენ,
აახმიანეს გულის ულრანი...
საწუთროს აღარ შემოვებინდე...
და რომ ვყვავილობ, მზეო, უთხარი.




ჩემს ბედისწერას

ჩემი დედულეთი შენა ხარ,
ჩემი მამული და სამშობლო...
მაქციე დახუნძლულ ვენახად,
მითხარი, საიდან რა ვშობო...

როგორ მოგეფერო დეკებით,
როგორ გიყვავილო მთის ქვები?!
და ვიცი, რომ წავილეკები,
უფსკრულის პირამდე მიგყვები.

და შენ გადამარჩენ, ისევ რომ
ავკრიფო სიცოცხლის ძარღვები...
უარი ნიცშეს და ციცერონს...
და ჩემს ბედისწერას წავყვები.



ლექსის კვირტები

შენა ხარ ჩემთვის სასწაული წუთისოფლიდან,
წასვლის წინ მაგრად ჩაგიხუტებ და გავფრინდები...
დაღლილ სამყაროს შეაშრება შუბლზე ოფლი და...
და შენთან ერთად ეგ მდინარეც გაირინდება.

მთელი ცხოვრება რომ აპობდა კლდესა და ლოდებს,
მიჩუმათდება, დაუშრება თითქოს ნაპირი...
სულის ქარობა მოვინატრე, მინდა ვქარობდე,
შემოგეხვიო გარშემო და იგრძნო აპრილი.

ალარ იტირო, თორემ ფრთები დარდს ვეღარ უძლებს,
ვერც სიყვარული იფრიალებს სულის ფთილებად...
ალარ იტირო!.. მეც ვიტირებ... – წვიმა გაუწყებს,
ზეცის სარკმლიდან მოვარდება ჩემი დინება...

მე ხომ წიგნებში ჩაგიტოვე ლექსის კვირტები,
უზარმაზარი სიყვარული განა მყოფნიდა...
წასვლის წინ მაგრად ჩაგიხუტებ და გავფრინდები...
შენა ხარ ჩემთვის სასწაული წუთისოფლიდან.





ლალი სული

მე ლალი სული ვარ,
ბორკილს ვერ დავიდებ
და არ გამოგყვები ცოლად,
გულის მოწურვიდან
სიცოცხლეს დაგინთებ,
მაგრამ არ გაძედო ბრძოლა...
მე დანისლული ვარ
და სხეულს ნაკირთებს
ეყო ქვესკნელებში წოლა...
სიცოცხლეს დაგინთებ,
ბორკილს ვერ დავიდებ
და ვერ გამოგყვები ცოლად.





ფერად ქარებად

გადანატეხი, ნასროლი დევის,
გულში მიღვივის ცეცხლის ისარი...
უკიდეგანო ქარების ტევრით
ამ მონატრებას გამოგიგზავნი.

მე რომ მიყვარხარ, არავის მსგავსად,
მოგიყვებიან, ალბათ, გვიმრები...
იების ცრემლი გაუვა ქვასაც,
ფერად ქარებად მოგევლინები.



სიყვარულის ანაბარა

მთელი ცხოვრება რომ ვითმენ ქოთებს
წუთისოფლისგან და... სულშიც მბარავს,
ფიფქა-ტკივილები ღამეს მორთავს,
მერე ჩამწკრივდება ათას ფარად.

მთვარე მეკითხება: – რა მაშტოთებს...
მე კი ფიქრის თოვლებს ცამდე ვკვალავ,
ტოტზე მოფრიალე ლამაზ ნოტებს
ციდან ჩამოვუქსოვ ლექსის კარავს.

ვიცი, თბილ ჭორებსაც ხეებს მოსდებს, –
ქარმა ჭრილობები მომიბანა...
მერე შემატოვა თხილის ტოტებს
შენი სიყვარულის ანაბარა.





ტრფობის მინდვრები

ხანდახან ასე რატომ მაბრაზებ,
ხანდახან სულში რატომ მიძვრები?!
გულის კარები ბევრჯერ ჩავრაზე,
მაგრამ გავშალე ტრფობის მინდვრები.

გახსოვს, წყაროსთან ბებერ პანტაზე
ბუდეებივით ისხდნენ ფითრები...
თურმე ცხოვრების ვსწავლობ ანდაზებს
და ხელისგულზე ჩუმად გიდნები.



კვირტები შეფოთლეს

მე მახსოვს, როდესაც პატარა ვიყავი,
ქარები უკრავდნენ გიტარის სიმებზე...
ამომიფრიალდა ლექსი და ვიხვავე
და წვიმა ცეკვავდა ფანჯრების მინებზე.

მე მახსოვს, როდესაც ვიყავი ბელურა,
ქარები ტიროდნენ გიტარის სიმებზე...
და მქონდა სურვილი, ჩამეცვა ლეკურად
და დაგნახვებოდი გაფრენილ ირემზე.

მე მახსოვს, როდესაც ვიყავი მყინვარი
და სული მეკიდა სასწორის გირებზე...
ასეთი ქვა-ლოდი, – იძახდნენ – ვინ არის...
ჩურჩულით ვამბობდი: მანახეთ ვინმემ მზე...

და მოვკვდი როდესაც, როდესაც დავმიწდი,
წვიმებიც კვდებოდნენ... ქარებიც ქრებოდნენ...
დაგიცდი – ამბობდი... ვამბობდი – დაგიცდი...
და გაზაფხულებმა კვირტები შეფოთლეს.

ვაფერადებ

ვაფერადებ ყვავილებს, ვაფერადებ ბალახებს,
ვაფერადებ ნაძვებს და სოფლის ფერდობ-სანახებს.

ვაფერადებ გვირილებს, ვაფერადებ ასკილებს,
ვაფერადებ ყველაფერს, რაც გულიდან მაკივლებს.

ვაფერადებ ოფლსაც და ვაფერადებ ნაოფლარს,
კოპალას და იახსარს და დევების ნასოფლარს.

ვაფერადებ ჩიტებს და ვაფერადებ კატასაც,
ვაფერადებ ყურძენსაც, ვაფერადებ ბადაგსაც.

ვაფერადებ ნიავსაც, წვიმაც გავაფერადე,
უშენობაც, შენობაც დავიყვანე ფერამდე.

ვაფერადებ დღეებს და ვაფერადებ ნაკვირალს,
შენ კი ისევ კითხულობ: – ნეტავ, რამ გამაკვირვა...

ვიდრე ვუამობ ამქვეყნად, ვიდრე ქვევრი მიზიდავს,
ვაფერადებ დრო-უამსაც, ვაფერადებ სიკვდილსაც.

როცა წავალ, იტყვიან, ლექსიც გააფერადა,
მერე ოქროს საწმისსაც გამოვტაცებთ ელადას...



თოვლის მინდორი

რა გინდა ჩემგან,
რად მიპოვე,
რა გინდა ჩემგან!..
თუკი არ გჯერა
ჩემი გულის,
თავს მივიტოვებ...
შენც მიგატოვებ
ჩემთან ერთად
გაუკვალავში...
და უსასრულოდ
არ დაილევა
თოვლის მინდორი...





ფიფქის ფარაზე

შენსავით თოვლი მეც შემიყვარდა,
ჩამოგვეფიფქა პირველი თოვლი,
სიყვარული რომ ქარმა მიხატა,
ფიფქის ფარაზე ჰყვაოდა მგონი.

სად იწყებოდა, სად მთავრდებოდა
სიყვარულის ზღვის თავი და ბოლო...
ცის სითეთრეში იპენტებოდა
ნაცრისთვალება ღრუბლების ბოლი.

სიყვარული რომ ქარმა მიხატა,
ფიფქის ფარაზე ჰყვაოდა მგონი...
შენსავით თოვლი მეც შემიყვარდა,
თითქოს პირველად მოვიდა თოვლი.



პატარა მზეები

ჩვენ პატარა მზეები ვართ

ცის სილურჯეში ერთად დავფრინავთ...
მომევლინები ზღვაშიც დელფინად?

მიწა თუ ზეცა – გვიყვარს რა უფრო?
ანთებულ გულებს ვწირავთ საუფლოს.

ის გულწრფელობა, მე რომ გაჩუქე,
შენი მზერიდან კრთის და მაშუქებს.

თებერვლის თოვლი – ზამთრის ვიტრაჟი...
გამოიტანე უკვე ტირაჟი?!

არა, არ მინდა შენი ქმარობა,
სულში ჩამდნარხარ შაშვის გალობად.

ესეც მეყოფა საგზლად ცხოვრების,
არ მომიგზავნო ახლა მსტოვრები...

არ გამიფანტო ისევ გონება,
შენს იებს მოლად ავეფონები.

ვანათებთ ერთად დილის სისხამზე,
პატარა მზეებს თურმე ისხამს მზე.

ქვესკნელსამც გააკვირვებდის

„რაც უნდა წილი მომკერძონ,
არ გამოგყვები ცოლადა...
ეს სიყვარული არ მიღირს
ამდენ ძილად და წოლადა.

წამომყე ზეცის საუფლოს,
მერე ქვესკნელში ბრძოლადა,
ამომიყვანე ფასკუნჯი,
საკუთარ ხორცის ძრწოლადა.

ან შენ იქნები, ან კი მე,
სასწაულების ძოვადა...
ქვესკნელსამც გააკვირვებდის
ხანგრძლივად ძუძუს წოვადა.





რა გეშველება...

ხედავ, ზამთარი როგორ ხუნდება...
ხვალ გაზაფხული აღუღუნდება.

ხედავ, ბეღურა როგორ იჩქარის,
რომ არ მოაკლდეს ბუდეს მისხალიც.

ამ შაშვსაც ჩემგან, ნეტავ, რა უნდა...
გადამიშალა გალობის ფუთა...

გულიც იფეთქებს, კვირტად გასკდება,
ატმის ყვავილებს დაემსგავსება...

შენ კი დაფნები დაგემშვენება...
და მერე ნეტავ, რა გეშველება?!






წყალში ქვიშობა

გნახე და სულში უცებ ჩამოთბა
და მოვიფინე თეთრი ენძელით,
მთელი სამყარო როგორ გალობდა,
თითქოს ვცოცხლობდით ათასი წელი.

ფერად ქარიშხლებს შენგან მოფრენილს
მოჰყვნენ ჩიტები ფრთათეთრხატულა,
არ თქვა – მოკლეა წუთისოფელი,
ნუ იტყვი მასზე აუგს, სამდურავს.

სამყაროს სივრცე შემოგვაფრქვია,
ღრუბლის და მთვარის ვნახეთ ნიშნობა...
წლებს აღარ ვითვლი... თუმცა აქვეა...
და რა ძნელია წყალში ქვიშობა...



უნდა გამზარდო

მოდის სიცივე და გულიდან ვერ მომიცილე,
რადგან სხეულში მოგიზგიზე სული ანთია...
მშვიდი ბუხრიდან ცეცხლივით რომ შემომიცინე,
შენა ხარ ჩემი დედ-მამა და ჩემი გადია.

უნდა გამზარდო, იქნება შენ მაინც გამზარდო,
ფერადი თოვლის მომახურო იქნებ მანტია...
გადაქცეულხარ უძირძველეს მფარველ ვაზადო,
თანაც ბალახი ჩამიფინე მკერდის ნატყვიარს.

მკურნალო ჩემო, შენს მთვარესთან ერთად ვიძინებ
და ჩიტის ხმაზე ვეგებები ჩვენს წილ განთიადს,
როცა ვერ გხედავ, ქვევრივით რომ შემოვიძირებ,
ვიხრჩობი თითქოს ქარიშხალში, სული მარტია.

მოდის სიცივე და მოაპობს უთეთრეს ძილებს,
ნეტავ რას ამბობს, რას გვაუწყებს თოვლი ფანტია,
უმძიმეს ტვირთის სიმძიმე რომ შემოიწილე,
შენა ხარ ჩემთვის საგანძური რაც მაბადია.

გლოცავ, სიკეთე დაგხვედროდეს ერთი ასადო,
ამდენ მადლის ქვას ფერიები ვეღარ დათვლიან...
უნდა გამზარდო, იქნება შენ მაინც გამზარდო...
ეს პანაწინა გული შენი თოთო ბარტყია.



ერთი სფირიდი*

მზეში ვხმაურობ,
დამიჯერე, მზეში ვხმაურობ,
გულის მღვიმეებს
ჩაელენათ უკვე ურდული.

ვიყავ ხომალდი
უმზეო და უმეზლვაურო,
მაგრამ მესმოდა
ბედისწერის ჩიტის ჟღურტული,

რომ იღბლის ქარი
გარიყავდა დარდ-სალამურებს,
ამაოების მოხელთებას
თუკი შევძლებდი.

ცის ოკეანე
ნაიღებდა ცრემლებს, ღვარულებს
და ციხე-ტაძრად იქცეოდა
ღრუბლის მეჩეთი.

ცისარტყელებთან განფენილო
ფიქრის აულო,
მზესთან წავიღე კალმახივით
ლექსის ქვირითი...

მინდა ვიყვირო
სიყვარული და ვიხმაურო...
ჰა, მზის სხივებით ავსებული
ერთი სფირიდი.

* სფირიდი (ძვ. ქართ.) – კალათი

ტანიე*

გამოვიარეთ ატაბე,**
უკან ჩამოგვრჩა წინხადუ, **
გავჩინდი?! – ვალი მაქ სოფლისა,
მინდა რო გადავიხადო.

დავკოცნო კუთხე-კუნჭული,
მიმოვიარო ჩოქვითა,
მთებს შენთან ერთად შევადნე
ალერსითა და ლოკვითა.

ცაზე ვუცქირო ვარსკვლავებს,
გვერდით შენ მყავდე იმედად,
ამდენი ციცინათელა
ნეტა, რა ხელმა მიპენტა?!

მთების უბეში ჩაკრულა,
გატრუნულია ტანიე...
რა შესვა? – აღარც იკითხო,
სიყვარულისა დალიე!



* ტანიე – გულისფორმის ტბა არხოტის ხეობაში

** ატაბე, წინხადუ – სოფლები ხევსურეთში



შენ და ალუბლები

გულში აყვავილდით შენ და ალუბლები
და მერე გულშივე იმწიფეთ...
მომეცით უფლება, მომეცით უფლება,
დახუნძლულ ტოტებზე მივფრინდე...

ნაყოფს ვესურნელო, ფრთები დავიკეცო,
ალუბლის ბალებში აღვიკვეცო...



სიტყვის ჩუქურთმიდან

სიტყვის ჩუქურთმიდან დაგიკრეფ
ტყემლის ყვავილების ფთილებს,
სხეულს ქვესკნელიდან აგიკრეფ,
მოგართმევ მზეპურა დილებს.

ასკილს ჩავეფინე ყვავილად,
სურნელით დაგიფრთხობ ძილებს,
გავლენე სიცოცხლის ყამირი,
საზრდოსაც ვიკმარებ მცირეს.

ჩემი სიყვარულით აგიკლებ,
მთვარესაც თავს შევატირებ,
გზასაც ზეცისაკენ გავიგნებ,
არ შევეკითხები კვირებს.

ქოხს სიყვარულისას აგიგებ,
შევლესავ ლექსების კირით,
მერე წუთისოფლის შაკიკებს
ვუშველი მწერლობის ფქვილით.

სხეულს ქვესკნელიდან აგიკრეფ,
მოგართმევ მზეპურა დილებს,
სიტყვის ჩუქურთმიდან დაგიკრეფ
ტყემლის ყვავილების ფთილებს.

იცი, როგორ დავიღალე

იცი, როგორ დავიღალე,
ყველაფერი მომბეზრდა...
მოდი მალე, მოდი მალე,
წამიყვანე მოსესთან.

იქნებ იმან გამიყვანოს
ამ დაწყევლილ ეგვიპტეს,
სიხარულში გადამღვაროს,
დამშვიდებას შემპირდეს.

იქნებ უფალს მოკერა თვალი,
თბილი ხელი დამადოს...
წამიყვანე შუქით მთვარის
იქ, საითაც აღარ თოვს...

შენ კი ჩემზე – შენს წილ მზეზე
დღე და ღამე გადარდოს!





სიყვარული

გამომიტაცა ქარიშხლიდან,
თავის სახლში შემიფარა,
თავის ბუხართან გამაშრო,
თავის ლოგინში დამაძინა,
თავისი სამოსით შემმოსა,
თავისი წილი ლუკმა გამიყო,
თავისი სითბო მომახურა
და თავისი სიყვარული გადამაფარა.





ცის მინანქარი

ნუთუ ეს გრძნობა თიხასავით უნდა გამოწვა,
მერე დაფერო, როგორც ჩხიკვის შაბიამანი...
უნდა გაუძლო ჩემს სიყვარულს – ზეცის ამორძალს,
დედამიწაზე ამოტვიფრო ცის მინანქარი...
ნუთუ ეს გრძნობა თიხასავით უნდა გამოწვა?!.



ტანიეს ნისლები წოლილან

ტანიეს ნისლები წოლილან,
მე კიდევ უმისოდ ვბინდდები,
არ ვიცი, სატრფო ვარ, ცოლი ვარ
თუ საჩუქარივით ვირთვები?!

არ ვიცი, საიდან როდემდე
გასტანს ეს ცხოვრება მზაკვარი,
ლექსები დარდებით მოვთენთე,
მათაც ავურიე გზა-კვალი.

ცოდვებს ამოვჩხაპნი ზოლითა
ქვებზე და ცრემლად დავინთები,
აჲა, წუთისოფლის ზონიდან
ჩემი საქალალდის კირთები.


დარდები ყოველთვის მწონიდა,
უფალო, შენ მყავხარ იღბლიანს,
ტანიეს ნისლები წოლილან
და სატევარივით ილტვიან.



ბედის ბალეტი


ჩემი ცხოვრება ისე გავლიე,
ბედის ბალეტი ისევ ბალეტობს,
შენ ხომ არიე, მეც ხომ ავრიე
წუთისოფელი უერთმანეთო.

მაინც შევხვდებით დაკარგულები,
ქაჯეთს ნესტანი გიცდის ტარიელს,
ტბასთან ბრდღვინავენ ბედაურები...
და გულისფორმის არის ტანიე.



საცხოვრისი და სათოფური

შენა ხარ ჩემი საცხოვრისი და სათოფური,
მე – ქალი-ნეკნი, შენი გულის კლდე და ფიცარი,
სხვის ომში წავალ ღირსებისთვის, ვით ნიკო ბური,
დედის თვალები მიშველიან დასაფიცარნი.
მივფრინავ ცისკენ, შემაჩერე, რამე იღონე...
თორემ აღსავლის ზეციური კარი იღება...
თუმცა არ ვჩივი, თუნდაც მოვკვდე, მე ხომ ვიცხოვრე,
ყველა წამების და ტკივილის გადავინყებავ.
ფარნით მეძებდი... დაამარცხე მიწის ბნელეთი,
ამიყვავილე განთიადი ათასი ფერით...
და მოიარე ჩემი გულის საქვესკნელეთი,
თავადაც გახდი სიყვარულით უბერებელი.
სხვის ომში წავალ ღირსებისთვის, ვით ნიკო ბური,
დედის თვალები მიშველიან დასაფიცარნი...
შენა ხარ ჩემი საცხოვრისი და სათოფური,
მე – ქალი-ნეკნი, შენი გულის კლდე და ფიცარი.



ქილით გამატან

უკვე აგვისტო მიდის,
უკვე განსრულდა საქმე...
და ვეღარ ვშველი გულის
მოლიავებულ სარქველს.

ფოთლების თბილი ბინა
აგვიფერადებს დღეებს
და დამიკოცნი ხშირად
შენსკენ გამოწვდილ ხელებს.

მოგონებათა სკივრებს
თავებს წამოვხდით ისევ,
ქილით გამატან სახლში
თაფლის მურაბის სიზმრებს.

მენატრებოდი როგორ, –
გეტყვის ხეობა ივრის...
ჩვენ ერთმანეთის გულში
უკიდეგანოდ ვივლით.



გუდამაყარში

თუკი ცრემლები უკვე მოხარშე,
შეყვარებული უკვე ხარ თუკი,
უნდა წახვიდე გუდამაყარში,
მოინახულო ციცქნა ზანდუკი.*

თავი არ წაყო დარდის ბუხარში,
გიმასპინძლებენ დათვის ხინკალით,
რომ არ გაგექცეს გული უღრანში,
სამშობლო გულზე შემოიკარი!



* ზანდუკი – სოფელი გუდამაყარში

ნატვრა

ნეტავი, ცოტა ხანს შენს თავზე მათოვლა,
არაფრად ჩავთვლიდი ცხოვრებას – ნატორალს.

ნეტავი, ცოტა ხანს შენს მხრებზე მასეტყვა,
თუნდაც კაკალივით მიწაზე მაბერტყა.

ნეტავი, ცოტა ხანს შენს თმებში მაწვიმა
მოწურულ ღრუბლიდან... ვიქცე შენს ნაწილად.

ნეტავი, ცოტა ხანს შენს თმებში მაქარა,
ქარიშხლად ვაქცევდი შენს სხეულს თაკარას.

ნეტავი, ცოტა ხანს შენს გულში მამზევა...
წლებია, ძვირფასო, წლებია ასე ვარ...






ღრუბელს გადავწევ

შემთხვევით შემხვდი და წამიკითხე...
და ააქლერე ქალი-სონეტი...
როგორ ვტიროდი, როგორ დავშორდით...
მიყურებდი და მიმახსოვრებდი...

წამით სამყაროც დაგუბდა თითქოს,
წვიმას ელოდა ჩამონაცრილი,
შენს პიჯაკისფრად იდგა საღამო
და იყოფოდა ჩვენი გზაწვრილი.

სხვა გზა არ იყო გადასარჩენად,
გულის ნამსხვრევო, სულის ნაწილო...
არ გამოვატან ჩიტებს საყვედურს,
ღრუბელს გადავწევ... არ დაგაწვიმოს.



მე ვარ ცუნამი

მე ვარ ცუნამი, ვიქტორია
და ქეთ დოლიძე,
და არასოდეს მიდროვია
ვინმეს ლოგინზე...
მიწა ცოტაჯერ მიტორია, –
ნაკლებ მოვქვავდი,
მეთოვლიებით მითოვლია
ამოსუნთქვამდე...
ცაზე მეძინა ცის თოლიას,
შენ გამაღვიძე...
მე ვარ ცუნამი, ვიქტორია
და ქეთ დოლიძე!





განსხვავებული დღე

განსხვავებული დღე
დაისის მწუხრთან მიწვა...
და გადავხატე ფანქრით,
ეს არის ჩემი ნიკა.

ეზოში ხილის ტყე,
აი, კონკიას მიწა,
იცოდე, სამი კავლით
თავად კონკია გიცავს.






მზის ათინათთან

ჯერ არნახული დადგა სიცივე,
რომელიც ადრე სულ არ ყოფილა,
ჩემს სულში როგორ ჩამოიწვიმე
პირველყოფილი უარყოფიდან.

ზამთარში თვლიდი ლექსებს – წინილებს,
მე რომ დარდები გამალღვობინა,
წუთისოფელი თუკი მიწილე,
ვეღარ ამკუნავს ხმალი ორპირა.

როგორც ირემი შენთან ვიწყვილე,
ყინვამ სამყაროს ფიფქი მოჰყინა,
მზის ათინათთან გული იძინებს
და მზის სხივებით შემოღობილა.



რა მოგიტანო...

არხოტისაკენ გაუყევი
გზასა და ბილიკს...
და მომენატრე... როდის გავა
სამი თეთრი დღე...

მესამე ღამეც თავს მეშლება
თივის ბულულად...
ჩამომიტანე არხოტის მზის
ოქროს კულულა.





მზესასწაული

ჩამომეფუთნა ფიფქა-თოვლი,
ჩამომეფუთნა...
და დამეფინა მხრებზე, გულზე,
მიწას ნაგუთნარს.
შენი მარცვალი მარტოოდენ
მე რომ მეკუთვნის...
გამაშიშვლებ თუ? ისევ ისე
თოვლით შემფუთნი...
თეთრი ძალები მოვიკრიბო?..
ცის საცნაური...
თუ მწვანე მინდვრებს დამიკოცნის
მზესასწაული?..



საკურნებელი

შენ ჩაგყვა დარდი
არ შემცივდეს, არ გაგიცივდე
და უცაბედად
არ ჩამოწვეს მთიდან მეწყერი...

ბელურასავით არ წამიღოს
მწიფე ანწლიდან...
ნუ გეშინია,
უფსკრულის ფსკერს არ შევეხები.

რომ არ გავხევდე, არ გაგიხმე,
არ დაგეკარგო,
ჩამოგიყვანო ჩემი თავი
უ-უვნებელი.

გულში დავპირდი ჩუმად, ჩემთვის
წმიდა იაკობს...
და ქვებზე ლექსი ამოვტვიფრე
საკურნებელი.

სიყვარულის ხურჯინი

დღეს თუ ხვალ მალე
თოვლი ჩამოთოვს...
დავიბადები
და გავბრნებინდები,
ურჩთა ქვეყნიდან
მოფრენილ ქარებს
ვუძმობილებ და
არ მოგწებინდები...

რადგან თავადაც
ურჩთა ქვეყნიდან
ხარ მოვარდნილი
სიცოცხლის წყაროდ.
გადავეკიდე,
გადამეკიდა
და სიყვარულის
ხურჯინით ვხარობ.

ჩიტი ვარ, მაგრამ
ზამთარს გავუძლებ,
ძირს ყველა თოფი
და საფანტები!..
მე მხოლოდ შენში
ვიბორიალებ
და მხოლოდ შენში
გავიფანტები...



შეგეფინები კონახურებად

არ გავხუნდები, არ გავხუნდები,
არც ჩემი ლექსი გამიხუნდება...
მთას ხომ უხდება კონახურები,
შეგეფინები კონახურებად.

და მწიფე მზისფრად დაგემწუხრები,
ჩაგეჟონები მალამოდ, წამლად...
ზეცის კარამდე გემსახურები
და მერე წავალ...





თეთრი გედები


ცაზე ცურავენ თეთრი გედები...
და ცეცხლის ალი გულზე მედება...
რა ვქნა, შენს თბილ და ბუმბერაზ მკერდში
ერთი პატარა თავი ეტევა.

თავი, რომელიც ლექსებით სუნთქავს,
მთელი ცხოვრება ვისაც უყვარდი,
მომეცი ნება, ამოგეფუთნო,
გულში ჩაგიყო ჩემი ნისკარტი.



ჩემსავით

გაზაფხულზე კვირტები
ვის ასკდება ჩემსავით...
და ცივ ბუდეს ვინ გითბობს,
ვინ უფუთნის ჩემსავით.
მწვანე, ლორთქო ბალახით
ავაშენე ვერსალი
და ზაფხულის სინედლე
მიხარია ხესავით...
ჭრელა-ჭრულა გობელენს
ქარი ფანტავს ჩემსავით,
სიყვარული შეჰყრია
შემოდგომას სენსავით,
ზამთრისპირას ფოთლები
ცახცახებენ ჩემსავით...





დაფნის ტოტებში

დაფნის ტოტებში ბუდეს
იშენებს ორი ჩიტი,
ვარსკვლავის სანთლებს უნთებს
თეთრი ფერია-კვირტი.

უნდა იბარტყოს გულმა,
გადაივიწყოს ლეთა,
ეყო ამდენი ურვა
და ხეტიალი კენტად.

მიმობნეული სითბო
თაფლის სურნელებს აფრქვევს
და ერთმანეთის ლიბოს
უმზეურებენ აქვე.

ათბობთ ბუმბულის შუქი,
ნისკარტმიდებულთ სძინავთ,
სავსე მთვარესაც უკვირს
მათი სამოთხის ბინა.

მთაზე ბოლავენ ნისლები

მთაზე ბოლავენ ნისლები,
ტანიეს გადადიანო,
ეროსით დავიისრები,
წუთისოფელო ქვიანო.

მომკლავენ ისევ მისები,
ანდა სიზმრების ლულები,
სიყვარულით რომ ივსება
თვალები დანისლულები...

რა ვქნა, მთებში ვარ სამიზნე,
შველი მილოკავს ხელებსა...
ამ სიყვარულის „ავი ზნე“
შენც ხომ არ გაგახელებსა?!



ვინ არის

ამქვეყნად ყველაზე ჭკვიანი,
ყველაზე ჭკვიანი ვინ არის?!

ამქვეყნად ყველაზე სულელი,
ყველაზე სულელი ვინ არის?!

ამქვეყნად ყველაზე მზრუნველი,
ყველაზე მზრუნველი ვინ არის?!

ამქვეყნად ყველაზე კეთილი,
ყველაზე კეთილი ვინ არის?!

ამქვეყნად ყველაზე ერთგული,
ყველაზე ერთგული ვინ არის?!

ამქვეყნად ყველაზე ძვირფასი,
ყველაზე ძვირფასი ვინ არის?!

ამქვეყნად ყველაზე ლამაზი,
ყველაზე ლამაზი ვინ არის?!

უფლის ნაჩუქარი ცისკარი,
მითხარით, ამქვეყნად ვინ არის?!

ამქვეყნად ყველაზე ფუტკარი,
ყველაზე ფუტკარი ვინ არის?!



უფალო, უთხარი, უთხარი,
რომ მასთან სინედლე მიხარის.

ჩემი სიყვარულის მდინარე...
რომელსაც უსიტყვოდ გავყვები

ორთავე სოფელსა შინა,
ვინ არის?!





ნუ გაგიკვირდება

ნუ გაგიკვირდება დარდების ჩუქურთმა,
ცამდე აწენილი ცხოვრების თაღები...
ნამილო ცრემლების დაქცეულ ენგურმა
და გული აღივსო უხილავ დაღებით.

თავადაც ვერ იგრძნობ ჩემს სულის ნახანძრალს,
სხვაც ვერვინ შეამჩნევს ფენიქსის მაქმანებს...
ჯოჯოხეთ ცხოვრებას მწუხრისას ავხანჯლავ,
როგორც მოღალატე, „ურჯულო“ ნაქმარევს.

ზღვის ქაფის ჩქერები ფიქრებს მიპენტავენ,
აგეარშიები და აგელაღები...
რას გაოგნებულხარ, ქალი ვარ, კენტავრი,
ჰა, სემირამიდას თვალები – ბაღები.



მოვფრინავ

როგორი ქარია?! როგორი სურნელი
ვაზის ყვავილობის... მარტო ვარ სულელი...

მოთმენანაცვეთი ათასი მსურველი
ამაოდ დამიცდის გულებით მზრუნველით.

მე კიდევ ცრემლებით, ნუ მკითხავ, პირს ვიძან
და გადავეფარე მწუხრის ტბას ტირიფად...

ტბა არის სიმშვიდით, სიღრმითაც შენფერი,
ვუხრი თავს საკუთარ ცრემლებით შეფერილს...

ხარ ჩემი სუნთქი და ფიქრების რეფრენი,
მოვფრინავ... სიყვარულს ჰმონებენ მეფენიც!



შენც ასე ფიქრობ?

შენც ასე ფიქრობ? –
დაგირეკო ორი დღის მერე,
ან დამირეკო,
რომ სხივები სულს მივაწვდინოთ...
ერთი მისხალიც არ მოვაკლოთ
გრძნობებს და ფერებს...
არ გინდა? წვიმის მონატრება
ცას მივაცილოთ...
და წამოვიდეთ ჭექად,
თქეშად, წვიმად უუჟუნად,
ბეღურის ბუდე არ გავწუნოთ
რომ მიყუჟულა...
და შევეხიზნოთ ერთმანეთის
გულებს და ბგერებს...
შენც ასე ფიქრობ? –
დაგირეკო ორი დღის მერე?!





უკვე დამხატე

უკვე დამხატე... გაუსწარი დროს და სივრცეებს,
მე კი ორასი წელიწადი თითქოს მივსერე...
მარადიული თვალები გაქვს, სულს რომ მისველებს,
ვერ დავისვენებ, ვერასოდეს ვერ დავისვენებ...

ბოლმა და დარდი, რომ იტყვიან, ქვესკნელს მივცელე,
ვიყავ მებრძოლი, ხან ფაქიზი, ხანაც ვიძველე...
და ლამის გასკდა ეს ოხერი – გულში იწერა,
სავსე მკერდიდან პოეზია ჩამოიწველა.





წასვლა თუ დარჩენა

წასვლა თუ დარჩენა? –
მითხარი, რაღა სჯობს...
ფიქრები ქარებთან კაპარჭობს.

მიწაზე სოლივით
ნატერფალს დავარჭობ,
სოფელს შევატოვებ ხარაჩოს.

მჭვირვალე თვალებით
მოგნუსხავ განაჭორს...
თუმცა უფსკრულებთან გდარაჯობ.

მზის სხივით ცრემლების
ყვავილებს გავაშრობ
და ცაში გავყვები ქარაშოტს.



მიწის ანგელოზი

ჩემთვის მეომარი რაინდი ხარ,
ჩემი სიცოცხლე და სიყვარული,
მყოფნის სითავხედე და მინდიხარ,
სხვების მიპნეული, მიყანული.

ციცინათელებად ამინთიხარ,
ქვეყნის სადარდელით მიღალული,
თურმე ჩვენც არ ვიცით და მითი ხარ,
წყარო უკვდავების მიღარული.

მიწის ანგელოზი ერთადერთი,
ჩემი ცხოვრება რომ მიმზეურე...
ცხადად ამიხდინე სიზმარეთი
და მზის კულულებად მიხვეულე.



ცაზე არჩვები

ვერ წაგიკითხე შენზე ნაწერი,
დასრულებული ჩემი ლექსები,
შეფაკლულია თუმცა ღანვები
და უთქმელობით მზერა ივსება...

აშვებულია ფიქრის ანძები,
ფრიალებს აფრა, ქარი იწყება...
ვგრძნობ, ნემსის ყუნწში ისევ გავძვრები,
გავძვრებით მე და თავდავიწყება.

წყეულო გულო, სად მექაჩები,
იქნებ სიშლეგ ალარ გიხდება...
და ბალახობენ ცაზე არჩვები...
და სიყვარულის კარი იღება.





ლექსების ფარდაგები

ლექსების ფარდაგებს მოგიქსოვ,
შევმოსავ უთვალავ ყვავილით,
სისხამზე შეგხვდები გულისსნორს
და გუდას მოგიტან მარილის.

რომელიც ჩვენ უკვე გავლოკეთ,
რომელიც ჩვენ უკვე გავცალეთ,
მთებში კი მარეკთა ბანაკებს
მარილის სიმღაშე აწვალებთ...

ჩვენ კი ეს ქალაქიც გვალალებს,
თუმცა ზღვაც გავცურეთ მხარულით...
ნიკალა ჩაუვლის მაღაკნებს,
წაგვსკდება ცრემლების ღვარული.

აქეთ მთა, მთის იქით ცისკარი,
აქვე კი პატარა ყორეა,
დარდები ყორესთან მივყარე
და მაინც არ ვიშლი ფორიაქს.

სისხამზე შეგხვდები გულისსნორს
და გუდას მოგიტან მარილის...
ლექსების ფარდაგებს მოგიქსოვ,
შევმოსავ უთვალავ ყვავილით.

შოკოლადის ფერი

ყველაფერი იყო შოკოლადის ფერი,
შოკოლადის სახლი, შოკოლადის ჭერი.

შოკოლადის კიბეს ავუყევით აღმა,
გვიმასპინძლა ლაღმა შოკოლადის კვახმა.

ჩამოგვადნა მზისგან შოკოლადის ფარდა,
ყველაფერი გადნა, სიყვარულის გარდა.





როგორ იძინებენ

როგორ იძინებენ ადამიანები? –
იქნება მითხრა და მასწავლო...

შენ არ გეკითხები, შენ არ გეკითხები,
შენ არ გეკითხები, ბანარო!..

მინდა რომ მთვარის ჩრდილს ჩამოჰყვე ჩემამდე
და მშრალი ცრემლებით დამცვარო...

როგორ იძინებენ ადამიანები? –
იქნება მასწავლო...



მიპოვი

ჩვენ ისევ წავალთ მთებში,
ლრუბლის გაცრეცილ ფთილებს
ჩავითვენთ ჭრილობებში
და სიყვარულის ფქვილებს

ჩამოვცრით მიწის ფსკერზე,
მინდვრის ყვავილით მოვრთავთ...
რა ღამეები ვკემსე,
მთვარეც კი სცემდა ბოლთას.

ფიქრის ტყეების ტევრზე
მოგიყვებოდა ანწლი,
დარდები ბევრზე ბევრი
ელექტოდა გზანვრილს.

ისე მცირე ვარ, ნაყოფს
შევეფარები ბჟოლის
და ჯოჯოხეთში ნამყოფს
ორლესულ ქართა შორის

მიპოვი, სხვა რა გზა გაქვს,
თუ ბედისწერამ გამთქვა,
ციდან სიცოცხლის აკვანს
ჩუქურთმა-ლექსი ქარგავს.



ცხენს დავუცვითავთ ნალებს,
მწვერვალზეც ავალთ, თავქვეც...
და ჯოჯოხეთის კარებს
ამოვუქოლავთ სარქველს.

ქვის მახსოვრობის ცარგვალს
შევრჩებით ტრფობის ლაქად...
მიპოვი, სხვა რა გზა გაქვს,
თუ ბედისწერამ გამთქვა.



ყოველ წუთას სიცოცხლე

ყოველ წუთას სიცოცხლე ბედის ბეწვზე ჰქიდია
და წლები – კამათლები მოდიან და მიდიან.

დარდებს არ ენაცვალო, სიკვდილს შეეთამაშე,
ცივი თონე არ აცხობს გამტკიცებულ ლავაშებს.

სანამ გული ცხელია, სანამ სული ქაფქაფებს,
მოდი, ცხენკაციანად და სიკვდილი აკაფე!

თორემ ღამე ჩამოდნა ზამბახების სანთლებით,
თორემ მთვარის ჩრდილივით გულზე ჩამოგადნები.

მოდი, თორემ სიცოცხლე ბედის ბეწვზე ჰქიდია
და წლები – კამათლები მოდიან და მიდიან...





ნაწვიმარი ქუჩა

გული დარღს და ტრფობას
ვეღარ გადაურჩა...
მე ვარ მხატვრის ტილო,
შენ ქცეულხარ ფუნჯად.

და სიყვარულს ხატავ
ცაზე უფრო ლურჯად...
ნაწვიმარი თმები...
ნაწვიმარი ქუჩა...



სიყვარულს არა აქვს საზღვრები

ქალი ბუხართან თავჩაკიდული
იჯდა, გარშემო შვილები და
შვილიშვილები შემოხვეოდნენ...

- ოღონდაც მომეცით სიყვარულის უფლება,
ოღონდაც მომეცით...
- მერედა სიყვარულს ვინ გიშლის?!
– სიყვარული მკლავს და... კი მიშლით...
რომ იცოდეთ, როგორ ვჭირდები,
როგორც შემოდგომას ჩიტები...
– მერედა სოფელი რას იტყვის?!
ცოცხლად სამარეს გაგითხრის!
– რომელი სოფელი, წუთისოფელი?
წუთისოფელმა ჩამმარხა,
ცოცხლად სამარე მიტირა,
მარტოყოფნის და მარტყოფის
ცრემლი კოჭებთან მიდინა,
მერე კი ჩემმა რჩეულმა
ეს გული ამიკვირტილა...

.....

სიყვარულს არა აქვს ასაკი,
სიყვარულს არა აქვს საზღვრები,
ფიტქინა ფრთებით და ფთილებით
გაფრინდეს, ახსენით თასმები...
ახსენით თასმები, გაუშვით



ფიფქების გაშლიდან კვირტამდე...
გაუშვით, ნურავის დაუშლით
და თქვენშიც სინათლე იმატებს...
დაშრეტილ ძარღვების ახლა კი
დრო დადგა სიცოცხლით ავსების,
სიყვარულს არა აქვს ასაკი,
სიყვარულს არა აქვს საზღვრები...



მუფარახი*

ამოვიფოფხე ხაროდან,
ვწიე ჭაპანი ხარისა...
ხარ უკვდავების წყარო და
მაცოცხლებელი ხვალისა.

მუფარახი ხარ შენ ჩემი,
გმოსავს სიმწიფე ყანისა,
მტკივა დალლილი ბეჭები,
ტვირთი მძიმეა ქალისა.

ხანაც კი გავიზაფხულებ,
მოვიხსნი ტვირთს საპალნისა,
წამწამებს დაგიფახულებ,
გულში მინდვრები ჰყვავისა.

მზითვად ვარსკვლავნი მეყარა...
მომიდის ლექსი ლალისა,
გაჰკვირდა მთელი ქვეყანა:
– უბერებელი არისა...

* მუფარახი (ძვ. ქართ.) – ნაღვლისა და სევდის გამქარვებელი



ცის კიბით

ნანადირევით გამზარდე...
თან მოიყოლე ქარიო,
ვიდრე შენ მყავხარ ამქვეყნად,
არ ჩამიქრება კვარიო,
არ გამიქრება სანთელი,
არ გადავხმები ქალიო...
ცის კიბით ამოგიზამთრებ,
დარდს არ დაგამჩნევ კვალიო...
და ისე გავიზაფხულებ,
აყვავილდება ქნარიო.





სიყვარულის ვიმღერეთ

წვიმა მაინც მოსულიყო,
წვიმა მაინც ცისფერი...
დავიბანეთ ხელ-პირი და
სიყვარულის ვიმღერეთ...

მდინარესთან გაიკვირტა
თურმე ხმელი წიფელი...
და ქვესკნელის ლაბირინთში
ტირის ლიუციფერი.



უფლის ბეღურები

ჩვენ ვართ ერთმანეთის მსახურები,
ჩვენ – მწვერვალები და ქვაბულები.

ჩვენ ვართ ორი ცრემლი წკაპუნები,
ბედის ქვაკუთხედზე ნაპკურებნი.

მიწის განსაცდელით ნაფუვრებნი,
მაგრამ იმედებით ნაპურებნი.

ქვეყნისთვის ხმალამომართულები,
ძალიან, ძალიან ქართულები.

ღამით – სანთლები და ნათურები,
დღისით – მზის სხივები კვართულები.

უფლის ბეღურები ღაბუები,
ჩვენ – მწვერვალები და ქვაბულები.

ერთმანეთის ბაღში დარგულები
შემოდგომები და ზაფხულები.

ჩვენ ვართ ზღაპრულები, ალპურები,
თანაც უფლის ფრთებქვეშ ნაბულები...

სიყვარულის ნადავლი

ჩემი სიხარული მოგიწყვიტე, –
სიყვარულის თეთრი ყვავილი,
ცეროდენა ცრემლად დაგენრიტე,
თუმცა აგეფარე ფარივით.

თუკი ცივ ზამთრებში დაგენინდე,
არ დაგტოვებს გულის მარილი,
სხივით შეგიმშრალებ ცრემლის კვირტებს,
მერე მოგეყრდნობი მთვრალივით.

მთებში სახელია ყუდიაო,
შენც ჩემს სიპებს მიეყუდები...
ბედის ვარსკვლავში რომ ხუნდიაო,
ვეღარ მოგვტაცებენ ქურდები...


თუმცა ცხოვრება სცვლის სახეს, ფერს და...
მაგრამ მარადიულ ქალივით,
ჩუმად გაგილოკავ ჭრილობებს და
ისევ გიმკურნალებ დალივით.

მერე ჯიხვებს, შვლებსაც და მთელ ტყესაც,
შუნებს, ნიამორებს მოგიძლვნი...
როცა დაგენთები აბედს კვესად,
ცრემლებს საუკუნის მომიღვრი...



ცაზე დაკიდებულ მდინარიდან
ჩამოვყვები შხეფებს სათავის...
ჩვენი წუთისოფლის ფინალიდან
ვთვალოთ სიყვარულის ნადავლი.

ჩუმად შეგიმშრალებ ცრემლის კვირტებს,
მერე მოგეყრდნობი მთვრალივით...
თუკი ცივ ზამთრებში დაგენინდე,
არ დაგტოვებს გულის მარილი.





ჩემი ამინდი

ჩემო მოწყენილო ამინდო,
ჩემო ჩახჩახა მზის ნათებავ...
ცხოვრება უშენოდ არ მინდა –
ვუღურტულებ გაბურძგნილ ბარტყებად.

მე ვარ დედა-ბუდე და ჩიტი,
რომელიც მარადუამს დაგიცდის,
რომელსაც არ უნდა არც ჩითი,
რომელიც გიყურებს ანნლიდან.

ჩემო მოწყენილო ამინდო,
ჩემო ჩახჩახა მზის ნათებავ,
მხრებმაც სიყვარული იტვირთეს –
რა მემართება?!



ორქიდეას მარხილით

მოვიარე სამყარო
ორქიდეას მარხილით,
ველტყევი და ვერთხილი,
გული შემოვერხვილი...

გაჰყვა წლების დინებას
გზები შემოპერტყილი,
სული ავიყვავილე
აარონის კვერთხივით...

თვალი ვერ ამეხილა,
დავრჩი თვალდაფეხვილი...
მაგრამ შენ რომ მეხილე,
წუთისოფლის ტეხილი

გავიარე ფორხილით,
ორ კლდესა და ორ კიდეს
დავეკიდე თითებით...
მერე? – ხელი მომკიდე.



კვნიწილა

მოვიდა ზაფხული ძლივს-ძლივად,
ლურჯ წვიმამ ფესვებში მიძირა...

ცხოვრებამ გული გამიწვრილა
და მერე ჟანგბადად მიცინა.

მთვარემ კი თავისთან მიწვინა,
სითბო და სიკეთე მიწილა.

როგორ გავიფანტო არ ვიცი,
ვარ შენი ნეკნიც და ლავიწიც...

მითხარი, ეგება ვისწავლო,
მზის სხივით როგორ დავიცვარო...

ქვეყანამ კინალამ შემწირა,
მითხარი, როდემდე მეწვიმა...

ვარ შენი „ცქნაფულა“ წიწილა
და შაქარყინულის კვნიწილა.





განენილი ბელურები

განენილი ბელურები,
განენილი წამლები...
მე არ ვიცი, რად მწამლობენ
თეთრი იასამნები.

მე არ ვიცი, როდის მოხვალ
და სიყვარულს უხსოვარს
გამინედლებ მზის სხივებით
ათასი წლის უთხოვარს...

არა უშავს თუ არ გახსოვს,
ათასი წლის უგზო ვარ...
შემიფარე, მიმახსოვრე,
სხვისი არა... უწყლო ვარ.

მომეფერე, დამიამე
შერჩენილი ტკივილი,
გამიცოცხლე უებანო
ნაწანწალი ღიმილი.

სხვისი არა, შენი ვარ და
შენგან მინდა ნუგეში,
ჩამათბე და ჩამითბუნე
გულის ბუდე-უდელში.

ვემშვიდობები წკვარამს

ვემშვიდობები წკვარამს,
გულის გამომცლელს, მცარავს...
ერთსაც დავლევ და წავალ,
შევეხიდები წალამს.

ის რაც ძალიან მზარავს...
ახლოს მივუძღვნი სალამს...
და მოვინატრებ ალბათ,
ფერად მინდვრების ცვარ-ნამს...

თვალებს, რომლებიც გვიყვარს,
რომლებიც არ გაგვცვალავს,
ეს გაუმარჯოთ იმათ
და სიყვარულის ძალას!





მითხარი...

მითხარი... თორემ დაშრა ცხოვრება,
გადამხმარია ყველა სამანი...
ამიყვავილე წყარო და ცრემლი –
სულში ჩამჭვნარი იასამანი.





სამი კაკალი

კონკიას სამი კაკალი
წამოვიღე და მორჩა
დარდებით სავსე სამყაროს
ის „დიდებული“ ხონჩა.

ღმერთო, ტკივილი მაკმარე,
გამაკერვინე ლანჩა...
მომაძებნინე ლამპარი,
რომელიც ლამეს დარჩა.

და სიყვარული საკარე
გადამიქციე არჩვად,
ფერად კაბებად აქარე
და ქარიშხლების ფარჩა

მაფრიალებდეს ქაქანით
და მიფხიზლებდეს მაჯას...



როდესაც ჩემზე იფიქრებ

როდესაც ჩემზე იფიქრებ,
მოგენატრები როდესაც,
მაშინ სიცოცხლე მთის კიდეს
ყოჩივარდებად მოლენავს.

ნაჩიტბატონი ტყეების
გამიცოცხლდება ბუნება...
შავეთში ხველებ-ხველებით
სიკვდილის გადაპრუნებას

მოესწრებიან იქ მყოფნი...
აქ გამოხეთქავს ფესვიდან
ნაზამთრალ-ქარებ-ნამყოფი
სიკეთე თესვა-თესვითა.

წყაროსთან განაოცები,
მონატრებით რომ დავთვრები,
დამავიწყდება ხორცების
ნაჭერ და ნაჭერ ათლები.

მაშინ სიცოცხლე მთის კიდეს
ყოჩივარდებად მოლენავს,
როდესაც ჩემზე იფიქრებ,
მოგენატრები როდესაც...



ზაფხულის ქუჩა

შლეგობდე უნდა
თუ გინდა რომ
დაგერქვას ბრძენი.

ყინულის გუნდა
უნდა მოგხვდეს
მარსიდან მცვენი...

და მიეჩვიო
ცხრაფუთიან
ლოდების ზიდვას.

ბარდნის ზამთარი...
წამოგყვება
ქორწილში მზითვად.

არ მოგეწყინოს
საფუარა
ცრემლების ფლირტვა...

არ დაიღალო
ჭიანჭველას
ურმების ზიდვით.

არ დაიბოლმო,
რომ სიტყვების
ტყეები გასხლა.

უნდა შეგეძლოს
კონსერვების
იდაყვით გახსნა.

შლეგობდე უნდა
თუ გინდა რომ
დაგერქვას ბრძენი.

და სიყვარული
უნდა შეძლო
ძველი და მწველი...

თუ გინდა
სულში აყვავილდეს
გა-ა-ზაფხული.

გულის ერთ ქუჩას
რომ დაერქვას
მერე ზაფხული...



საღ წაგიყვანო

წამიყვანე, დამკარგე
თუნდ ბოსფორის სრუტეში,
ნატვრას ვაბამ ნატვრის ხეს, –
„ალიხე და მალიხე“...

ცრემლი არ ჩაგივარდეს
დედამიწის ხნულებში,
თორემ ხომ შეიძლება
ამოვიდეს ცრემლის ხე?

სიყვარულის პურს ვაცხობ,
ჩავკიდულვარ თონეში,
მოდი, რომ არ დავიწვა,
მოდი, რომ არ გაგიხმე.





შეყვარებულებს

ლექსი-გამოცანა

შეყვარებულებს სიზმრებში რომ
ბევრჯერ უნახავთ,
რა ჰქვია იმას,
გადალახულს, გადაულახავს?

(ჩახუტება)

შეყვარებულთა გულებში რომ
ცრემლი ბინადრობს,
თუ გადმოგორდა თვალებიდან,
გზას გაგინათებს...

(მონატრება)

შეყვარებულთა სიზმრებშიც რომ
ხარობს ყვავილი,
რა ჰქვია წეტავ,
რომ ანათებს ღამით კვარივით?

(გული)



შანდალი

მე ვარ შანდალი
და თითებზე მეწვის სანთლები,
მე ვარ თითბრისა,
სანთელივით თუმცა არ ვდნები.

ჩაკირულია ჩემში უფლის
რწმენის მაღნები...
და მენატრები...
და თითებზე მეწვის სანთლები...



სამი დღის მერე

სამი დღე უნდა გავიდეს,
ჩემო, ქარივით ლალო,
ეგება მთებშიც ბარდნიდეს,
ეგება „ჩიტმაც გნახოს“...

სამი დღე უნდა გავიდეს,
სამი დღის მერე გნახო...
ღმერთმა ბოროტი გარიდოს,
ჩემო „ალხო და მალხო“...

და საუკუნე მანამდე
აავსებს ბანს და ჭერხოს...
წმინდა გიორგი გფარავდეს,
თავს დაცემულო მეხო...





მიდის შემოდგომა

დადგა შემოდგომა... დროა მიწურული...
უკვე დაბინავდა ლვინო შეჭურული.

მოვა ნოემბერი, მოვა, სხვას რას იზამს...
მოდი, ისევ მხატე შენი მონალიზა.

ვიცი, ნახატისთვის წლები დაგჭირდება,
მაგრამ ერთი ლამე ცეცხლად გაპრეყინდება.

წითლად ანთებულა უკვე მსხლის ფოთლები,
იყვნენ ქოთნები და დარჩნენ ნაქოთნები...

მხოლოდ ხელოვნება რჩება უნაპირო,
წუთი იხელთო და მზეზე გადაფინო.

უნდა ჭურად იქცე, ლვინო შეინახო,
თავსაც მოუფრთხილდე, რომ არ შეილახოს.

მოვა ნოემბერი, მოვა, სხვას რას იზამს...
მოდი, ისევ გიცდის შენი მონალიზა.

მეყო ცეცხლში წვა და მეყო ქარში დგომა...
მოდის შემოდგომა... მიდის შემოდგომა...

მცხობელი

აი, ამ მსხალსაც
გაუწითლდა ისევ ფოთლები,
უკვე თუ იცი,
მერამდენე შემოდგომაა...
არაგვისპირზე
ღირსეულად დუმან ლოდები,
მერამდენეჯერ მიცავ,
როგორც გმირი კოპალა.
ამ ასკილებსაც,
ამ მსხლის ხესაც უნდა ვათბობდე
და ჩიტის ფრთები
ხელისგულზეც ჩუმად დაგიწყო...
ზამთრების სუსხთან
არ დაგტოვებ აღარასოდეს...
მე ვარ მცხობელი,
სიყვარულის ლექსებს დაგიცხობ.



გადახდილი ფიქრი

ცეცხლი დაანთე და გამეხარდა...
და გულის ცეცხლთან ერთად გიზგიზებს,
რა ვქნა, ფიქრი რომ გადამეხადა,
ბრონეულებთან ერთად ვკისკისებ.

თუკი დაფრინავს, ნუ გაიკვირვებ,
შეყვარებული მფრინავ ხალიჩით,
თუკი ჩაიში, შაქრის მაგიერ,
უხვად ჩაიყრის მიხავ-დარიჩინს.

ო, ამ სიყვარულს რა გაახუნებს,
ვართ ერთმანეთის ორი მსახური,
გადაგიკოცნის წამში ცქვიტ ყურებს
ტუჩები შენთვის შემონახული.





ბედისწერის ფუნჯი

და დეკემბერი...
მინაცრისფრდა ეს დეკემბერიც...
და ისევ ვნატრობ,
ძლიერ მხარზე თავი დაგადო.

ჩემო ზღაპარო
შეყვარებულ ციცქნა ელფების,
ჩემო ალმასო,
საფირონო, ლალო, აქატო.

შენთვის ვხალისობ,
შენთვის ვლამობ, შენთვის ვთენდები...
და კიდევ ერთი
საიდუმლო უნდა გაგანდო, –

რომ შენთან ერთად
არასოდეს არ დავბერდები,
შენ, ჩემთან ერთად,
ბედისწერის ფუნჯით ნახატო.

მონატრება

მონატრება მიკვდება,
როგორც ლეკვი პუდელის,
ღამეები ინთება...
ცრემლებს მითევს ურთხელი.

დარდი ალარ მეძახის...
მინდა კიდევ გნატრობდე,
გულის ფრთები გეტრფოდნენ,
თვალებს ცრემლი ალტობდეს.

ალარ გდარდობ, იცოდე,
მონატრება მიკვდება...
მოდი, შემაჯანვალარე,
ფიქრები რომ გიკრთება.

ღამეები ინთება...
ცრემლებს მითევს ურთხელი,
მონატრება მიკვდება...
როგორც ლეკვი პუდელის.



ასე მგონია

მე ვარ ცოდვილი, ღმერთო, შემინდე...
და ოცნებებზე დავკონწიალობ,
შენთან, უფალო, მიტომ მოვედი,
სულის ფანჯრები გავინკრიალო.

ჩემო კეთილო, ჩემო მშობელო,
ჩემო დამსჯელო, სიტყვაცვრიანო,
ასე მგონია, რომ არ მიყვარდეს,
ციდან ვარსკვლავნი ჩამოცვიანო...



ხელები შენი

ხელები შენი,
უფრო სწორად, ფრთებია ჩემი
და მაფარია თავზეც, მხრებზეც,
მთლიანად მგონი.

არ გვინდა მეტი, –
გვიხარია ყვავილი ჭერმის
და გვყოფნის ქოხიც, სიყვარულიც
და ქოხის ბოლიც.

გვყოფნის ტყის თხილიც,
ასკილებიც, პანტაც და ანწლიც
და მე ამ ზღაპარს
გვირილების გვირგვინად დავწნი.





ფრიალო კლდეზედ

ჩემო სხივო და სინათლევ,
კლდით დაგებულო მახეო...
ბევრი გეძებე საკარგყმოდ,
ფრიალო კლდეზედ გნახეო.

ჩემო სიცოცხლის მზეო და
ჩემო სიკვდილის ღვარ-ხევო,
ნეტავ, თივადამც გამახმო,
ყვავილად შეგენახეო.



მაინც სველია სიყვარული

ფერფლავს დილიდან
ნაცრისფერი ფიფქების წყება,
ამ დედამინას რა უსვია
ისეთი წებო, –

როგორ გვიზიდავს?!
მერე ცოდვის ფერებად გვლებავს,
ფერფლავს დილიდან
ნაცრისფერი ფიფქების წყება.

მე ხომ ჩიტი ვარ,
ქარი ჩემზე ცის ზღაპარს ჰყება,
მყოფნის ნამცეციც,
შენ კი თონის პურებით მკვებავ.

ფერფლავს დილიდან
ნაცრისფერი ფიფქების წყება...
და ჯოჯოხეთში მოვადინეთ
ორივემ ზღეპა...

დაველოდებით
იქ მიქაელ მთავარანგელოზს,
რა გვექნა... ჩვენი გასავლელი
უნდა გაგვევლო.



და ჯოჯოხეთშიც გვძინებიყო
ცხელ ცულის ტარზეც...
ქვესკნელიდანაც რომ შეგვეცნო
სამოთხის ფასი.

მაინც სველია სიყვარული,
არასდროს შრება...
ფერფლავს დილიდან
უთეთრესი ფიფქების წყება...



უშენობის ქარი

მეოთხე დღეა
გაყინული მზეა ფანჯრებში,
მეოთხე დღეა
იცრიცება ციცქა ნიბლია.

მეოთხე დღეა
ჩემს ანწლებში და შენს დაფნებში
ორი ბელურა
ერთმანეთს რომ ფრთებით მიჰკვრია.

მეოთხე დღეა
ჩანისლულმა უნდა ვიარო,
ურმები ვზიდო,
თუნდ მეძახდნენ მაინც ილბლიანს.

მეოთხე დღეა
უშენობის ქარი მუხებში
ვერ შემიპყრია...





პოეზიის ზარები

პოეზიის ზარები
როგორ არ დაგარისხო,
რომ მეგონა, დამთავრდა,
ყველაფერი დაიწყო.

რომ მეგონა, ვკვდებოდი,
„ანა უჟე კაშლიტო“*...
ისე ჩაგეხუტები,
რომ იქნება გაგჭყლიტო.

რომ ეგონათ, დავეცი,
საცოდავებს ვლოცავდი
და გიცდიდი იმ ბოლო,
უკანასკნელ კოცნამდის.

ვიდრე ნაყარ-ნუყარი
არ გაყარე არგნითო...
მოვკვდი, ჩამასაფლავეს,
მერე ისევ აინთო...

პოეზიის ზარები
როგორ არ დაგარისხო,
რომ მეგონა, დამთავრდა,
ყველაფერი დაიწყო.

* „ანა უჟე კაშლიტ“ (რუს.) – ის უკვე ახველებს

პალიმფსესტი

ზამთარი სიცოცხლეა,
ზამთარი სიცოცხლეა,
ზამთარი სიცოცხლეა,
არ სიკვდილი...
ზამთარში უფალი იბადება
და ზამთრით იწყება წელიწადი,
თუკი გადამცემენ ანათემას,
წადი!

მაგრამ შენ გეკუთვნის
ჩემი გული,
მაგრამ შენ გეკუთვნის
ჩემი ნეშტი,
თუკი დამფერფლავენ,
წაიკითხე
წიგნი სიყვარულის –
პალიმფსესტი.





ზეციურ ტყეში

სხვა არც იფიქრო, არც არაფერი, –
უბრალოდ, შენთან ვიწვე და გგრძნობდე
და შენით ვიყო სითბონაფერი,
ასი წლის მერეც მიცნო და მცნობდე.

ეს არის ჩემი სურვილი ბოლო,
ვით მეძებარმა აიღო გეში,
აქ დაკარგული, იქ რომ მიპოვო,
მილიარდ სულის ზეციურ ტყეში.




ციცინათელებად დამყვებიან

ბევრი წელიწადი გამყინვარდა,
ცრემლიც გამყინვია ნახეტიალს,
ცრემლი, ფიჩის კონად შეგროვილი,
გულის სარქველებით ნახვეტია.

გირჩევ წაიკითხო, ვერ მოვყვები,
ასეთ ტკივილებზე არ ჰყვებიან...
ცრემლის დარწყულებულ წყალდიდობით
უკვე გაზაფხულის ბაღებია.


პურის თავთავივით ეგ თვალები
თავებს არასოდეს მაყვედრიან...
მე კი არ ვანათებ, ციმციმები, –
ციცინათელებად დამყვებიან.





წვიმის ყვავილი

მარტის ხუთია,
ნაწვიმარი დილა წკრიალებს,
მინდა, რომ ისე
შეგისუნთქო, როგორც ჰაერი,
მერე კი ისევ
დავეკიდო ლექსის ლიანებს,
ვიკონწიალო
და მოვფრინდე, როცა არ მელი.
მინდა, რომ ცაზე
უფაფუკეს ღრუბლებს რძიანებს
მივწვდე ხელებით,
ჩამოვწველო მადლი-არილი,
ჩუმად... უსმინე!.. –
გაზაფხული უკვე ფრთხიალებს,
შენთვის ღრუბელმა
მომიწყვიტა წვიმის ყვავილი.



შენი ფერი

იცი, რა ძალა
შესწევთ თურმე ციცქნა ცისანებს?*
ამოანგრევენ,
დაამსხვრევენ ყოფის მეტალებს.

თვალები ჩემი
გიმახსოვრებს ყოველ ცისმარეს,
გნახავ თუ არა, –
სულერთია, მაინც გხედავენ.

მოხვალ თუ არა, –
სულერთია, მაინც ჩემთან ხარ
და შენი ფერი
ავირჩიე ათას ფერთაგან.



* ცისანა – ყვავილი, იგივე კესანე



გული-კალამი

წუთისოფელი წუთიც არ არის,
ვაი თუ ვეღარ გნახო საერთოდ,
იქნებ გაჩერდეს გული-კალამი,
აქ ჩავქრე, მაგრამ ცაში ავენთო.

თუ გადამეწვა ჩინი-ფანარი,
თვალით დანახულს იქნებ არ ენდო...
მინდა, რომ შენი ცრემლი ალალი
კი არ დამელტოს, სანთლად ამენთოს.

საწუთრო არის მხოლოდ ნაცარი,
იყოს რაც არი... ტკივილნაპენტო,
მე გავადინე სიკვდილს ლაწანი,
ტირილი მეტი აღარ გაბედო!



გულის ბილიკი

დარდებს დათოვლილს
ვკურნავ ლირიკით,
მე და ქარები
შენსკენ მოვქროდით.

ქარი ფურცლებად
ჩამოვირიგე
და დაფანტული
შენთვის მოვგროვდი.

მოდი და მნახე
შენი ფინიკი, —
სიყვარულის მზის
თაფლა-ოქროთი...

და გამინათე
გულის ბილიკი,
გადახლართული
ოკრო-ბოკროთი.





უფრო გერბერის

გვირილის არა, უფრო გერბერის
ფერად-ფერადი ფურცლის ელფერი

ვიხმე დასტურად, ქარებს შეფენილს
ავუფრიალე, როგორც ელფები.

... და უყვარხარო! – ყველა მათგანმა,
გულის კარები შეხსნა ცხრა ქარმა

და გაზაფხული სულში შეფრინდა
წინწილებით და ჩიტი-ებნითა.

მოვედი შენთან დარდის მხეველი,
აქაც და იქაც შენი მხევალი.

მე – ყვავილებით სავსე ტყე-ველი,
შენ – სიყვარული შეუმღვრეველი.





მოდის აპრილი

მოდის აპრილი
ტკბილი თაფლივით,
ირგვლივ კვირტები
ჯერარნაფუტკრი...
შეყვარებულებს
პირზე ღიმილებს
და ყვავილებს რომ
ვეღარ დაუთვლი...




სიყვარულის ქურდები

ჩვენ ერთმანეთი მოვიპარეთ
და გადავმალეთ ცაში,
რადგანაც დედამიწა გვეპატარავა.

რადგან მიწაზე გვიპოვნიდნენ
და შეგვიცნობდნენ, მაგრამ გაგვყიდა
პანაწინა, ციცქნა კალამმა.

ცაში ეძებენ ჩვენს ნაქურდალს,
იყურონ ცაში!..
საწყალ მიწაზე ყველაფერი ალუფხულია.

რა სიმწვანეა სიყვარულში,
ამ ნაქურდალშიც...
ზეცაში ახლა უსაშველო გაზაფხულია.





წკაპუნობს წვეთი

წკაპუნობს წვეთი,
თითქმის ყურთან
წკაპუნობს წვეთი
და ნასამხრალზე
იძერწება
პოეტის ბედი...
შეხვდება ნეტა?..
და გალეულ
ფიქრებს ისწორებს...
იქნებ არც იყოს
ამ სოფელში
შეხვედრა მეტი...
წკაპუნობს წვეთი...



ციხესიმაგრე

რად მიყვარს
შენში შეუცნობელი?..
მგავხარ და თანაც
სულაც არ მგავხარ.
ლალად ნავარდობს
ვალსი შოპენის
და გამოვატან
სურნელს ამაღამ.
ეს სიყვარული
მუდამ ცინცხალი
დანთებული თუ
დაუნთებელი
არ იცვითება
რატომ?! – მითხარი,
ციხესიმაგრე
აუღებელი.





ცისარტყელების ბაღში

წვიმების შემდეგ გაიფინება
ცისარტყელები... თუ გავუძელით...
ფერების გამით მოიხატება
ჩვენი შეხვედრის ერთი ფურცელი.

ამომიკოცნი თვალებს გახელილს,
ამიყვავილებ გულის ნარიყალს,
შემომერტყმები, როგორც სარტყელი,
ცისარტყელების ბაღში გამრიყავ.



ამარანტების პიკით

ცხოვრება სასრულს ერთვის,
იყო და... სულაც იყო...
მხოლოდ ვლოცულობ შენთვის,
შენ კი ყველაფერს მიყოფ —

გულს და ატმების ყვავილს,
ეს კი სოკოა — ნიყვი...
თურმე რამდენი ღამე
უშენოდ იყო რიყის.

გმალე და ვერ დაგმალე
ლიხს აქეთით და იქით,
სიყვარულია მთვარე,
ამარანტების პიკით.



გაზაფხულების თექა

ცხოვრება არის მარტივი,
სიყვარული კი რთული, –
ეს ფიქრებია სატივე
სანაპიროზე გულის.

მოვჭერი, ტივი შევკარი
და გამოვცურე შენსკენ,
ამოვიგლიჯე ეკალი,
ვწინკნი ლექსების ნეკერს.

ზეცა დაგვცერის ცხრაკარა,
ტკივილმაც დაილექა...
და მომახურე ნაქარალს
გაზაფხულების თექა.





საქანელა ზეცა

გაზაფხულია მწვანე, ცინცხალა,
ცხრაკლიტულ გულში ცრემლი მიმწვარა.

სანთლის ნაღვენთად ჩამოიცვარა...
და შენ ხარ ჩემი მხსნელი წიქარა.

რომ ამომგლიჯე დარდი ფინალად,
ამ სიყვარულმა უფრო იძალა.

ირმის რძესავით როგორ ირძევა...
და საქანელა ზეცა ირწევა...



ქოლგა

ქოლგა ვარ ფრიალა,
ნაცემი წვიმებით...
ქოხი მაქვს პატარა
და ვხარობ მცირეთიც.

შენ ვინ ხარ? ქარი ხარ?
მზის ქარგულ ძაფებით...
ჩიტივით მაგ ფრთების
მახეში გავები.

ქცეულხარ მითად და
ხარ ჩემი ბალადა...
და შენით ამევსო
ლექსების კალათა.





ეჭვიანობისა

როგორი ნისლიანი ამინდია...
ეჭვიანობისა ხო არა?!
ჩემო მწუხარისპირას გაპენტილო,
ჩემო გაბუსულო კოალა.

დროა, სანამ დაგეძინ-ძინება,
დროა, პიტნის ჩაი ავანთო,
ეჭვის ამინდისგან შემცივნებულს...
დროა, გულისპირთან გაგათბო.

თორემ ჩავცვივდებით უფსკრულეთში,
ცელი კარგად იცნობს ანატორს...
დროა, შეგაშველო წყარო პეშვით,
დროა, ეჭვებისგან გაგალლვო.

ჩემო მწუხარისპირას გაპენტილო,
ჩემო გაბუტულო კოალა,
როგორი ნისლისფერი ამინდია...
ეჭვიანობისა ხო... არა?!

ჟასმინის რტო

ჟასმინის სუნი, –
სიყვარული გულის კედლების,
ამქვეყნად ვერც ერთ ფუფუნებას
ვერ შეედრება.

დროა ისეთი,
დროა თქმის და დრო დაყვედრების,
მაგრამ ის ერთი
არასოდეს დაგეყვედრება.

და გამხნევდები
ერთი სუნთქვით, ფერფლიდან შობით,
თითქოს იმატებ
ასწლეულებს სამარადჟამოდ...

და როგორ გაძლებ,
როგორ აღარ მიეფერები...
ჟასმინის სუნით
გაუღენთილა ლაჟვარდფერები...

დღეს არ იწვიმებს...
დედამიწა ცრემლებს არ დალევს,
რადგან მტრედებმა
ჟასმინის რტო შემოატარეს.



გარბის დრო

გარბის დრო, თავპირწაგლეჯით გარბის...
და ჩვენ ვართ ისევ ორი მარცვალი...
არ მეშინია ამქვეყნის ლაფის,
არ დამწვავს ცეცხლი და არც ნაცარი

გადამეყრება, რადგან შენ მყავხარ,
გრძნობ მელოდიას ფრიალა კაბის...
და სიყვარულის იდუმალ დამღას
წამოეწევა სინათლე რამპის...

გარბის დრო, თავპირწაგლეჯით გარბის...





ბედისნერის ჩრდილში

როდესაც შეგხვდი მაშინ,
მე ხელმეორედ ვიშვი,
გავუჩინარდით ერთად
და ბედისნერის ჩრდილში

ხარ მუხასავით ჩემთვის,
ვარ ულურჯესი ია
და ფესვებს ვაწვდენ შენსკენ,
და უმძიმესი კია...



გულის სასახლეში

მოფრინდა ჩიტი და
ამბავი მიამბო,
რომ ვცხოვრობ შენში და
ქარიშხლებს მიაპობ.

ჩემო წერაყინო
და ჩემო წრიაპო,
გულის სასახლეში
ვცეკვავ და ვკიაფობ.

ტიალმა ქარებმა
თუნდ დამაფრთიანონ,
ისე მელოდები,
როგორც მთა ნიამორს.

ჩემო წერაყინო
და ჩემო წრიაპო...
მოფრინდა ჩიტი და
წკრიალით მიამბო...



უქოლგობის ხნის

ოცდაშვიდი ივნისია დღეს,
ოცდაშვიდი ივნისია, ძვირფასო,
ვეუბნები, ვეკითხები ხეს:
ნეტავ ეს მზე ხელ-პირს როდის იბანსო?..

ნეტავ როდის ავაკითხავ სხვენს...
ნეტავ როდის... რომ ჩემს პორტრეტს მივბაძო,
ბედისწერა, ბედისწერა მბლვერს...
დროა უკვე სურვილები მივბანრო.

წუთსოფელი ო, რარიგად მღლის
და სულს ვითქვამ სიყვარულის ძირასო,
უეჭველად ეს ცხოვრება ღირს
მხოლოდ შენთვის და შენ გამო, ძვირფასო.

თუმცა ხშირად ცრემლისფრადაც მღვრის,
ქარიშხლებიც მილოკავენ ბინასო...
ვარ წვიმების უქოლგობის ხნის
და თვალები მაინც შენით ბრწყინავსო.

შენიერთა კოშკი

როგორ ეიმედები
ჩემი ბედის ფერიას...
ნაცისკრალი თვალები
შენს დანახვას ელიან.

დამაპურე ალერსით,
სანამ მიწა მომშივა,
მყინვარწვერი კი არა,
შენიერთა კოშკი ვარ.

ჩამოგიგდე ნაწნავი,
გავაჩერე დრო-უამი...
ახლა გამოიცანი,
ქალი ვარ თუ შროშანი?



ცაში გადაწყდა

ჩვენი ერთობა,
დამიჯერე, ცაში გადაწყდა...
ჩვენ ფესვებითაც
უსაბამოდ ვეხვევით ერთურთს.

ამიტომ გავჩნდი...
(სიყვარული სულში გადამცდა),
გამოგაფხიზლო,
შეგანჯლრიო და დაგაფეთო...

ან ვიყო შენთან,
ან არ ვიყო, გულის ნათალო,
თან უახლოეს,
თან უშორეს ჰორიზონტებად...

ვიქნები მაინც
შენთან ერთად, ჩემო მადანო,
რომ მიღმიდანაც
გაგრძნობინო ცეცხლის მონთება.

უსაბოლოოდ,
უბოლოოდ და უნაპიროდ
ამოგიფუთნო
უსაშველოდ ძნელი ზამთარი...



და უაპრილო,
უმაისო და უსაშველო
გაგიზაფხულო ტკივილები
გვალვის ამტანი.

ჩემო სიცოცხლევ,
სიყვარული სულში გადამცდა,
ჩვენი ერთობა,
დამიჯერე, ცაში გადაწყდა...



სიყვარულის კოცონი

ფერად ძაფით ლამბავს
მონატრების მოლი
სიყვარულის ამბავს
ფაუნის და ფლორის.

ბედისწერის მზერა
ბონდის ხიდის ტოლი,
თვალებით რომ გვზვერავს,
როცა ჩიტი ორი

შევერევით ფანტელს,
ერთმანეთს რომ ვკოცნოთ,
ერთმანეთით ვანთებთ
სიყვარულის კოცონს.





ლექსებით ბოდვა

წავიდე, ვევედრო უფალს,
წავიდე, შევთხოვო შენზე,
რომ ტყემლის ყვავილი ტურთა
დარჩეს სიყვარულის ფერზე.

გრძნობა უჩვილესი, ქორთა,
ცოდვამ არ გათელოს ტერთით
და ჩვენი ცხოვრება, ორფა,
არ იყოს მდუღარის ხვრეპის.

არ ჩამოითალხოს ზეცა,
როგორც სამოსელი ბერის...
ცრემლები კოჭებთან მწვეთავს
ღვთისმშობლის ხატებთან ფენილს.

და როგორც მუხების ქერქი,
გამაძრე სიცოცხლე შენთვის,
გავსხლტები შიშველი თერგი
ცხრა ზეცის უშორეს ფერხთით.

შემწირე სიყვარულს კრავი,
რომ სისხლით განვწმინდო ცოდვა,
რას ვწერ, მეც არ ვიცი... რავი...
შემინდე ლექსებით ბოდვა.



ვიფუტკრე

ვიფუტკრე, რადგან
შენი ნექტრის მეგრძნო სიტკბილე...
და ლამის დავდნი
სიყვარულით, ისე ვითბილე.

მდინარესავით
შენი სულის ზღვაში ვიდინე
და ჩავიკარგე,
მერე თუმცა ბევრი ვიტირე.

როგორ გადავრჩი?
შენი თბილი სუნთქვა ვისუნთქე,
არ დავითუთქე,
სიყვარულით არ დავითუთქე.

სხეულში, სულში,
გულის ფსკერზე რომ ჩაგეკირე,
ვიფუტკრე, რადგან
შენი ნექტრის მეგრძნო სიტკბილე.

გადაწყდა

ზაფხულია,
მზე შენსავით მებუტება,
ვეხვენები,
სიყვარულით არ დამწვას...
უშენობით
სუნთქვა ისე მეგუდება,
თითქოს ვინმემ
სიცოცხლისგან გამძარცვა.
ეს საღამოც
უშენობით ფერხულდება,
ეგ ნატყორცნი
მონატრებაც არ ამცდა,
მძევლად ჩრდილი
დაგიტოვე... გეყუდება...
შენსკენ უნდა
გამოვფრინდე, – გადაწყდა!





წვიმამშვიდობის

წვიმამშვიდობის,
ჩემო კარგო, წვიმამშვიდობის!
შენც დაგეცრემლა
თბილი სევდა უამინდობის?

მე კი გენდობი,
უნაპიროდ, მე კი გენდობი,
გენდობა სული
და სხეულის ყველა ფერდობი.

რითი ვერთობი?
ალბათ მკითხავ, რითი ვერთობი,
ვალაგებ სიტყვებს,
ფიქრში ვტკბები ჩვენი ერთობით.

ზღვამ არ მიიღო
მდინარე და ტალღის ფეთებით
გადმოსულია...
და მდინარეს სტკივა ფერდები.

მაგრამ ბრძენი დრო
თალს ამინდებს აგვიფერადებს
და ყვითელი მზე
დაამარცხებს წვიმის ბელადებს...

წვიმამშვიდობის,
ჩემო კარგო, წვიმამშვიდობის!

როშკიონი სამყურები

ციცქნა სამყურებთან ნატოლებო,
ჩემო როშკიონო სამყურებო,
ჩემო დიდრონო და ბუთქუნებო,
თითქოს რძის ქაფიდან ნაპურებნო,
ქარის შედღვებილნო, ნათქვირებნო,
მთების მუავე წყლებით ნაფუვრებნო,
მზის და წვიმებისგან მარხულებო,
ჩემო თვალნამნამა-ფახულებო,
აბუდელაურებთან ქარგულებო,
უფაქიზეს სევდის ფარდულებო,
ზამთრის გრძელ სიზმრებშიც ნახულებო,
ხომ არ გახუნდება სიყვარული?!
ხომ არ გამტკნარდება სიყვარული?!
ბუთქა, დიდრონო და ფახულებო,
ჩემო სატრფოსთვალებნაყურებო...
ჩემო როშკიონო სამყურებო...



გვირილის ფურცლების მირქმამდე

გვირილის ფურცლების მირქმამდე,
გაჩუქე ყვითელი მზეგული,
მიყვარდი, „მძულდი“ თუ მიყვარდი,
ვიყავი მარადჟამს ერთგული.

ვიყავი ხანდახან მრისხანე,
კლდეებს ვასკდებოდი ენგური
და ჩემში არ იყო მისხალი
უსიყვარულობისებური.

ებურა, სინათლეს ებურა,
მოსავდა შეხვედრებს ქუდბედი,
მეფურად, გხედავდი მეფურად,
შენს ნახვას ღამეებს ვუთევდი.

მიყვარხარ, მიყვარხარ, მიყვარდი...
ქოხიც კი მოგირთე ლეკური,
გვირილის ფურცლების მირქმამდე,
გიძლვენი ყვითელი მზეგული.





წითელ ქოლგიდან

წითელ ქოლგიდან
ცვივა ვარდები,
წვიმა არ მოდის
წითელ ქოლგიდან,
გაფრიალდება?
გაიმართები
თუ სიყვარული
ასხამს კოკითა.





რიბირაბოთი*

სამყარო სუნთქავს რიბირაბოთი,
ათასი ჩიტი ერევა ბინდ-ბუნდს...
მე კი სახელი შენი მაბოდებს
და ხელისგულებს რიურაჟზე ვითბობ.

აი, შეირხა ფოთლები ლეღვის,
ქარმა შემოჰკურა ლამის ბუს ფრთები...
და მეშინია, რომ კისრისტებით
გამოვიქცე და დამრჩეს ჩუსტები.



* რიბირაბო - რიურაჟი

წვიმების ნოხები

წვიმების მჭვირვალე წვეთებზე
მოგწერე ლექსები წვიმების,
უუჟუნა, დელგმით თუ თავსხმებით
სიყვარულს მოვურნები ძირები.

წვიმების კრიალა მარცვლებზე
ლექსების ათასი წვრილმანი
დავწერე, დავხატე, დავწანი
კონწიალ-ხეტიალ-წიალით.

წვიმებზე წაკითხვაც გასწავლე,
ახლა სხვას მიეცეს ლხინება...
წვიმას ხომ მოჰქონდა სიმშვიდე,
წვიმას წამოვყვები ხილვებად.

მერე რა... თუ მალე დამთავრდა,
სხვებსაც მიხტომია ოხერი...
მერე რა... აქედან მიყვარხარ,
აკრიფე წვიმების ნოხები!

კამელია

ნახვამდის, ჩემო სიხარულო,
ნახვამდე გულიც გამელევა...
რა ვქნა, ამ წამიდან მოიწყინა
შენმა ვარდისფერმა კამელიამ.

მინდა შენთან ახლოს ვიმოსახლო,
რის ამაზონი და რის ფლორიდა...
ორანჟერეა ან ეზო მინდა,
თორემ გაგიძვრები ამ ფლორიდან.

მთელი ზამთარი და გაზაფხული
ვიყვავილე... დროც კი ამერია...
გიცდის, გელოდება, კამელიუს,
შენი ვარდისფერი კამელია.





წვიმაში დაწერილი

როგორი მეტყველი ამინდია,
როგორი ცოცხალი თვალები აქვს,
შეხედე, ცრემლები გაჰკვირტია,
უპეებს დარდები დალექვია.

სულის ანასხლეტებს გიგზავნიდი,
ჩემი მიწიერი სანათია...
მოვალ და უთუოდ მოგიყვები,
გეტყვი, ღამეები ქვამ ათია.

უშენოდ ციხე ვარ „მოდი ნახე“,
ლოდზე დაკანრული ბარათი ვარ,
უშენოდ ცოცხალი ჩავიმარხე
და მხოლოდ ლექსები მაბადია.






ლექსების სარეცხი

სექტემბრის ბოლო კვირას
შენთან შეხვედრა მინდა,
ერთად ვუყუროთ კინოს
და გავიშალოთ კვირტად.

დავდგათ მთვარემდე კიბე
ფიქრში აწყვეტილ ღილთა...
ლექსების სარეცხს გიფენ, –
შენთვის ცხოვრება ღირდა.



ვინ ხარ?

შენ ხარ ჩემი ქოლგა,
შენ ხარ ჩემი სახლი
და გარსია ლორკა,
საჩუქარი მაღლის.

შენ ხარ ჩემი ჩერო,
შენ ხარ ჩემი ჭერი,
ხარ ვიოლინ-ჩელო,
ჩემი ცათამბჯენი.

შენ ხარ ჩემი ქნარი,
შენ ხარ ჩემი არფა,
გასაღების კარი,
ომეგა და ალფა.

შენ ხარ ჩემი ლოცვა,
შენ ხარ ჩემი გმირი
და მაბრაზებ როცა...
ჩოჩოკინა ვირი.





წერილი ალოეს ეკლიან ფოთლებზე

დღეში ერთი ფოთოლი
სიყვარული გაწინჯნე,
გინამლებს და გიშველის
და ალარ შეგამცივნებს.

და უშველის ყველაფერს,
რაც იცი და არ იცი...
აიღე და ჩაკვნიტე
და გეყოფა ლაციცი.

ეკლიანი კი არის,
მოაშორე ეკლები,
იცი, როგორ გიხუტებ,
იცი, როგორ გეკვრები?!

სიცოცხლის და სიკეთის
ელექსირი – ალოე
სულ გაგინმენდს სისხლძარღვებს,
კუჭ-ნაწლავის კალოებს.

ჩამოლექილ ბოლმას და
წინწკილას და ნაწინწკლებს,
შიგნით გული ჩავწურე,
სიყვარულით გავძიძგე.

სხვას ვერაფერს გიგზავნი,
სხვა ვერავინ გამიძლებს...
დღეში ერთი ფოთოლი
სიყვარული გაწინჯნე.

სიყვარულის ფიქლები

შენა ხარ ჩემი მეწისქვილე,
ფიქრებს რომ მითქვავ და პურებს ვაცხობ,
ამქვეყნად რაღა გაგაკვირვებს,
ფიქლებს სიყვარულის, ცამდე ვაწყობ.

ჩადი, ლიბოს ჰკითხე ჩანაკირებს,
გულის ელჭექებს და სულის გრგვინვებს,
ნადი, გამოჰკითხე ტაძრის კვირებს,
როგორ მოგწანი და მოგირკინე.

ფქვილით, პოეზიის პურებს ვაცხობ,
ფიქლებს სიყვარულის, ცამდე ვაწყობ.



ჰიმნი სიყვარულს

დიდება სიყვარულს,
სიყვარულს დიდება!
სად ბედის ვარსკვლავი
კრთება და ინთება.

ჩამოდის მიწაზე,
მინდვრებით ირთვება,
მოფიფქულ ზამთრებშიც
გამოიკვირტება.

დიდება სიყვარულს,
სიყვარულს დიდება!
ყინვაშიც რომ გათბობს
ცარიელ თითებით.


გპირდება, არასდროს
არ გაგიფრინდება
და თვალის ჩინებად
წარმოგიდგინდება.

ვერც ხურდა, ვერც მინდი,
ვერც ქვეყნის დიდება,
ვერ სწონის საზღაურს...
ჩაგათბობს წინდებად.



სად ბედის ვარსკვლავი
კრთება და ინთება,
შრება და გილბება...
შრება და გილბება...

დიდება სიყვარულს,
სიყვარულს დიდება!



პაუზა

პარპალებს პატრუქი, ანთია,
პაუზა, ცოტა ხნით პაუზა...
თვითონვე ვიკერავ ნატყვიარს,
ვისვენებ და მღერის კარუზო.

არ მინდა, რომ სიკვდილს მადიანს
ჩემივე სხეულით გავუვსო
ნავი და ვიცურო ქარლია...
პაუზა, ცოტა ხნით პაუზა...

თვითონვე ვიკერავ ნატყვიარს...
ვისვენებ და მღერის კარუზო.





მაჩიტას* ზანზალაკი

რაც მე ამ სიყვარულს წყალი ვუსხი,
ცამდე მსუბუქია, განა მძიმე
და მზე მოჰყოლია, განა სუსხი,
ქარი მოგონებებს მიციმციმებს...

სხივზე ჩამომსხდარან ჩიტებივით,
შუალამეებზეც თენდებიან,
იბადებიანო კვირტებიდან,
მერე ცის სარკმლიდან ფრინდებიან.

მეც ეს წუთ-სოფელი მივაგროვე,
ალარ გამიხდება საძებარი,
დრო კი ბედაურებს მიაქროლებს,
მხოლოდ ლექსის რჩება ნაწვეთარი.

თუკი ბედისწერა უნდა ახდეს,
თუკი ქვაფენილებს გზა დავუთმე,
გეტყვი, შენ ხარ ჩემი მეჩირალდნე,
უფრო სწორად, ჩემი მეჩუქურთმე.

თუმცა სიყვარული გულის კლდეზე
დაშნით და საჭრეთლით გიწერია,
როგორც ზანზალაკი მაჩიტასი,
ისე უბრალო და ძირძველია.


* მაჩიტა – ზარის ყვავილი



ლექსების ნაწვეთარაზე

თმას შევიღებავ ინითა,
გავხდები შენი ხვარამზე,
ნაშენი ლექსის ფილითა
ხან ცას ვიქნები, ხან ასე

თავბრუს დავახვევ თითისტარს
გამოლწეული ჯარაზე,
მერე შეგხვდები კვირის თავს
ლექსების ნაწვეთარაზე.



მოწნული თოკით

გულში ეშვები მოწნული თოკით
და ღამეებში უმძიმეს ბორკილს

ლენავ და თითქოს ზეცა იხსნება,
გამაციმციმებ ფერად სიზმრებად...

კარეტით ქარის გავყვებით მთვარეს
და ვარსკვლავების დავმწყემსავთ ფარებს.

გათენებისას მოვლენ მჭედლები
და ბაგა-ბუგი გულის ჩერდება...

გამიფრინდება ფიქრი მტრედებად...
და ბორკილები ისევ მთელდება.



ჟამიდან ჟამად

თურმე ვარდებსაც ჰქონიათ სითბო...
მე ფრჩხილის ლაქი თეთრი მიხდება...
სისხლი დაგუბდა და სულთან მიტბო,
ტბასთან იხვები აგიფრინდება.

არ მოკლა თუნდაც ერთი მათგანი,
გაიშლებიან ცაში კვირტებად...
რჩეული შენი – თეთრი ბატყანი
ჩაგიქრება და ამოფრინდება.

მოგეფერება ჟამიდან ჟამად,
ისე მაგრად და ისე ძალუმად...
და აპატიე შვებად და შხამად
თუ შენს ცრემლებშიც ჩამოცვარულა.





ნეტა იცოდე...

გამთენისას როგორ მცივა,
ნეტა იცოდე...
აფრინდა ორბი,
ჰკვეთს ირაოს ზეცის ერწოდან...
მრჩება ლექსები
და ცხოვრება აქ საპირწონე
და არ ვკითხულობ,
ჩემზე მეტი ნეტა ვინ სცოდა...

თუკი მე შენი სიყვარული
თაფლად ვიცვარე,
სხეულგახდილმა ყვავილები
მინდვრად ვიწანი,
ახლა პასუხი არის ბასრი,
როგორც ფიწალი...
კითხვა? – რომელი ყვავილი ვარ? –
გამოიცანი.

ღია ჭრილობა – სიყვარული
სულ რომ მეწვოდა,
მრჩება ლექსებად
და ცხოვრებად აქ საპირწონედ...
აფრინდა ორბი,
ჰკვეთს ირაოს ზეცის ერწოდან...
გამთენისას როგორ გნატრობ,
ნეტა იცოდე...

ორი ტოტი

ჩვენ ნისლებიდან ამოვდიოდით
და შენდებოდა ცის „არაშენდა“,
ვიცინოდით და აღარ ვტიროდით,
თუმცა ნისლების დღე დაგვათენდა.

მსხლებზე, პანტებზე ფითრის ბუდეებს
გაუდიოდათ ჟივჟივის ნოტი...
სულის ხაპიდან თითების ფსკერებს
ვაწვდენდით ერთურთს ჩვენ – ორი ტოტი.

მიხაროდა, რომ აღარ გვციოდა,
არც შენ იცოდი, არც წვიმის წვეთმა,
ძაღლი ყეფდა და დილა ყიოდა,
იცოდა მხოლოდ მაღალმა ღმერთმა,

როგორ მიყვარდი, როგორ მტკიოდი,
ხორცგამონაჭერ ძვლების კანჭებთან...
ჩვენ ნისლებიდან ამოვდიოდით
და კონახურებს ქარი არჩევდა....



ორნი

იქნებ მზის სხივებით გამომაშრო...
ანდა საბნად მაინც მომეფინე,
თორემ გულის ძირში რა ვუშველო
ზეფირანტებსა და ჟოზეფინებს*.

თუნდაც ულრანებში წამიყვანე,
თუნდაც ტალახები მატოპინე,
ორნი ქოხის პირას ცეცხლს დავანთებთ,
შევწვავთ გულისფორმის კარტოფილებს.



* ზეფირანტები და ჟოზეფინები – ყვავილები



შავი მოცვები

მენატრებიან შავი მოცვები,
დეკიანებში გამორეული...
როგორ იპოვე... როგორ მომძებნე
და წამიკითხე წვიმის რვეული.

შავი მოცვები – ციცქნა ლოცვებით
და სამყურები ღამეთეული,
კონახურებსაც ესხათ ძონები
და სიყვარული ვერდატეული.



ბოლო ფურცელი

ფოთლები ცვივა
აივანზე და დაირაზე...
და უღარუნობენ
დაკიდული ვერცხლის ფულები.

ეს მოცეკვავე
შემოდგომა ვერ გაინაზებს,
ფიფქებთან ერთად
ჩაიბნიოს თუნდაც კუნელი.

აბორიალებს უცხო ქარი,
როგორც ნამცეცას...
და სასიკვდილო სარეცელზე
როცა დააფენს,

მაშინ იპოვის სიყვარული,
დროსაც გაწენავს...
და სათითაოდ შემოუმსხვრევს
ყინვის კანაფებს.

ის არ წაჰყვება
გაზაფხულის რია-რიაზე...
დარჩება მარად
ფოთოლცვენის უამში უცვლელი.

ფოთლები ცვივა
აივანზე და დაირაზე...
შემოჰევია შემოდგომას
ბოლო ფურცელი.



მილეულ მთვარემდე

მომინდა მე და შენ
გვეძინოს კარავში,
რიურაჟზე თავები
გამოვყოთ კარვიდან.

სიყვარულს მივაწვდენთ
მილეულ მთვარემდე,
დავანთოთ ცეცხლი და
ჩვენც მეტი რა გვინდა.

მე ცვარიც მეყოფა,
მარცვალი ხორბალიც,
ნაპოვნი სოკოც და
მთის ბჟოლის კუმპალიც.

რა სწრაფად ტრიალებს
ცხოვრების ბორბალი
და ვიცი, გულს ხედავს,
გულს ხედავს უფალი...

აბრეშუმის ჭია

მთელი ცხოვრება უჩუმრად
სიყვარულის ქოხს გიქსოვდი,
აქ დაგიტოვებ კუნჭულად,
მე კი მეყოფა იქ ლოდი.

დაუსაბამოდ გენდობი,
მეყო ამდენი ჯლოყინი...
მიწაზე შენ დაგეყრდნობი
საბერიკაცო ჯოხივით.

მერე ფრთას გავკრავ, გავძვრები
სააბრეშუმე პარკიდან...
გაჰკვირდებიან ნაძვებიც:
– ჭია იყო და გაფრინდა...





სიყვარულის წვიმა

წიწვებს ასხია წვიმა წვეთებად,
ცაცხვებიდანაც წვეთები წვეთავს,
თუ სიყვარული გულზე გედება,
იპოვე შენი წვეთი და ერთა.

ჩამოწელილი წვეთი ნანატრი
ერთად შესრუტეთ, შესვით ორივემ,
აიღეთ მერე გულის კალათი
და სიყვარულის წვიმა მოკრიფეთ.

თუ სიყვარული გულზე გედება,
იპოვე შენი წვეთი და ერთა,
წიწვებს ასხია წვიმა წვეთებად,
ცაცხვებიდანაც წვეთები წვეთავს.



სულის ხეობა

რად მიყვარს შენი
სულის ხეობა,
კრიალა წყლით და
მწიფე ანნლებით...

და ისე მომწონს
შენი ტყვეობა,
პური ერთ ჯამში
ამონაწები,

რომ ლამის დავთმო
თავისუფლება
და ვიყო შენი
ციცქნა მსახური...

და მომტირიან
ლაპა-ლუპებად
ლექსები უფლით
გადასახური.





არ მიგატოვებ

ხომ არასოდეს მიმატოვებ,
ხომ არასოდეს?.. –
მითხარი ერთხელ, მხოლოდ ერთხელ?!
და არაერთხელ...

ჩვენ ერთჯერადი
ხომ არ მოგვცა ღმერთმა სულები
და ასე რიგად
ხომ არა ვართ უამგასულები?..

თუმც ვერ ვიყენებთ...
და ლირსება გასცა წონებად...
რომ მიგატოვო,
ღმერთსაც აღარ მოეწონება.



სრულად მენილე

მიყვარს ზაფხული,
მაგრამ ზამთრის ვარ,
ზამთარმა იცის
ჩემი სიცივე...

ჯერ არნახული
შენი ფანჯრის ვარ,
შენ ხომ ვივალდთან
გამოიძინე...

წევს დაფიფქული
სტრიქონი პირქვე,
თიხად ვეზილე,
ფიფქად ვეფქვილე.

ვარ შენი გულის
სრულად მენილე,
მადლობა ღმერთს რომ...
არ შემეცილე.



სიყვარულის კორიანტელი

ხედავ? აცეკვდა,
ო, ეს ნაძვიც როგორ აცეკვდა...
ანგელოზებმა
გადმოფინეს ზეცით მტრედები.

ეს ნათლისღების
ცივი ღამეც ერთად გათენდა...
ფიფქავს სითბოში,
არ არსებობს სიტყვა – „ვბერდები“.

რადგან სიცოცხლე
მოგვანიჭა თავად უფალმა
და ბრწყინვალება
ვარსკვლავების, ფოლიანტების...

და მაგ ფეხებსაც
როცა დაგბან კუმპალ-კუმპალად,
მაშინ დადგება
სიყვარულის კორიანტელი.

სიჩუმე ხმაურობს

სიჩუმე ხმაურებს ანგრევს...
იქ არა... აქ უფრო ცივა...
მირეკავს ცელოფნის პარკებს...
ჩვენ კი ფოთლები გვხვდა წილად.

შემარქვი, რაც გინდა უტყვი...
ჩემით გაგითენებ დილას...
მითიდან მოვიხმე შურთხი,
რომ ჩვენთვის ეზიდა თივა.

ზამთარი მოგვადგა ყუნწზე,
მინდვრებს კი ფიფქები რთვილად,
შენს სუნთქვას თვალებით ვუსმენ
და წუთისოფელი მტკივა.



თუ უჭირს მიჯნურს

თუ უჭირს მიჯნურს,
ცხენი შეკაზმე,
აღვაზმულობა? –
თხემით ტერფამდე.

თუნდ არ გწყალობდეს
ქუდბედი და სვე,
სულის ამოსვლის
ამობერვამდე...

ირბინე, სანამ
უკვდავების წყალს
პეშვით და საცრით
არ მოუზიდავ...

და გათენებაც
არ დააყოვნებს,
და გათენებაც
ამოვა მზიდან.

ირბინე მზემდე,
მზემდე ირბინე,
მომხვეჭელიდან
წადი ქველამდე...


ჩამოურიგე
მერე ღატაკებს,
ცის გაზაფხულის
ამოკვერვამდე.



გონებას ღამით ღვიძავს

გონებას ღამით ღვიძავს,
გონება ფხიზლობს ღამე,
შაქარყინულის კვნიწად
გავისუსები ხვალე.

არ გეხუმრები, ვფიცავ,
ქარს ვატან დარდის კვამლებს...
როგორც კი გნახავ, იმ წამს
შენი დანახვა გამლევს.



თუკი მიმიხედავ...

თუმცა ქარიშხალი მიმაქროლებს,
იებს ვეფერები, იაკონებს.

მიწის მიზიდავენ მაგნიტები,
მაგრამ ზეცისაკენ ავკვირტდები.

აქ სულ დღენიადაგ ყაყანია,
იქ კი სიმშვიდეა რახანია.

ვიცი, გამებუტე, არ მიყურებ,
მაგრამ სანამ მიწას დავიხურებ...

ერთიც მოიხედე ავდრიანო,
სიტყვის პატრონობა მადლიაო.

ღმერთი თავის სანთლებს მიგატოლებს,
თუკი მიმიხედავ იადონებს.





ხარ უთბილესი და ხანაც ცივი

ხარ უთბილესი და ხანაც ცივი...
დაგეკარგები მწვანე მოლიდან...
გულისპერანგი დამილბა წვიმით,
სულში იმდენი წვიმა მოვიდა.

თუ არ შემიშრობ ცრემლის ნატორალს,
წვრილი ბილიკით წავალ მზიანეთს...
გამომიდარე, სანამ მარტო ვარ
და შენს სხეულში ჩამაზიარე.





ლამეს უთევს

ვიცი, თუ რარიგად მომიფონებ,
მერე უსაშველოდ მომიგონებ.

ნეტა სად დამიკრეფ მაგდენ ვარდებს,
უსასრულობაში ლამენათევს...

ქვეყანა შენზე რომ მაფერილებს...
დაჰკოცნი ნაფეხურებს, ქვაფენილებს...

და მოიგონებდი ჩვენს ბედ-წუთებს,
შეყვარებულებს რომ ლამეს უთევს...



წიო-წიოდან

მთელი ლამე გნატრობდი,
მთელი ლამე მციოდა,
ამოვედი შენამდე
ჩემი წიო-წიოდან...

და დარდების მაგიერ
და ცრემლების მაგიერ,
თვალებიდან სინათლე
და ლექსები მცვიოდა.

ამოვფოფხდი შველამდე,
ლექსის გადაფრენამდე...
და შენი ვარ მარადუამს
უკანასკნელ ფერამდე.

მთელი ლამე გნატრობდი,
მთელი ლამე მციოდა...
ხომ მოვედი შენამდე
ჩემი წიო-წიოდან.

თუ გინდა, აუშვი აფრა

თუ გინდა, აუშვი აფრა,
არ უნდა გაგეშვას საჭე...
შენი რომანტიკით მაბნევ,
თან მიწის ცხოვრებას მაჩვევ.

შეხედე ფერიებს, ნიმფებს
და გულის ახეულ ლანჩებს...
შეხედე შვლებსა და ირმებს
და სულში მორბენალ არჩვებს.

რა ვუყო ფიქრების ნაპრალს,
არ ვიცი, ვიცხოვრო როგორ...
თუ გინდა, აუშვი აფრა,
მე მაინც ვეკუთვნი ლოგოსს.





სად ცხოვრობს სიყვარული?

ღმერთმა დაგაჯილდოვა
სიყვარულის უნარით,
მთავარია, გჯეროდეს,
სიყვარული სულ არის.

არსად მიდის არასდროს,
შენში ცხოვრობს ის ერთი,
თორემ რა დაგრჩებოდა,
გაყინული ქვის მეტი.






პაუზის მერე

პაუზის მერე
ექვსი წელი როგორ გავიდა...
მსუყე სიყვარულს
მივირთმევდით ერთი ქვაბიდან.

ჩემს თავზე მეტად
გენდობოდი გემის კაპიტანს
და გაცრეცილი იალქანი
მიწვა ნაპირთან.

თან ვუფრთხილდები
შენს ნაფეხურს, უფრო ნათითარს,
თან ვიპადები
მზის წატეხილ ათინათიდან.



ქარს შევატოვებ ერქვანს

ქარს შევატოვებ ერქვანს...
მომენატურე და... რა ვქნა...
ნეტავ, რა უნდა ერქვას,
დარდის არშია-მაქმანს?!

შევემატები ბუხარს,
გადავიქცევი სულად,
მხოლოდ სიზმარი თუ ხარ,
არ გავიღვიძებ სულაც.





ქარიშხალი მოგინანიებს

მე არა... რადგან მეკარგება ყოველდღე ძალა,
რადგან ცხოვრება გადამექცა შხამად და ძმარად.

რადგანაც შენი დედოფალი შენ ვერ გიცვნია,
არ შემიძლია არ გნატრობდე, არ შემიძლია...

წუთისოფელმა ხელისგულზე შემომიცოტა...
მე არა... მაგრამ რომ მიყვარდი, ღმერთმა იცოდა.

მე არა... მაგრამ დაწურული გული დალიეს,
ქარების ეტლით ფოთოლცვენით ამამთვარიეს.

ხმა გაუცვდებათ შემოდგომის ტრფობით არიებს...
და ჩემს მაგივრად ქარიშხალი მოგინანიებს.



თუკი მომისწარი

ჩემი გაზაფხულის ყვავილები,
ციცქა ლექსებივით ნაცელქარნი,
ისე უღრიალებენ, წკრიალებენ,
როგორც წინწილები, როგორც ზარი.

მგონი თეთრ ღრუბლიდან ჩამოვვარდი,
ბუტკო-მტვრიანებმა მასხეს წყალი,
მერე გულყვითელამ კაბა მიძღვნა
და მეც მზის ფერებთან ვიწანწალე.

მაგრამ მოიღრუბლა... ოთხი წვეთი
წვიმა დამეცა და დავიბენი...
თუნდაც შორეთიდან დამიძახე
და სიზმარში მაინც მოვალ ფრენით.

ბალახ-ბულახების სურნელი მაქვს,
თავზე სტრიქონები მოვიწანი...
დელგმა ვერ წამლეკავს, თავს ამოვწევ,
თუკი მზის სხივებად მომისწარი.

ისევ წერილი

ჩემი წერილი განახო მინდა, –
ჩუქურთმა, გულის ჩამონათალი,
შენთან მოვრბივარ მგელთა ხროვიდან,
სულში გამდნარა ოქროს მადანი...

ჟამსაბრუნავი ისევ მაციებს,
თუმცა მდუღარე მეწვის ტერფები,
შენთან წვიმამდე თუ მოვალწიე,
ვიცი, სიყვარულს ავედენთები...

მე ბედისწერას გავეთამაშე,
მოდი, მომხედე წერაატანილს...
რომ უმოწყალო ჟამისთევაში
გადამიწონო დარდის ავდარი.






მზის აპაზანები

მე შენთვის ვიღებ მზის აპაზანებს,
ქარვის ჩქერებში ბანაობას რა დამაზარებს...

რომ სიყვარულის მწველი სითბო ჩამოგიტანო
და დაღლილ მხრებზე დაგაფრქვიო, კლდეო პიტალო...

მანამდე კიდევ ბევრჯერ, კიდევ ბევრჯერ გინატრებ
და ჩემს სხეულში შეგიგროვებ მზის ათინათებს.



სიტყვის მარეკად

გადავიქეცი სიტყვის მარეკად,
ვიმარმარე და კიდეც ვინალე...
თოვლს დააბრალე ჩემი დარეკვა,
ჩემი დარეკვა თოვლს დააბრალე.

მაშინაც თოვდა... კრთოდა სიცივე,
ყინვა და თოში რარიგ მთბილობდა...
რა ვქნა, გულიდან ვერ მოგიცილე,
რადგან ზამთარი ჩემთვის თივობდა.

ახლა დეკემბერს ავეზარდახშე...
ციდან დაეშვა თეთრი ფარდები...
მადლობელი ვარ, შუა ზამთარში
ამომიყვანე ყოჩივარდები.





მე ნაწვიმარი ფრთებიც მეყოფა

დღეს ჩემს ეზოში ქარია სუფთა
და შენი თავი ამ ქარს მაგონებს...
ვაი, მას, ვისაც უვლია უფრთოდ,
მას შეენიოს არსთაგამგონე.

მე ნაწვიმარი ფრთებიც მეყოფა,
ნუთისოფელიც, – სხვათა ნაქონი...
არ დაანებებს სულის ხელყოფას
და სასწაული არგანაგონი

მოხდება, რადგან მთავარანგელოზს
ტერფების ახლოს ვაახლებ სუნთქვას...
ოლონდ ცოდვებმა არ გადამქელოს
და დედამიწას დავითმენ გულქვას.

გულს დავუთბილავ გულგრილთა ურდოს...
დარდის ლოდებსაც გადავაგორებ...
ვაი, მას, ვისაც უვლია უფრთოდ,
მას შეენიოს არსთაგამგონე...

ქაცვი თუ ლელი?

ვინ გამოგრიყავს
ჩემს გულამდე, ქაცვი თუ ლელი?
საით მიდიხარ?!
ჭაობია მანდ გასავლელი.

წისქვილს ვგავარ და...
სხვაც ბევრია გადასავალი...
ვიღებ კალათას
და ორთავე სოფელს სალამი.

არ ვეძებ ირმებს,
ოცნება რომ მოვითარებო...
იქნება ვინმებ
უფლისწული ნახოს გომბებო.

ცრემლად მინთიხარ
თვალებში და... წამოვალ ფრენით,
ვინ გამოგრიყავს
ჩემს გულამდე, ქაცვი თუ ლელი?





სამყურას სუნი

როგორც მოთქეშილ აპრილის წვიმას
ვერ გადაურჩა უქოლგო ქალი...
შემომეფეთე ცაცხვების ძირას,
იყავი წვიმა და სხვისი ქმარი.

არც სახურავი ვინატრე სახლის,
არც თბილი კერა, არც ცეცხლის პირი...
წვიმის წამნამებს, მიწამდე დახრილს,
სწონიდა ღმერთი თავისი პინით.

და მეც ბალახი ვიყავი ლორთქო...
მოვარდი თქეში ფოთლების სურით...
და შეგიყვარე... არ ვიცი, როგორ...
და შეგატოვე სამყურას სუნი...





სხეულში უკვე ვეღარ ვეტევი

სხეულში უკვე ვეღარ ვეტევი,
როგორც ულრანში დამფრთხალი ნუკრი,
ზამთარი გულში მიჭერს მარწუხებს,
თან მეშინია ცეცხლის და ბუხრის.

თოვლზე უამრავს ვტოვებ ნაკვალევს,
ჩემი გულივით გაპობილ ჩლიქებს,
წიფლის კვირტივით ჩუმად გნატრობდი,
ამას ვერასდროს შენ ვერ გაიგებ.

დაფეთებული დავეძებ უფსკრულს...
ზამთარი ჩემს სულს ფიფქებად პენტავს...
და ვეკითხები საკუთარ აჩრდილს:
— ქარიშხალი თუ დამიტევს, ნეტავ?



შენ თუ გგონია

შენ თუ გგონია, გადავყვები ერთ ლერ პაპიროსს,
შენ თუ გგონია, ჩამიყოლებს ჭიქა არაყი...
არგონავტივით მოადგები ჩემს სანაპიროს
და კიდევ ცხრა ზღვა რომ გექნება გადმოსალახი,

მაშინ მიხვდები თუ რა არის ერთი საჟენი
გული ქცეული კლდის ლოდების კორიანტელად,
მაშინ მიხვდები, რომ არ არის ქვეყნად საშველი,
როგორც გგონია სიზმარეთში, ისე არ ხდება.

მაშინ მიხვდები, წუთისოფელს რატომ „ვემტერე“,
მაშინ მიხვდები, სიგიჟემდე როგორ მიყვარდი...
და თუმცა წლებით ამ ცხოვრებას შემოვეთელე,
დარჩება გულის ანაბეჭდად ჭრელი მიხაკი.

უკვე ფერებიც დაჰკარგვია მთვარის საფირონს,
აღარაფერი არ მაკვირვებს ქვეყნად ნანახი...
შენ თუ გგონია?! გადავყვები ერთ ლერ პაპიროსს,
შენ თუ გგონია?! ჩამიყოლებს ჭიქა არაყი...



ნლების შემდეგ წასაკითხავი

თოლიასავით ვრცელი როა
შენი სიკეთე,
ზღვასაც ამშვენებს...
თევზი რომ ხარ...
უთქმელად ცასაც,
მაგრამ თუ მთასთან
სასუნთქი გზა გადაიკეტე,
ცხრაკლიტულს, კლიტეს
და გასაღებს მიაგნებ არსად.
მწყერის მწყაზარი
ბუმბულიც კი ვეღარ გიშველის,
რაც გინდა დასწვა,
ვერ იპოვი სიტყვებს შიმშერის.
ჯვარიმც გწერია...
წუთისოფლის გკიდია ყულფი...
როდის? არც როდის!
და ვპასუხობ უდიდეს ლუპით, –
მზის ამონამწვით და საჭრეთლით
ვკვეთ ზეცის თაღზე
იმას, რაც მებრძვის, რასაც ვებრძვი,
რაც სხივით მავსებს...
ვის გამოც სული და სხეული
ჩამომიღამდა...
იხსენ, უფალო,
დაიფარე, ვინაც მიყვარდა...



ლამის პალიტრაზე

მალე დაიწყება ქარის აგონია,
ქარში გაიშლება დალის ნაწნავები...
თითქოს გაზაფხული სულში არ მქონია,
ისე აკივლდება ფიქრი ნაწვალები.

და ჩემი თითები, ყინვით აცრილები,
მაინც გაჩუქებენ სითბოს თამარქალურს,
ლამის პალიტრაზე ფერი ნაციები...
მზეს ყურძნის მტევნებში ვეძებ გადამალულს.

როცა ჩემს ქათქათა ფიქრებს მიგათოვე,
თითქოს დაგამსგავსე ცისფერ მოლანდებას,
ახლა ჩამოჯდება ტოტზე სიმარტოვე,
მერე ფეხაკრეფით მოვა მონატრება.





არ მყოფნის ძალა

არ მყოფნის ძალა, ეს ცხოვრება რომ მოვითმინო...
დამისხით ღვინო, ძვირფასებო, დამისხით ღვინო.

და ღვინო ესე, პოეზიით იყოს ნაკურთხი,
რომ არ შეირყეს ბალავარი გრძნობის ქვაკუთხის.

უღერდეს მუსიკა და მოცარტი ილენდეს თითებს,
არ დააბრალონ ზღაპრის გმირებს და წარსულ მითებს,

რომ სიყვარული ცოცხლია, ცეცხლზე თამაშობს,
პოსეიდონის იგერიებს როცა ქარაშოტს...

შენ კი გახსოვდეს იანვარი და ცხრა ივნისი,
ცისარტყელაზე როცა კრთოდა ჩუმი ირისი...

სულის ჩუქურთმა, სხეულზე რომ იყო ნაგრილი,
ამგელოზებს რომ ჩამოვარდათ ციდან გრაგნილი.

ვიდრე დაეშვა, ბორიო ქარს შემოცელა...
ნეტავ, ბოლომდე წამეკითხა... ნაბედისწერალს...

ქისტები, ცხენები, ღრეობა აულის...


ქისტები, ცხენები, ღრეობა აულის...
როცა სულს ჟრუანტლად და ცეცხლად დაუვლის.

როცა იგიზგიზებს ღამე მოკისკისე,
ო, არ მომეფერო, მხოლოდ მომინისლე.

მხოლოდ მომინისლე სულის აკლდამაში...
მე აქ უსაშველოდ მომბეზრდა თამაში.

და თუ შემოაღწევ მკვდარ ფარაონამდე,
მინდვრის ყვავილები გულუხვად მოჰყანტე...

იქნებ გამაცოცხლო... იქნებ გამაღვიძო...
უნდა შემომფიცო!.. უნდა შემომფიცო...






მასწავლეთ მოთმინება

გული გამიყინეთ ტრფობით უკურნელი,
თოვლის სიჩუმით და ფიფქის ჩუქურთმებით.

თვალებახელილი, უძილო წამწამები
შენზე სადარდებელს რატომ მაძალებენ...

ჩვენი განშორება ალბათ დრომ ინება...
მასწავლეთ მოთმინება... მასწავლეთ მოთმინება...



ციცინათელას ლამე

ციცინათელას ლამის ციმციმით
უფსკრულეთიდან ამომაცინე...
მე ვიცი, კიდევ ერთხელ ვიმზევებ,
მე ვიცი, ერთხელ კიდევ ვიწვიმებ...

და გაგიგრილებ წვიმის წვივებით
გვალვაგამოვლილ ტერფების სიცხეს,
ამოგიშუშებ გულის ნაპრალებს...
რომელიც უკვე გადაივიწყეს.

აგიჩახჩახებ ციცინათელებს,
სულში ჩაგიფენ იებს კონებად, –
ამოივსება ყველა უფსკრული
და შენ სიზმარი ნუ გეგონება.

მცივანა მთვარე როგორ ჩაგადნა,
რარიგად დარჩა ჩვენზე მითები...
გეტყვი, გაგიმხელ დიდი ხნის შემდეგ,
რატომ გიყვარდა პირამიდები.

შენ ერთგულება არ მაპატიე

შენ ერთგულება არ მაპატიე,
არც სიყვარული... არსად ღალატი,
რამდენი ღამე ერთად ვათიეთ,
არ ჩამიცვია შაჰის ხალათი.

და არც შარაზე* მივლია, რადგან
ჩემი გზა მქონდა ამორჩეული,
გულიდან სისხლი მდიოდა ათგან
და შენ იყავი ჩემი რჩეული.

როდესაც მთვარეს გადავეფინეთ,
გაქრა ქაჯი და გაქრნენ ალებიც
და მოპარული ვარსკვლავებივით
თვალებში გვენთო ნაკვერჩხალები.

რამდენი ღამე ერთად ვათიეთ,
არ ჩამიცვია შაჰის ხალათი,
შენ ერთგულება არ მაპატიე,
არც სიყვარული... არსად ღალატი.

* შარა, შაჰი (სპარს.) – შაჰის გზა



კესანე

როდესაც მარტივით ვტიროდი,
მზის სხივმა გამითბო შენსავით
ცხვირი და ხელები, მერე კი
გავბრნებინდი პატარა კესანე.

ქარებმა მოგპარეს სურვილი
და შენი სურნელი მასუნთქეს...
ნუ მოხვალ, ნუ ახსნი ნურაფერს...
რაღაცა ხომ უნდა დასრულდეს.





მოვარდა ქარი მსტოვარი

მოვარდა ქარი მსტოვარი:

– შენზე ფიქრიო უხარის...

მე კი კუთხეში დავმჯდარვარ,
ვაბოლებთ მე და ბუხარი.

– ქარო, ზამთარი წამიღებს...

ატირდებიან მუხანი...

ან არაფერი არ უთხრა,

ან მიყვარხარო, – უთხარი.



მიყვარხარ

აღარ მინდოდა შენზე მეფიქრა,
მაგრამ მითხარი, საით გავიქცე,
სული კბილებით ახლაც მეჭირა
და შეფრთხიალდა გული სამიწე.

იმ გათენების უნდა დავლიო,
ლამე გიკოცნო მხრებზე ნახური,
გახსოვს? რარიგად შევრჩით ალიონს,
სულში წვეთავდა მზე არნახული...

და ვთენდებოდით, როგორც მთის ბროლი
და ვაბრწყინებდით გადაულახავს,
თუმცა გვჯეროდა, ვიყავით ორნი,
ჩვენი გულები უფალს უნახავს.

არ შევხვდებოდით აღარასოდეს, –
უსიტყვო ფიცი დავდეთ ორივემ...
ცხოვრება აღარ მოგვიღვარცოფებს,
ვით ბედისწერის ხაზი ოლივერს.

ოლონდ გადარჩი, ჩემო ქავ-ციხევ,
გადავიქცევი ზეცის არღუნად,
ამ სტრიქონებსაც თავზე დავიხევ
და სიყვარულის კარებს დავხურავ!

წერილი

იმ შუადღეზე ჩემი გულის ფეთქვა იხსენი,
ჩამოიხსენი, ბორკილები ჩამოიხსენი...

და გაიხსენე სურნელება ჩემი თმებისა,
დამელოდები? თუ სიცოცხლე კიდევ მეღირსა...

მერე რაა რომ, ჩუქურთმები სულის ჩაშლილა,
მერე რაა რომ, იყიდება გული არშინად...

მე არას ვყიდი, ერთგულება ვიცი ესოდენ,
აგერ კიბიდან გავისტუმრე ოქროს მეზოდე.

და მირჩევნია აიმ ჩიტის გული წითელი,
რადგანაც ვიცი ფასი მუხის, ფასი ცირცელის...

რადგანაც მზის და მთვარის შუქი მმოსავს ძირძველი
და ვარსკვლავების ბეჭედი აქვს წერილს მიწერილს...

დამელოდები? თუ სიცოცხლე კიდევ მეღირსა...
გაგახსენდება? სურნელება ჩემი თმებისა...



როცა მოგენატრო

შენი მიმოზები ისევ ცოცხალია,
ისევ ცოცხალია შენი ტრფობის ალი,
რა ვქნა, თუკი დარდი ფიქრის ორწყალია,
რა ვქნა, თუკი მიტევს ტანჯვა მოსისხარი.


იის ფარდაგად და მდელოდ დავეგები,
მამადავითზე რომ თეთრი შინდი არი,
როცა მოგენატრო, მოდი ბილიკებით
და გზას მოგასწავლის დედა მარიამი.





სიჩუმის ლოცვა

ეკლესიაში
სიჩუმე ლოცულობდა,
თითქოსდა ანგელოზს
აენთო სანთლები,
მოლურჯო ღამე
სულში ჩამწურვოდა,
როგორ მენატრები...



ამაოდ ვეძებ

ამაოდ ვეძებ
ცისფერ ზმანებას,
ცხოვრება არის
ცირკის მანეჟი.
მე დაგიტოვე
მძევლად ტკივილი
ფართოდ გახელილ
თაფლა თვალებში.
თუკი ფიჩებში
ეძებდი სითბოს,
ჩემშიც იპოვი
ფერიცვალებას, –
შემესისხლხორცა
თმააწენილი,
ისტერიული
მარტის წვალება.
სულს დამისველებს
დარდებით წვიმა,
ლრუბელს მანდილად
მხრებზე ვეფარე
და ტორებიდან
დაგეშილ ღამეს
განთიადივით
გამოვეპარე.



მეგობრის პარათიდან

მე შევიყვარე ოცნებებით მთვრალი ასული,
ფიქრების მეპყრა ულაყები ცით სულნასული.

ჰორიზონტს მიღმა დაქანცულმა მაინც ვიალე,
გავცურე როცა შვიდი ზღვა და ცხრა ოკეანე.

ვიყავი ღამე... ქარიშხალი... შმაგი, გიუური,
გონდაკარგული, გაფრენილი გული მიჯნურის.

ვნებას სადავე ჩამოვხსენი... როცა გათენდა,
მკლავების ცეცხლის მარწუხებში იგი დამნებდა.

ასე მეგონა, გვირილების ზღვაში გვეძინა...
და თმები მისი ყელზე სუნთქვად შემომემძივა...

თან იყო სუსტი, თან ფაქიზი, თან ამორძალი,
იყო აისი, ცისარტყელას დანაკოცნარი.

ვტყორცნიდი ისრებს სიყვარულის, როგორც კენტავრი,
ეს ცხადი იყო თუ სიზმარი, ღმერთო, ნეტავი...

მე შევიყვარე ოცნებებით მთვრალი ასული,
ჩემი ცხოვრების დასაწყისი და დასასრული.

განთიადისას ძელიცხოველთან

განთიადისას ძელიცხოველთან
ვეღარ მოესწრო წირვას, –
მგლისფერ უფსკრულებს თავი შეაკლა
ქანცგანყვეტილმა წვიმამ.

ბლაოდა ქარი, იგლეჯდა სამოსა,
მიწასაც პრდლვნიდა თითქოს,
ეძებდა წვიმას, მის ჩამქრალ თვალებს,
მისი სისოვლის სითბოს...

ბოლოს იპოვა უფსკრულს ჩანთქმული
და გაფანტული თმები,
აკრიფა ყველა, დაჰკოცნა ყველა...
შემდეგ გაშალა ფრთები...

წუთისოფლისგან თუკი ოდესმე
მეც დამატყდება რისხვა,
ვიცი, რომ მოხვალ, მერე ქარივით
ამკრიფავ მისხალ-მისხალ.





დარდის წინდები

დარდის წინდები შემომაცვდა, იცი, რარიგად?!
გამსკდარი გულიც, გაგლეჯილი, მრავალჯერ ვკემსე...
შორს ყვავ-ყორანმა ხორცი ჩემი ჩამოარიგა,
ჩამოარიგა და იყოფენ თაკარა მზეზე...

შენ მოგინატრე, თვალებში რომ ჩაჰერა სინათლე,
ავეკანკალე აკაციას, როგორც ფოთოლი...
დედასამყაროს თიხასავით უნდა შევადნე
და არა როგორც, ერთი ვინმე ტორეადორი...

დარდის წინდები შემომაცვდა, იცი, რარიგად?!
გამსკდარი გულიც, გაგლეჯილი, მრავალჯერ ვკემსე,
შორს ყვავ-ყორანმა ხორცი ჩემი ჩამოარიგა,
ჩამოარიგა და იყოფენ თაკარა მზეზე!!



ნუ დამპირდები

ნუ დამპირდები, ო, ნურაფერს ნუ დამპირდები,
თორემ ხელებს და თვალებს შუა გაგიფრინდები.

ინანებ მერე, მაგრამ უკვე გვიან იქნება,
გაგიჭირდება ჩემი გულის კუთხის მიგნება.

ნუ დამპირდები, საოცრებებს ნუ დამპირდები,
ვიცი, ზამთარი დამაბარდნის თოვლის ფთილებად.

შენს სუნთქვას ქარი გააყოლებს ზღვების დინებას
და ისიც ვიცი, ჩემნაირად გადაირევა.

ნუ დამპირდები, არარსებულს ნუ დამპირდები,
მე დავიღალე წუთისოფლის მძიმე „ფლირტებით“.

და აღარ ძალმიძს ვითამაშო არარსებულად
როლი, რომელშიც შენ წინაშე დავმარცხებულვარ.

მე დავიღალე... გესმის უკვე მე დავიღალე,
შენ კი დაეძებ სიტყვებს, როგორც ირმების ხალებს.

იმ დღესაც მტკვარზე ცივი იყო დეკემბრის ღამე
და ვარსკვლავები მდინარეში ჰყარეს და ჰყარეს...

ნუ დამპირდები, ო, ნურაფერს ნუ დამპირდები,
თორემ ხელებს და თვალებს შუა გაგიფრინდები.

დღესაც უკრავდა ვილაც „ელიზეს“

ჩვენ ვსაუბრობდით მაშინ „მერიზე“,
დღე იმსხვრეოდა როგორც ალმასი,
დიდხანს უკრავდა ვილაც „ელიზეს“
და გვიყურებდნენ მზერით ავაზის.

მარტის შეტევით ლონემიხდილებს,
შემოგვისახლდა სევდა თვალებში...
და ენძელები როცა მიყიდე,
მახსოვს, საღამოც მოვითარეშე.

მაგრამ დემონი პერანგით გიჟის
კვლავ მადევნებდა მზერას დაგეშილს
და ჯადოსნური ფერების ჩრდილში
გადაგემალე ზღაპრულ სარკეში.

დღეს მეფიქრება ისევ „მერიზე“,
შეცდომებისთვის ნუ გამიწყრები,
დაღესაც უკრავდა ვილაც „ელიზეს“
თავდავიწყებით...



ბედნიერება

ბედნიერება დაიბადა
სადღაც ფარულად...
ქარიან ლამეს თურმე
ჩემთან გამოპარულა...
გზაში სამი დღე მოფრინავდა,
როგორც პეპელა
და რომ მოვიდა, კართან
გული გადაეფერა.



ნაზამთრალ ბალებში

მე მქონდა მარადუამს სულის ნაოჭები,
სახის ნაოჭები, – არასდროს...
ვიცი, რომ მოხვალ და ფიქრის დაუნჯებით,
ვიცი, რომ მოხვალ და გამათბობ.

მერე უსაშველოდ ჩამოთოვს ზამთარი...
დამზრალ ქრიზანთემას გამყინავს...
და შენ მოვარდები თავადაც ავდარი,
დამკოცნი გათოშილ ნალერალს.

მერე ავტირდები ნაზამთრალ ბალებში,
მერე ავტირდები რარიგად,
ვიქნები უფსკრული და ფიქრი ნაგეში
და გადავიქცევი ნაპირად...

შემომეფეთება ზღვა ვერცხლის თითებით...
შეშლილი სიგიჟე მშვიდდება...
და გულს გამოხრავენ ლექსები – სკვითები...
და შენი ნახვა მომშივდება.





მცნობდა შენი ძალლი

მცნობდა შენი ძალლი
და კბილებით
ისე დამიცავდა...

თვალის ხამხამებში,
უკუნ ღამლამებში
ნთქავდა ნამიწართა.

ჩინს და უჩინოთა,
შურს და უშურველთა,
ხილულს, უხილავთა

სისხლსაც უყინავდა...
თეთრი, მოკლე ბეწვი
ტანზე უბრდღვინავდა.

ახლა უშენობის
მზერა ნაგაზური
გულში ტყვიებს მახლის.

როგორ მომენატრეთ,
როგორ მომენატრეთ
შენ და შენი ძალლი.



თეთრ ედელვაისებს დაგიკრეფ მთებიდან

– თეთრ ედელვაისებს დაგიკრეფ მთებიდან,
ფეხქვეშ გადაგიშლი მარაოდ,
მიწაზეც გაცხოვრებ, ზეცაშიც გაცხოვრებ,
ზღვებზეც კი გაცხოვრებ, ქალაო.

ოცნებას ახდენილს მზის სხივად დაგათოვ...

- არაო, არაო, არაო...
- გულსაც ამოვიგლეჯ, ლექსებად დავწურავ,
ამდენი უარი კმარაო.

ჩემი სიყვარული და ჩემი დიდება
ბევრს შეშურდებაო ფარაონს,
წამებით ლამდება, წამებით თენდება
და დარდის მორევში ვბანაობ.

ჩემო ჩანჩქერო და ჩემო გათენებავ,
ჩემო მზეკაბანა ყანაო...
რატომ არ მიყურებ, რატომ არ მომყვები,
რატომ მაბეჩავებ, ქალაო?!

და ქალის პასუხი ყვავილის ბაგიდან:
– მიტომ, რომ ბოკვრები მყვანაო...

ქარებმა ეს ლამეც მინალეს

ქარებმა ეს ლამეც მინალეს...
თეთრონი გაფრინდა თეთრადა...
ვიცი, რომ ოდესმე ინანებ
სიშორეს ერთ ვინმე კენტავრთან.

იქნება ძალიან გვიანი
აპრილის სხივების პენტა და
საფლავი იქნება ქვიანი,
ყვავილი? – უთვალავ ფერთა და

დარდებს მე რა ვუყო მოქერილს,
ფიქრებს მე რა ვუყო ნათოვლარს,
სიზმარს რაღა ვუყო მოგონილს,
ნეტავი სიკვდილი მადროვა.

უკვე აღარასდროს მოგელი,
კვალიც აღარ შემრჩა სიცელქის,
ძალლივით დავყნოსე ლოგინი,
ლოგინი, რომელშიც იწექი.





ამ დღესაც მიითვლის ზეცა

ამ დღესაც მიითვლის ზეცა,
დაცხრება დაღლილი სული
და უღვთოდ დალენილ ლერწამს
გახაზავს სიკვდილის ზოლი.

გეტყვი, რომ მოვედი შენთან,
სიმღერა დავტოვე – მადლი,
სადარდელ-საწუხისერთა
ცხოვრებას ვით შემოვადნი.

რომ ყველა ტკივილი კვდება,
ლექსების ტკივილის გარდა,
მე თავად ვიქცევი ფრთებად,
მერე ვიქორწინებ ქართან.

უკაცო კოშკი ვარ მახვშის
და დედაკაცობაც მშვენის,
ოდესმე ედემის ბალში
ხელები მომხვიი შენი.

ამ დღესაც უთუოდ მოწვიმს,
თოვლიც აირევა მთებში,
სული დაიღლება ლოცვით
და მზეში მიპოვი შეშლილს.

ამ დღესაც მიითვლის ზეცა,
დაცხრება დაღლილი სული
და უღვთოდ დალენილ ლერწამს
გახაზავს სიკვდილის ზოლი.


ცოტა ხანს მაინც

ცოტა ხანს ცივმა გასტანოს ზეცამ,
არ გამოისხას შინდმა ყვავილი...
შარშან ქარიშხალს შემოელენა
და დამრჩა ლექსი ტუჩზე ხალივით.

მე კი ცოტა ხანს არ შემაჩერო,
ცოტა ხანს მაინც გითხრა – მიყვარხარ...
ფრთები ოცნების გადამირჩინე,
წუთისოფლისთვის შემოვინახავ...

თორემ ჩუქურთმებს ჩამომათლიან,
შემომაშველე სიცოცხლის პეშვი,
თორემ მომკლავენ დილაადრიან
ამ კაცთმოძულე წუთისოფელში.

მომძებნე ჩქარა, ჩქარა მომძებნე,
თორემ გამექცა გული არჩვივით,
ერთი წერილი მაინც მომწერე –
გადაარჩინე გადასარჩენი.



ქალი-კენტავრი

გასკდება გული, – ვერ გავუმხელ ვერავის დარდებს...
მაგრამ რად მინდა, ცრემლი ჩემი სხვას მოვახვიო...
ფერად სიზმრებში აგეზლაპრე და აგელანდე
ქალი-კენტავრი უბელო და უ-უაღვირო.

ჩავესახლები თვალებს შენსას და შემდეგ წავალ...
და მერე ისევ ტკივილამდე მომენატრები,
დალდასმული ვარ ბედისწერით, – ვიარო ცალად,
მცვივა ცრემლები, – ვარდისფერი ოლეანდრები.

შენ, წუთისოფლის ბორკილები ჩამოიხსენი,
არ შეგეშინდეს თვალი უცებ რომ გაახილო,
აღარ ვიქნები, არ მომძებნო... და გაიხსენე
ქალი-კენტავრი უბელო და უ-უაღვირო.





გადავილალე ქარის თარეშით

გადავილალე ქარის თარეშით...
დგახარ და მიმზერ, მხედავ თმაშეშლილს...

მე გავიპარე წუხელ მიწიდან,
მწუხრზე ცრემლები ჩამომიცვივდა.

და მივატოვე ჩემი ორლობე –
ფრთამოტეხილი ჭრელი ხოხობი.

დავტოვე მიწა, დარდით ორსული,
ზეცას ავფრინდი, ზეცით მოსული.

ვკოცნე ღრუბელი – თეთრი წაწალი,
მერე მთვარეზე ავენანნალე.

მოდი, გაგიყო ჩემი ხმიადი,
ოლონდაც ლექსი ზეცას მიანთე...

ერთი ფიალაც კიდევ დაცალე,
სანამ ჩამოვშლი კიბეს – ნაწნავებს.

ქარიშხალში მაძიებლის წერილიდან

შენს თაფლის თვალებში
ყანა ისარკება,
თვალები გქონია როგორი...
დარდებს რომ მოათრევ ბარგებად,
ფრთები დაგემსხვრევა, გოგონი...
პეპელას ფრთები კი
როდემდე გაუძლებს
ამ მეხთატეხას და ქარიშხალს,
მაგრამ მე მაინც ეგ
თვალები მაოცებს
და თითქოს ჯვარ-ხატმა მარისხა.
შენთვის მიკრეფია
ქორბუდა ხარირემს
ოცნების ყვავილი ყინულზე,
ლირიკის მუზა თუ
აღარ იყვავილებს,
ისევ შენ, ისევ შენ იმუზე...
შენ უნდა გაუძლო...
შენ უნდა იქარო...
ცხოვრება გაგთელავს მოცელილს,
ჩემო პეპლისფრთება,
ფარფატა... ფიქალო,
მე შენ ქარიშხალში მოგძებნი!..



წუთისოფლის ბატონები

ვიდრე ციდან ვარსკვლავები ჩამოცვივა,
ვიდრე სული დამშვიდდება ნაწამები,
ცის ბილიკზე მიმავალი გეტყვი – მცივა
და მშოლტავენ ქარიშხლების ნაწნავები.

ვიდრე მარხილს შეაბამდეს შემოდგომა
და ზამთარი დამადებდეს თოვლის ხუნდებს,
კიდევ ერთხელ დამიქროლე, როგორც ქორმა
და წასვლისას, გეხვეწები, ჩამეხუტე.

– რა წასვლაო, რის წასვლაო – მკითხავ რაზე?!

აჲა, გული ნაკორტნი და ნატორები...
დავიღალე ამ დაწყევლილ ქვეყანაზე,
მოვიხადე წუთისოფლის ბატონები.



სულის ბარათი

გთხოვ, მაპატიე, გამოპარვა იმ სამყაროდან,
სადაც ვსულდგმულობ მეთხუთმეტე წელიწადია...
მაშინაც შენთან მოვფრინავდი, მომიხაროდა
და ჩავიყინე, ქვის სხეულში სული ვათიე.

შენ კი დაგინდო ბედისწერამ, ალბათ, უყვარდი...
სიკვდილ-სიცოცხლის ბეწვის ხიდმა ცა რომ გასერა...
მახსოვს, ფიფქებით შენდებოდა თოვლი მუხლამდე...
დამფარა ბოლოს... ტვირთსიმძიმე დრომ შემახსენა.

ქარიშხლის სხეულს ჩავეკირე, ჩავეგვირისტე
და მომენატრე, ფრთაფარფატავ, როგორც არასდროს,
აღარ შემეძლო... ბედისწერა ვერ ავირიდე,
ჩემშიც აჯანყდა გაზაფხული, მკვდარი ამანთო.

ქარიშხლის ფესვებს ამოვყევი ჩანაკირები,
თითქოს ათასი ქარ-ბორიო ერთად მორეკეს,
შემოგალენე ნეკნები და კაბის ღილები,
კინალამ ხელში შემომაკვდი... გონს რომ მოვეგე,

მოჰვავდი უკვე გაფურცლილ და ნატანჯ გვირილებს...
და შემებრალე, ჩავიბრუნე სულის კვირტები,
აჯანყებული გაზაფხულიც ჩავიტრიალე
დახეულ ჯიბედ... რომ მოგიყვე, გაგიკვირდება...

ქარიშხლის ძვლებში ჩავიკრიფე... ძვირად დამიჯდა
იმ სამყაროდან გამოპარვა, ძალა მეფური...
როგორ დაგინდო ერთმა ნამმა, ერთმა ნაბიჯმა...
გთხოვ, მაპატიე, რომ დაგარქვეს ქარწალებული.



ყველაფერს და არაფერს

გადამხმარა გვალვისგან მინდორი და ოცნება,
უკვე ჭირსო – ამბობენ, გზის და ნამის მოძებნა.

შენ კი რად მიმატოვე, ჩამომექცა ცრემლები,
ერთ თიბათვის საღამოს, როცა მოვიცელები...

როცა ჩამჭკნარ ყვავილებს ქარი მიწას დამაფენს,
მაშინ გეტყვი ყველაფერს, ყველაფერს და არაფერს...



იცი?

იცი? რომ ქუჩაში თვალს აღარ ვაცეცებ,
სხვებს აღარ გამსგავსებ უკვე...
ბელურებს ვაპურებ ტრფიალის ნამცეცით,
არ ვადგენ შეხვედრის რუკებს.

მიყვარდი ძალიან... არ გნატრობ ძალიან...
ნედლი შეშასავით იპო
გრძნობა, მონატრება, შენთვისაც მწარეა...
გვეძახის სხვადასხვა ლიბო.

ჩვენს თავზე თმებიც კი ყოფილა დათვლილი,
არ გვწვავდა ჭორების ჭავლი...
გახსოვს? შეხვედრების შეშლილი ადგილი,
ჩემი ნაჩუქარი ჯვარი...

მზეზე დაკიდული გრძნობების სათიბი
და ორი მთიბავი თავის...
სიყვარულს ჰქონია ჩუქურთმა ნატიფი
და სუნთქვა უთბილეს კრავის...





ერთი სიტყვა

მე ვარ ქაოსი,
თუმცა გული დარდს უფრო იტევს...
ზამთრის ხახაში
ჩაყინული, ალბათ, ცრემლიც ვარ,
იქნებ უშველო
ჩემს გაყინულ, დაღალულ თითებს,
იქნებ ზამთარიც
შეგაფეთოს ჩემმა წერილმა.
წუხელი სულში
ნისქვილივით ბორგავდა ლექსი,
ხარირემივით მოლოდინი
თითქოს ბლაოდა
და შეგცივდება,
როცა მოვა ვიღაც და გესვრის
გათოშილ სიტყვას
ყინულების თეთრი ხაოდან.
ცრემლი გავლლვები გაზაფხულით, –
დაგიცდი დიდხანს,
სანამ შორიდან
მზის სხივების სითბოს მომფენდე,
იქნება მითხრა,
ერთი სიტყვა იქნება მითხრა...
და ცეცხლს მომიტანს
გაზაფხული, როგორც პრომეთე.



არ დაიჯერებ

არ დაიჯერებ და მაინც გეტყვი,
ჩემი თვალები რომ მიგნაცრავენ,
რომ ერთი ციდა, ფარვანა გულში
მარტის ქარები ჩავინაწნავე.

რომ ქარიშხალის ქალი ვარ – სული,
წრეგადასული ვისაც უყვარდი,
მერე მოგკალი ჩემივე ხელით
და პანაშვიდიც გადაგიხადე.

არ დაიჯერებ და არც გჯეროდა,
როგორ ტიროდნენ სულში იები...
მე კი მესმოდა მიწის ტკივილი
და ჩუმი სუნთქვა მეთოვლიების.

არ დაიჯერებ, რადგან მიწა ხარ,
ქარი წაიღებს ქარის მონატანს...
მე გაგახსენებ როდენის „კოცნას“*
და ბეთჰოვენის „მთვარის სონატას“.

არ დაიჯერებ და მაინც გეტყვი,
ჩემი თვალები რომ მიგნაცრავენ,
რომ ერთი ციდა, ფარვანა გულში
მარტის ქარები ჩავინაწნავე.

* „კოცნა“ – ოგიუსტ როდენის ქანდაკება

დღელამსამოსი

„ცხოვრება უნდა შეცვალო“...
მეგობრის შეგონებიდან

დღე და ღამე რომ ტანზე მაცვია –
ცხოვრება, ვიცი, უნდა შეცვალო...
მაგრამ რა ვუყო მერე მზენვიას
და ამონთებულ გულზე ენძელას.

კონკიას კაკლით ნაპურებ ციყვებს,
ჩხიკვებს, რომლებიც ბუდეს ეძებენ,
ოცნების ტბიდან გაფრენილ იხვებს
თუ არ ვკიდივარ ფეხზე, – ვერ ძლებენ...

ვით დაგიბრუნდე ნეკნი ნაწვიმი,
ქარის რხეულო, ჩემო ლერწამო,
ვთქვათ და... აგივსე გულის ბარძიმი,
მერე ხელიდან გამოგეცალო?



ბევრჯერ იზამთრებს

ჩაზიარებულს შენს სხეულში, ნაფერებს სულში,
ზეცა მასველებს, ნულარ მკითხავ, რა დამასვენებს...
ნამწამებიდან რომ მოჟონავს სიშავე ტუშის,
ნუ დააპრალებ წვიმასა და ღრუბლის ნასერებს...

მითხარი, რა ვქნა, ქრიზანთემებს თოვლი დაედო,
მითხარი, რა ვქნა, რომ ძვლებამდე ჩამდის სიცივე,
მიდის კვირები და თვეები უერთმანეთოდ,
რა ვქნა, დათვივით რომ ვერაფრით გამოვიძინე.

ბევრჯერ იზამთრებს, ითოვლებს და ჩამოიწვიმებს...
ვიღაცა მოვა, შემომხედავს და გაიცინებს...





იყვავილებენ ნარიყალები

ერთ ქარიშხალსაც კიდევ ავიტან,
არ გავიქცევი კუნძულ ტაიტზე...
ამ ქვათაცვენას და უშენობას
ფარფატა სული თუკი დაიტევს.

რამდენჯერ უნდა ჩავყვე დაისებს,
ამოფრქვეულო ტრფობის ვულკანო...
რამდენიც უნდა მიარო მერე,
ვერ შემოლენავ ციხეს უკაროს.

აღარ შემომრჩა დარდის საგზალი,
აღარც ცრემლების აწამწამება,
ცხოვრება ჩემი ლექსად დავცალე
და საუკუნე იქცა წამებად.

რა ნიაღვრებმა გადაითქორეს,
ცრემლით აღივსო სულის ღარები...
და ჩემი გულის სასაფლაოზე
იყვავილებენ ნარიყალები.



უ-უმწიფესი

გაუსაძლისი ყოფა,
გაუსაძლისი წამი...
მოვალ, ჭრილობებს მოგბან,
ოღონდ მითხარი რამე.

ოღონდაც მიხმე შენთან,
თავს დაგადებ და მორჩა,
მერე წაგიყვან შველთან,
ღრუბლის ფთილაზე რომ ჩანს.

მაქვს სამკურნალო მზითვი, —
ბალახ-ბულახი, ცრემლი...
დარდის ლოდების ზიდვით,
რომ არ გტკიოდეს წელი.

მიგის-მოგისვამ გულთან,
გულს გაგიმრთელებ ჩემით,
ჩამოგხსნი დარდის გუდას,
ვიქწები შენი ჭერი.

ფიქრი ფერებად წვეთავს...
მოგფენს ციცაბო ღიმილს,
ვიქწები შენი მზე და
უ-უმწიფესი ხილი.

მოღლილი ფრთებით მოვედი შენთან

მოღლილი ფრთებით მოვედი შენთან,
ცისარტყელებმა გზა მომანიშნეს...
ყველა ტკივილი გადამიშენდა,
აღარ ვიყავი თითქოს სანიშნე...

რომელსაც ათასს ესვრიან ტყვიას
და შეაჭრიან დალის ნაწნავებს...
უთქმელი დარდიც რომ შეგიტყვია,
თვალის ნისლიც რომ შემომაცალე.

საიდან... როგორ... რარიგ დათვალე
ჩემს სულის ზღვაში ყველა ნიუარა...
შემოდგომის ჟამს აგითავთავებ
სიყვარულს, თუკი არვინ იშარა.

თუკი ვიმარსე და ვიმერკურე,
ვით უძველესი ქართველ-ბასკელი...
უზარმაზარი წაიღე გული
და წვიმის წვეთი უკანასკნელი.





სხვა არაფერი

ვხედავ ღრუბლებზე სევდას შეფენილს,
რად გამაცოცხლე მკვდარი ყვავილი,
რად მომაბრუნე წყაროს შეფებით
და რატომ მიხმობ ირმის ბლავილით...

ოდესლაც ნატვრად, კელაპტრად მენთე,
ოცნება ჩაჭკნა და სულს ღაფავსლა,
სული ქარიშხლით რად დამიფეთე,
რად შეაერთე გზები სხვადასხვა.

წელიწადები ფოთლებად მიხმა,
არეულია ფიქრებიც, ფერიც...
ცის სილურჯეში, წუხილის მიღმა,
რჩება ლექსები, სხვა არაფერი.



ლექსების გუდა

ამაღამ მოვა თოვლი
და უთეთრესი განცდა...
არარსებული მოვის
პერანგი უკვე გაცვდა.

ლილები ყრია ცაში
ნაწყვეტი უამის თევით,
ვრჩები ყოველდღე ბავშვი
ამოუცნობი ფრთებით.

გაოცებული დროის
თვალები დამდევს რადგან...
თეორიები ფროიდს
ამოუ-უშლელ ლაქად...

გადაგაფარებ ფარად
მთაში გამოწვრთნილ გულს და
ვარ ტყუილების არა,
მაგრამ ლექსების გუდა.

რომ ნაწვეთარას* ძირში
ვგავარ სალი კლდის ნაშალს...
და სიყვარულის ცრემლებს
გულის ქვესენელში ვხარშავ.

ვცხოვრობ ხანდახან ასე –
თვალებავსილი სილით,
დაგეკიდები ხავსზე
ცხოვრების ერთი გზირი.


* ნაწვეთარა – წვიმის ფარდა პირიქითა ხევსურეთში

ლექსის ჭირნახული

თუმცა მარტია და ლექსის ჭირნახული
უკვე გამოვწურე ჩემი მარანიდან...
ერთხელ გამიხსენე, ერთხელ მინახულე...
მე ხომ გადმოგყურებ მთვარის ფარანიდან.

თევზი ქარიშხლებში თუკი უფრო მოდის...
ლექსიც ქარ-წვიმებში ღამენათევია...
აჰა, სამოსელი გიჟისა და ლოთის,
ცრემლის ნამსხვრევები... ხედავ? რამდენია...

ერთხელ გამიხსენე, ერთხელ მინახულე...
მე ხომ გადმოგყურებ მთვარის ფარანიდან...
თუმცა მარტია და ლექსის ჭირნახული
უკვე გამოვწურე ჩემი მარანიდან...





ნახატი „შემოდგომა“

ვხატე „შემოდგომა“
თითის მწვერვალებით,
ყველა თბილი ფერით.

სულის ნახატია,
რადგან დედამიწას
რჩება – არაფერი.

უნდა შემოგავლო
ჩემი „შემოდგომა“,
გულში ჩაგიხუტო.

რადგან უშენობის
წყეულ მათრახებმა
მროზგეს – დავრჩი ურტო.

რაც მე ამ ქარიშხლებს
ცრემლად შევერიე,
მიყრის ცრემლის ხურდებს.

ჩემი „შემოდგომა“
სულზე შეგალიე,
ისე ჩაგეხუტე...



ხევსურეთისკენ

ხევსურეთისკენ წავედით ორნი,
თან გავიყოლეთ ფიქრების თქორი.

და დიდხანს სულში ფერებს ვხატავდით...
მოისურვილა ქარმა ხახმატი

და დათვისჯვარზე ავარდა ქშენით,
დაგვსდევდა მუზა – დამფრთხალი შველი;

ლექსებს, ვით ბალახს, ფრთხილად ვუწვდიდით
და მთვარის ნათელს მთებში ვუცდიდით.

ღამის სითალხით გადანაფერი
გამოჩნდა ცაზე ირმის ნაფრენი.

წინ მიგვიძლვოდნენ თოვლში ამქრები –
ნაკვალევები დათვის და მგლების.

და გზა აგვებნა უფსკრულის პირზე,
მზეს მოვუხმობდით, როგორც პირიმზე.

გუდანის ჯვარი როცა ვახსენეთ,
ჩვენ გზა ვიპოვეთ მხოლოდ მას მერე.

მივუყვებოდით ძაფის ბილიკებს,
დევებმა ნისლი გადაირეკეს.

განთიადამდე ვიარეთ მთებში
და საზღაპრეთში, შორს გადავეშვით...

სიყვარულს ფიფქად თავზე მათოვდი,
სიზმრის კოშკივით სჩანდა არდოტი.

გამოგვაფხილა წყაროს ხმაურმა,
გული დასწურა ზვიადაურმა.

მუცოში ჯიხვით დაგვხვდა ბეჟანა,
ლექსი შეგვაპა ყელზე ეჭვანად...

და აბოლებდა პაპა ყალიონს,
ამბობდა, დავკლათ ერთი ხარიო...

და გაიმართა დიდი დღეობა,
ძმად გაგვეფიცა მთელი ხეობა...

კაფიაობდნენ ქერჩო და ოტო,
ხვალ სიყვარული იებად მოთოვს.

მწუხრში აუღერდა სიმები ქართა,
მუცოს მთა ნისლში ოლიმპოს ჰეგავდა...

და ისვენებდნენ მთაზე ღმერთები,
ლამის ფერებით ნახავერდევი...

და როგორც სული მოხუცი მისნის,
დედიშობილა აფრინდა ნისლი.



მეთოვლიებით...

მახსოვს, ნისლებში შევერიეთ
მხოლოდ ჩვენ – ორნი,
გიყვარდი ისე, როგორც უყვარს
მთას ნიამორი.
შენი ლიმილი, შენი სულის
ნისლიც მიყვარდა...
ცისკენ გაგვექცნენ ოცნებები
და დაგვიღამდა.
ვერვინ გაიგებს, რას გვიპირებს
ბედი ლიტონი,
ხვალ შეიძლება ცრემლად გვექცეს
ზღვა – საფირონის...
მაგრამ უფალმა
ანგელოზი ზეცას მიხატა,
მეთოვლიებით გადათეთრდა
მაშინ ხიხათა.





შუადღე შარახევს

შარობდა შუადღე შარახევს,
ზეციდან გვიმზერდა მწიფე მზე,
ბანალურ ყოფიდან ანახევს
მზენვია გალობდა წიფელზე...

კალმახით არაგვისპირულით
უხვად ივსებოდა კალათი,
ლექსები შევწირეთ ბინულებს*,
დავკარგეთ ამქვეყნის სანათი.

და წამსვე ვიპოვეთ მწიფე მზე,
რომელიც გვავსებდა მარადღე...
და ჩიტი გალობდა წიფელზე,
შუადღე შარობდა შარახევს.



* ბინული – წყარო

თუკი სიყვარული...

თუკი სიყვარული სასჯელია,
უნდა ჯოჯოხეთის ცეცხლი ვლოკო...
სულზე დაღები რომ მამჩნევია,
როგორ მოვიშუშო, ღმერთო, როგორ...

თუკი სიყვარული ცოდვაა და...
იქნებ მომიტევო შეცოდება...
თუკი ტრფიალებას დროს გავატან,
წუთისოფელიც კი მეცოდება.

მე ხომ ნაფიქრალი თაფლად ვადნე,
არ მსურს სიძულვილმა გადამლენოს,
ღმერთო, რა მოხდება, რომ მიყვარდეს,
ღმერთო, რა მოხდება, შეგეხვენო.

გთხოვ, რომ ჩემი გულიც ფართხალებდეს,
რა ვქნა, ბილიკი მაქვს დაღარული,
მინდა სიყვარული მახარებდეს,
შენ ხომ თავადვე ხარ სიყვარული...

სულზე დაღები რომ მამჩნევია,
როგორ მოვიშუშო, ღმერთო, როგორ...
თუკი სიყვარული სასჯელია,
უნდა ჯოჯოხეთის ცეცხლი ვლოკო.



ნეტავი, ვინ არის...

შემოგეპარები, როგორც მთას იელი,
მერე ვიდიეზებ, მერე ვიმაჟორებ...
გეტყვი, რომ ყინვაში აგემთვარიელე...
და ჩემს ჩახუტებას ვეღარ მოიშორებ.

თოვლსაც და ზამთარსაც გაგიდნობ პირმლიქვნელს,
გათოშილ ლამესაც წინდებად დაგიქსოვ...
და ბედისწერისგან ნაფიფქი იფიქრებ, –
ნეტავი, ვინ არის უდაბნოს ქარისო.



ქვებზე ძველია

შენ რომ გინდოდა ლამე ელადის
მოხარულიყო ქვებზე უდაბნოდ...
და სიკაშკაშე მაღალფერადი
მთვარე – მახვილით ცას მივუდაფნო...

მე რა გაუწყო, რით მოგიურვო,
სიყვარული ხომ ცეცხლზე მწველია,
სულო ეულო, გულო ქვიურო,
ეს სიყვარული ქვებზე ძველია.

დაიმახსოვრე! დაიმახსოვრე?
რომ ქარიშხლები ირმებს წველიან...
მე რა მაყოვნებს? მე რა მაყოვნებს...
საუკუნე ხომ ერთი წელია.





მახსენდება, როგორ არა

მახსენდება, როგორ არა...
მოვარდნილო ჩემში ქარად.

მაოცებდა უღრანი და
ქოხი, ცეცხლი, ბუხარი და

ციყვის ხტუნვა მუხებიდან
და დიყების ქოლგები და

გამოსული ბელი ტყიდან...
ალბათ, ეს სიზმარიც ლირდა.

ვქანაობდით ხიდზე ბონდის,
მეძახოდი, მომიხმობდი:

– ფარად უნდა აგეფარო
და მძინარე მოგიპარო.

ფოთლის პეშვით ვსვამდით წყაროს,
ჩურჩულებდი: – ჩემი ხარო...

ახალწლის ღამეს

ახალწლის ღამეს ვერ მოვალ შენთან,
ვერ დაგიმზადებ თაფლის გოზინაყს...
თოვლის გადაღმა გიყურებ მზედან,
სიტკბოს გიგზავნი გულის კოვზიდან.

და შენი გულის ისმენს ბაგა-ბუგს
გულისყური და უკვე თენდება...
ცხოვრების ტრიალს, ზამთრის ბაქა-ბუქს
მოაქვს სითეთრე ყინვის დენდებად.

ვერ მოგილოცე, ვერ მოგეფერე,
ვერ ჩაგიხუტე, ჩემო ძვირფასო...
სული სიცივით ამომიხუთეს
და ქარიშხლებმა მითხრეს: – სძინავსო...

ფიფქების მიღმა ნაცნობი მზერა
რომ გაგალვიძებს, იგრძენი მაშინ,
გიყურებ მზედან, მოვდივარ მზედან
ყვავილების და სიცოცხლის მარშით...

და ამ ახალ წელს თუ ვერ გიძლვენი
თაფლის მურაბის ტკბილი ბასილა,
არ მოიწყინო, ნუ გამიწყრები,
სითბოს გაჩუქებ მერე ასწილად.



ზღაპარი იქნება

ვიცი, რომ მოხვალ და... ზღაპარი იქნება...
გული გაყინული, ცრემლად დამდნარიყო...
სიზმარი ხელებში მალე გამიქრება
და ჩვენი ცხოვრება იყო და არ იყო.

ვიცი, გასაწირად რომ არ გამიმეტებ,
ლიმილიც მალირსე, თუკი მალოდინე...
ისე ვეჭიდები ჩამოშლილ იმედებს,
როგორც დალის ნაწნავს ძველი მონადირე.




ნახე? როგორ დნება თოვლი

ნახე? როგორ დნება თოვლი...
შრება ზღვა და ცვდება თორი...
ჩამეხუტე ჩქარა თორემ,
ახლოვდება ანატორი.

წუთისოფელს ავენონე
და დარდებმა გადამძოვეს...
გადამისვი თავზე ტორი,
ვარ შეშლილი სალვადორი.

ნახე? როგორ დნება თოვლი...





ბონაპარტული

კუნძულ ელბაზე შენც მოგელის გადასახლება,
მარტოობაში ამოგძვრება სული ცოდვილი,
რაც ვერ შეძელი, გააკეთონ ანი ახლებმა,
მე კი დავრჩები შენი ბალის ბოლო ცდომილი.

გაგიჭირდება, მაგრამ ალბათ, წარბს არ შეიხრი,
გული ხომ გიცემს ნაპოლეონ ბონაპარტული...
მიტოვებული შლეიფივით შენ ხარ შეიხი
და ჭრილობები შეგეხსნება მეფე არტურის.

ცაზე მოძებნი ფეხდაუდგამ მწვერვალს ათოვლილს,
მარილის ლოდის დაგაწვება როცა სიმძიმე,
ჩუმად დაჰკოცნი შესამოსელს ღრუბლის მადონის,
მონატრებასაც წეროებად ჩამომიმძივებ...

გამომიგზავნი მოხავერდო სიზმარეთიდან
იებს და ნერვით რომ გამოხრავ ლოდინის ფილებს,
სასწორის პინით გამომიწვდის ყვავილს თემიდა
და მეც ერთი დღე უსაშველოდ ვიჟოზეფინებ.

უშენობას გავექცევი მთებში

უშენობას გავექცევი მთებში,
დარდს შევაკლავ არდოტსა და ხახმატს
და არღუნის გადარეულ ჩქერებს
კალმახივით ავუყვები აღმა.

და ვინ იცის, მოვეჭიდო კიდეც
ბედისწერის ჩამოგდებულ ნაწნავს,
მკითხე, რატომ დავუკოცნე წვიმას
ცრემლი, შენი ბაგების ნაცვლად.

წავალ, სადაც ერთგულება ბუდობს,
ედელვაისს არ გასვლია ჟამი,
წავალ, წვიმის ჩამოგიშლი ფარდას
ჩვეული და უჩვეულო შარმით.

წავალ, სადაც დაგივიწყებ იქით,
დაქუეხის* სიამაყე მმწყემსავს,
ცოტა ბალახს, ცოტა დილის ნამს და
ყვავილის წვენს ვიმყოფინებ ხემსად.


უშენობას გავექცევი მთებში,
დარდს შევაკლავ არდოტსა და ხახმატს
და არღუნის გადარეულ ჩქერებს
კალმახივით ავუყვები აღმა.

* დაქუეხი – მყინვარი აღმოსავლეთ კავკასიონზე



რატომ გეგონა...

ცოტა იყო თუ... ბევრი გიცადე,
მერე ვიხილე ფერიცვალეთი...
რატომ გეგონა გარდავიცვალე,
მე ხომ ნამიდან მზეში წავედი...





მზე ჩადგა

მზე ჩადგა დათოვლილ ნაძვებში,
დათოვლილ ნაძვებში მზე ჩადგა,
მჭვირვალე მთის ბროლისთვალება
ნათელი ემოსა ფერთადგამს.

ჰაერი ნათოვლარ-ნამზეურს
ესურნელებოდა თაფლითა,
მზის სხივთა ნაფენი დავართე,
ლექსები გიქსოვე ძაფითა.

ნაფრენი, შენ სულის ნაფრენი,
ნაფენი ემოსა ფერთადგამს...
მზე ჩადგა დათოვლილ ნაძვებში,
დათოვლილ ნაძვებში მზე ჩადგა.




ფარდა

მწუხარება არასოდეს გინახავს?
ხელისგულზე აკენკილი დარდად...
რა ელოდა შენი ბედის ჩირალდანს –
გამჭვირვალე, სიფრიფანა ფარდას.

ქარიშხალმა გაიტაცა უეცრად,
ზამთრის ბალში მიუჩინა ბინა,
ყინულ-ცრემლებს ყინვა როგორ ულენავს
და ნამქერიც ქარმა შეაფინა.

გაზაფხულზე უპოვია მებალეს,
არვინ იცის, იმ მებალის გარდა,
რომ მზის სხივი კიდევ ბევრჯერ შეალებს
გამჭვირვალე, სიფრიფანა ფარდას.

მწუხარება არასოდეს გინახავს?
ხელისგულზე აკენკილი დარდად...




მელანქოლია

როდესაც კარზე
მათხოვარივით
მომადგებოდა
მელანქოლია,
ზღვისფერთვალება
ლექსებს ვჩუქნიდი –
სიმდიდრე მეტი
მე არ მქონია.
ახლაც მესტუმრა
და ჩამომენგრა
ჩემი ოცნების
ხარაჩოები,
თუკი დამინდეს,
თუკი მაცალეს,
დაგიპრუნდები
ყაყაჩოებით
და თუ გამწირეს,
ცისფერ ნაპირთან
ამღერდებიან
სირინოზები,
ჩემი ობოლი
ლექსისამარა
ფარული სევდით
შევიმოსები.



გარდავიცვლები,
გამიხსენებენ
ისევ ლექსები –
სიტყვის ლოთები,
ჩვენც თუ ვერ შევხვდით
ამქვეყანაზე,
იმ ქვეყნად მაინც
დაგელოდები.





ცეცხლის შუქურად

ასი წლის შემდეგ ისევ ისე ველი თენებას...
ისე კი არა, ქარიშხლების ფრთებს რომ ენება...

მოგეპარები ცეცხლივით და გეტყვი იდუმალ:
– უკვე ზამთარმა ჩემს სარკმელთან გამოითოვა...

ნისკარტს ნისკარტზე მოგადებ და მოგეფერები,
ტყის ფრინველების მოგენატრა, ეგებ, ფერები?!

არ გაგეცინოს... ვარ ჩიტივით, ხანაც ციყვურად,
ცხოვრების ქუდი ვერ მოვირგე და ვერ ვიხურავ.

სულში მინთია პოეზია ცეცხლის შუქურად,
მოდი, სამყარო სანამ სულ არ გადაბუგულა...



ისევ ნილოსი

სითბო ვარ სულის, შენი სითბო, სულის მალამო,
სიტკბო ვარ გულის, გამიძელი, თუკი გაუძლებ...
და სიყვარული, შენ რომ გინდა გაასაამო,
მთვარის თაღების ზესკნელამდე რატომ გაოცებს?!

ფიქრის წნელებით ჩამოიწნა ლამის კარავი
და სიბნელეში შეფრთხიალდა სადღაც ეროსი...
და ჩვენ ორს შუა გამქრალიყო... იყო არავინ...
და ჩვენ ორს შუა მძვინვარებდა ისევ ნილოსი.

ისევ ნილოსი... და ცხოვრების ქარიშხალები...
ისევ ქვესკნელი და ტკივილი ჯოჯოხეთური...
შენ კი კვლავ გინდა, დამიკოცნო შველის ხალები,
შენ კი კვლავ გინდა, დაიპრუნო ლამე ხეთური.

და გამაცოცხლო, გამაცოცხლო ასგზის, ორასგზის
და სამოსელი შემომაფცევნა ტანზე სრულიად,
გინდა ნილოსმა წარიტაცოს შალი მონაზვნის...
ფრთხილად იყავი, სანაპირო დანისლულია...

ფიქრის წნელებით ჩამოიწნა ლამის კარავი
და სიბნელეში შეფრთხიალდა სადღაც ეროსი...
და ჩვენ ორს შუა გამქრალიყო... იყო არავინ...
და ჩვენ ორს შუა მძვინვარებდა ისევ ნილოსი.

ნეტავ იმ ჩიტს


ნეტავ იმ ჩიტს,
რომ იკეთებს ბუდეს,
ნეტავ იმ ჩიტს,
თბილი რომ აქვს კერა,
მე კი ამგვარ
ნეტარებას, ჩემო,
ვერ ველირსე,
ვერ ველირსე, ვერა.
ტყის ან ზღვების
დასავალთან, სადმე,
ნეტავ მქონდეს
საკუთარი ქოხი,
არ ვითვლიდე
წუთისოფლის წამებს,
არ მხედავდნენ
ასე სუსტს და მოლლილს.
ნეტავ ფრთები
შეგესხმოდეს ახლა
და შეგეძლოს
ჩემთან გადმოფრენა...
ნეტავ იმ ჩიტს,
რომ იკეთებს ბუდეს,
ნეტავ იმ ჩიტს,
თბილი რომ აქვს კერა.



ფიცარზე დაწერილი

ჩემი სიყვარული მიწაზე არ ცხოვრობს,
თუმცალა ყოფილა მიწაზე,
ვავედრებ ღვთისმშობელს და უფალს – მაცხოვარს,
ზის ფთილა ღრუბელზე, იცავს მზე...

ქვადქცეულ გულებმა, ო, როგორ მაღონეს
და შეგხვდი სამყაროს მიმწვარზე,
ჩვენს მწუხრის სიყვარულს უფალი აცხოვნებს,
მიყვარხა! – დაწერილს ფიცარზე.



დედას გაფიცებ

ჩამშრალი ფიჭა გადამივსე გოლეულივით,
ამიჭიხვინე ტრფიალების ბედაურები.

ნაზარდი ძვლებზე, წინაპრების ნაერთგულები,
მიწის სიღრმიდან ამოზიდე თაიგულები.

ჩემი ლექსების მშენებელო, ჩემო მეთაღე,
შენ ხომ დარდები უნაპირო ამივენახე;

მიქციე ზვრებად და იმ ღვინით დღესაც ვითვრები,
ნეტავი რატომ მიყურებენ ასე ფითრები...

ალბათ, ცხოვრება გამილენავს მაღე ლავიწებს...
ჩემთან იყავი, არ დამტოვო, დედას გაფიცებ.





როგორ მოგძებნო

როგორ მოგძებნო, რა გზას დავადგე,
მგონია, თონეს ჩავენაცარე...
გულში ნაკვერჩლის დავდგი ბანაკი
და ვარსკვლავებიც ფეხებს დამწვავენ.

შენ კი მიწაზე დახეტიალობ
და წუთისოფლის ეპრძვი კორიდას...
დონ კიხოტო თუ ოხერ-ტიალო,
მანდ, ალბათ, ახლა თოვლი მოვიდა.

აღარ შემომრჩა ცრემლი ნამცვრევად
და თუ მოგბეზრდა ყოფა-დებოში,
გამოვატანე ჩიტებს მოწვევა,
ჩემი თვალების სანთიობოში


დაგელოდები... რა გზას დავადგე...
მგონია, თონეს ჩავენაცარე,
გულში ნაკვერჩლის დავდგი ბანაკი
და ვარსკვლავებზე ავეწანწალე...

ყოველ დილას, ექვსისთვის

ყოველ დილას, ექვსისთვის
გადმოვდივარ მთვარედან,
ისევ ისე მიყვარხარ,
განა გული განელდა.

წუთისოფელს დრო-ჟამი
თითისტარზე დაურთავს,
იქნებ მითხრა, დღეს მაინც
ჩემგან ცრემლებს რა უნდათ?

ცამ ვარდებიც მიუძღვნა
ტყეში ტიხრულ მინანქარს...
და მგონია, სამყარო
გაჩენამდეც მინახავს...





ზეცის ყვავილები

მითხარი, რა უნდა გისაჩუქრო,
მთას ჯიხვებიანს და არჩვებიანს?!
ზეცის ყვავილები დაგიკრიფე,
რადგან არასოდეს დაჭკნებიან...





მოვიხევსურე გუდანი

მოვიხევსურე გუდანი
და ხატის კართან მიველო...
ჩემო სანთლების დამნთებო,
ზღვა-სადარდელის მთიბველო.

დელგმა-ბორიო წვიმაშიც
სულ ფეხშიშველი ვირბენო...
მთვარეც რო გაიხევსურებს
ნარინჯისფერად, – იმ ფერო...



სიყვარულის ტაძარი

ჩიტებსაც ეყოფათ
ნამცეცი საგზალი,
მეც ერთი ბწვარედი
გამაძლობს...
სპარსელებს თავისი
ჰქონოდეთ ყაზალი*,
უნდა დედოს პური
დავაცხო...
ჩემი სიყვარულის
მზებუდა კოშკებო,
არ მინდა ცარიელს
გხედავდეთ...
უნდა მაპატიოთ,
კონკიას ქოშებო,
ფეხშველა ჩავიდე
მცხეთამდე...
მოვზილო მდუღარე
ცრემლი და ნაცარი,
სიყვარულს ავუგო
ტაძარი.

* ყაზალი (არაბ.) – არაბულ-სპარსული პოეზიის ლექსის ერთ-ერთი ფორმა



სიყვარული იპუდებს

აქაც მოგაგნეს
და გიპოვესო...
– აბა, სად არიან
ჩიტები?!

ჩემი მომღერალი
შაშვი – წრიპა
ენატრება სულს
და სჭირდება.

აბა, თუ მიხვდები,
რად იკეთებს
ციცქნა ჭინჭრაქელა
დიდ ბუდეს...

ჩუმად... დაღამდა
და დაიღალა
ჩემი სიყვარული
იპუდებს.

შობის ხე

ამ ქარებს ფესვები ცაში აქვთ,
ცაში აქვთ ფესვები, – მერნმუნე...
ვიდრე საწუთოში წავშლილვარ
შენ – ჩემი წყალუხვი მერნყული

მოხვალ და მომიტან შობის ხეს,
სიცოცხლეს გვაჩუქებს ქალწული
და მთელი სამყარო მოილხენს,
ფიფქებიც ქარებში ჩაწნული.

ვიდრე საწუთოში წავშლილვარ,
მოდი და სულში ჩამეწურე...
ამ ქარებს ფესვები ცაში აქვთ,
ცაში აქვთ ფესვები, – მერნმუნე...




სანათი სალამპრეზე

სანათი სალამპრეზე, სანათი სალამპრეზე,
სანათი სალამპრეზე აანთე...

ვიდრე აინთება, ვიდრე განათდება,
დავხუჭავ თვალებს და მანამდე

ცხრაჯერ შეგისუნთქავ, ცრემლით დაგაპურებ,
თორმეტჯერ აღვუვლენ სალოცავს,
სახვენს და სათხოვარს გავგზავნი ზეცაში...
და დედა ღვთისმშობლის ხმა როცა

შენამდე მოალწევს, შენთან გამამრთელებს...
ცად ჭექა-ქუხილებს ვკვალავდე...
სანათი სალამპრეზე, სანათი სალამპრეზე,
სანათი სალამპრეზე აანთე...





შინ შემოვიყვან

ამ ძალლურ ყოფას
და ამაზრზენ ცხოვრების ღიმილს
ჩემი და შენი¹
სიყვარული ასამყაროებს.

თავს არ ვუტყდები...
შენ კი იცი, გდარდობ რარიგად...
თან ვეფერები
თეთრი იის ფოთლის ხაოებს.

ვხატე იები...
გამოვგზავნე, როგორც წამალი...
ჩემი სიცოცხლით
ამოგივსებ დარდის ხაროებს...

მაფხიზლებს ქარი...
და მზესავით შინ შემოვიყვან
უპოვარ ფიქრებს
და იმედებს უსახლკაროებს.

დედა ქიონია, ილოცე მისთვის

დედაო, ძალიან მეშინია,
დედა ქიონია, მიშველე...
იქნება ეს ლექსი იორია,
იქნებ დურუჯია შიშველი.

იქნებ მწვერვალია, ან ქვესკნელი,
ანდა ჯოჯოხეთის კარიბჭე...
დედაო, შენ იცი... სიყვარული
მოვიდა... მე თვითონ არ ვირჩევ.

ვინმეს ეგონება იოლია,
სიკვდილი ლექსებით მივლენე,
დედაო, მიშველე ქიონია,
დედაო, ჩემთვისაც ილოცე...





არ მინდა სიცოცხლე უშენოდ

არ მინდა სიცოცხლე უშენოდ,
უშენოდ სიკვდილიც არ მინდა...
და შენ გეუბნები, გულშველო,
გავალ-თქო დახურულ კარიდან.

ვიყავი უჭერო, საფარად
უფალი მფარავდა სისრულით,
მფარავდა მძლეთი და საფარა
და ცრემლი უფალთან მისული.

ბოლომდე ჩავქრები უმშვენო,
მერე ავენთები კვარიდან...
არ მინდა სიცოცხლე უშენოდ,
უშენოდ სიკვდილიც არ მინდა.



ვერტყვიჭალელო

ვერ იტყვი, ვერტყვიჭალელო,
ვერ იტყვი – ასე, ისეო...
მზით ჯოჯოხეთშიც ჩაველო,
უნდა ქვესკნელშიც ვიმზევო.

უნდა ჩამოვქნა სანთელი,
ვარსკვლავად ცაში ელავდეს
და უამთა კორიანტელი
მოწყვეტის მერეც მფერავდეს.

როგორც ღმერთს უნდა... მაშინ თუ
მოხვალ სიკვდილო, პირსველო...
და ჯოჯოხეთსაც დავშრიტავ,
დამიძახებენ: – ქვის მთლელო...

სიყვარულის ქვა გავთალე,
გამოგიჩორკნე ჩუქურთმა,
ველარ წაილო ნათალი
ვერც ავაზაკმა, ვერც ქურდმა.

მზით ჯოჯოხეთშიც ჩაველო
და ჯოჯოხეთშიც ვიმზევე...
რას იტყვი?.. ვერტყვიჭალელო,
რომ მზე გამოჩნდა ლიბრზევე...



ნეკნივით

როგორ ხარ, ჩემო სიცოცხლევ,
როგორ ხარ, ეგებ ამიხსნა...
და შენი კარგადმყოფობით,
ჯოჯოხეთიდან დამიხსნა.

გულამდე მთვარე ჩამოდის
და დედამიწა მთვარეობს...
გულში რომ დაგცეს მახვილი,
ნეკნივით აგეფარეო.





სულის წვიმა

როცა ვერ გხედავ,
როცა მაკლიხარ,
როდესაც ზეცას
ავემთიები...

თვალების არა,
სულის წვიმაა...
და სიგიჟემდე
ჰყვავის იები.




კავშირი სულთა

უკვე წავიდა
დროის ათვლა,
უკვე წავიდა...
გიმზერ ზეციდან,
თან გნატრულობ
ძვალთსაცავიდან –
ამ უშორესი
მონატრების
ცრემლმიმწვარიდან...
იცი?.. მიყვარხარ
ყველა ძვლიდან...
ბედ-ფინალიდან...
მეორედ მოსვლას
ველოდები,
რომ მკვდარი აღვდგე,
ახლოს შეგიგრძნო,
შენთან ვიყო
უკუნისამდე...

ღრუბლის ოლარი

ღმერთო, გამიხარე
ჩემი გულისსწორი,
ღმერთო, მიმზეურე
ცათა შინ...
მალე დამაძინე,
მასთან ამამძივე
და აქ – წუთისოფლის
ნაცარში
ნუ დამტოვებ ეულს,
სადაც ალარ არის
სითბო, ღირსება და
მორალი.
ღმერთო, მაპატიე,
თავზე დამაფინე
ღრუბლის უთეთრესი
ოლარი.





სველია მიწა

სველია მიწა
და თქრიალით ჩამოსდის ცრემლი...

დავეგე ფიწალს –
გულისპერანგს გაეხა წელი.

სადლაა მცველი,
ჩემი ფარი, ჩემ ჭირთა მცლელი...

დგას მარტობა,
უშენობა, სულის შემძვრელი...

და ქვესკნელამდე
ჩამოვფინე ეტრატი მწველი.

სველია მიწა...
და თქრიალით ჩამოგდის ცრემლი.



სულის ტოლო

ნარჩენ მოსავალს
ვიღებ ჩემი
ნარჩენი ცხოვრებიდან,
ჩემო გულის ტოლო...
ჭყინტი ლობიოდან
გატიკნულ მარცვლებს
გამოვარჩევ... შვილებს
ბოლომდე რომ ვუერთგულო.
ჩავუდგამ ჩემ დანთებულ,
ნაკვერჩლიან გულის
შუაცეცხლში და
გულიანად დავუტოვებ.
მერე კი გამოფრინდება
შენთან ქალი-სული...
და მივენდობი მხოლოდ
ჩემ დანახულ დევის ტორებს.
შეგეჯიბრები სიყვარულში,
მოფრთხილებასა და
ცხვირის გათბობაშიც,
ჩემო სულის ტოლო...
თითისწვერებზეც ავიწევი,
(მიწიერი გადმოსახედიდან)...
ჩაგეხუტები და ერთხელ კიდევ
მაგრად შეგისუნთქავ,
შენით რომ ავივსო და დაგეტოლო...



ბენვის ხილისკენ

თვალის ღრმულებში
დაგუბდა ცრემლი
და აი, ეს დღეც –
ხარ ჩემი ჭერი...

ცამდე ერთგული
და ჩემი მცველი...
და ბენვის ხილზე
წვრილ ხელის მჭერი...






იყოფა წვიმა

გულში იმდენი
განცდა დაგროვდა,
თეთრი და შავი
არაგვი მინდა...

ანანურამდე
მოვდივართ ერთად,
ანანურიდან
იყოფა წვიმა...



სიჩუმის ვიტრაჟი

არსებობს სიჩუმის
წუთების ვიტრაჟი,
როდესაც სიჩუმეს
მინაზე დაქარგავ.

პირველი მზის სხივი
გაატანს რკინაშიც,
მე კი მაქვს ვიტრაჟი
მითად და არაკად.

რადგანაც შენ მყავხარ,
მფარავი კარავი,
სულს მირიურაჟებ და
მაშორებ ბალაგანს.

შენა ხარ პოეტის
დარდების მკვალავი,
რომელიც არავის,
არავის არა ჰგავს.

იმედის სამოსახლო

უკვე რამდენი წელია
შენს გულში დავიბუდეო,
შენს გადაქანცულ სიზმრებსაც
ღამეებს თეთრად ვუთევო.

ჩემო წყალო და ვენახო,
ვერჩასალენი ზღუდეო,
იმედის სამოსახლო ხარ,
ამადაც მოგეყუდეო.





გული ქვაში

მე რა ვიცოდი,
შენ თუ იყავი
ჩემი ბედი და
ჩემი იღბალი.
ჩვენ შორის იდგა
ქარის კედელი,
ჩვენ შორის იყო
წვიმის ტიხარი...
ლოდზე ცრემლებად
ჩამოველვარე
და რა ვიცოდი,
ქვა რომ იყავი...
და შეგიყვარე...
და ვილიბოვე,
გასკდა ლოდი და
გული ვიპოვე.



ზეცა იყვავილებს

ზამთარში, როდესაც
ზეცა იყვავილებს,
მაშინ მიხვდები რომ...
მოვედი.

მაშინ ამოიღე
ტკივილის სკივრიდან
ფერად-ფერადების
მოლბერტი.

ფერი შემაფინე
ფიფქების ყვავილებს,
ჩაგითვლი დავითის
ფსალმუნად.

შენ ხომ მიკითხავდი,
მეც ხომ... გიკითხავდი,
აქეთ-იქით რომ
გაბანდულა

ჩვენი სიყვარული
ასე შორეული,
ასე ახლობელი,
ჩვენერთა.

ასე რომ უყვარდეთ
სხვებსაც... ხომ იქნება
დამჭერი
ცათამბჯენელთა.

და ჰაა, ამოიღე
ტკივილის სკივრიდან
ფერად-ფერადების
მოლბერტი.

ზამთარში, როდესაც
ზეცა იყვავიღებს,
მაშინ მიხვდები რომ...
მოვედი.



ვგროვდები საშენოდ

მოვიდა თოვლი და
მოხვედი, დამხედე...
და მერე წახვედი
მთას იქით.

ჩემი უღრანიდან
გამოვიფანტელე
და ჰა, ვემზადები
ტარიგი.

მიწადაფანტული
ვგროვდები საშენოდ,
უფლის წარმოგზავნილს
მიგენდო.

და სადაც იქნები...
და როგორც იქნები...
უამიდან უამამდე
იქ ვენთო.





არც მტრედი...

არც მტრედი, არც ქარი,
არც ბოთლის გზავნილი,
მე თვითონ მოგიტან
ბარათებს...

სურნელით შეიგრძნობ
და იცნობ მაშინვე
ფრთიან სულს,
შენთვის რომ ანათებს...

თუმცა ვაბრიალეთ
ცრემლების კოცონი...
უშენოდ ძალლივით
დავმიწდი...

ცას მივწვდი,
ნანილი გიპოვე როდესაც,
მერე შენთან ერთად
გავწვიმდი...

შენი კლდეკაცობა
და შენი სიქველე
გულის ძირს ფსკერამდე
ანათებს.

არც მტრედი, არც ქარი,
არც ბოთლის გზავნილი,
მე თვითონ მოგიტან
ბარათებს...



ნაკაფი ხე-ტყე

ფერი და გემო
ვიცანი ქვევრის...
და ჩვენს შეხვედრას
ვუძღვენი ეს დღე.

რადგანაც ამ დღეს
შეხვედრა შედგა...
და სწორედ ამ დღეს
დარდები ვბერტყე.

ნახსოვარ დროს კი
მადლობას ვწირავ,
რომ სწორედ ამ დღეს
სარტყელად მერტყე.

ზეცის მასალად
ვივარგებთ ნეტავ? –
წუთისოფელში
ნაკაფი ხე-ტყე...

მზემ მოიტაცა...

ზეცის ქარებით დაივარცხნა
ცერცვის მარცვლის ხე...
უფალმა იცის, სიყვარულის
და სითბოს ფასი...

ვიცი, რომ მოხვალ...
გაუღებლად კარსაც გამიღებ,
ხელს მთხოვ და მიწა
ძირს დარჩება, ვით შაჰ-აბასი.

ზეცა იქნება უმწვანესი
მოლი... ვითარცა...
ქვემოთ იტყვიან: –
სიყვარულის მზემ მოიტაცა...



ცის იქით

ჩვენ გვქონდა კურთხევა მშობლების...
და გზები როდესაც გაიყო, –
ქვა იყო სიყვარულმაგვარი,
ქვა იყო... ქვა იყო... ქვა იყო...

ქვა დალბა და იქცა სხეულად,
რომელიც ამაღლდა სულთქმამდე...
ვუთქვამდი, სურვილებს ვუთქვამდი...
და ახდა ზეციურ ბუხრამდე...

მაღლობა, უფალო, შენი ვარ,
ჩემში ხარ ედემის ბალისებრ,
სიყვარულპირთამდე ვცხოვრობდი,
ტკივილისპირთამდე აღვივსე.

მზის სხივის ბეწვის ხიდს გავყვები
და მასთან... ცის იქით მაღირსე.





ცრემლის პურები

ასი პეპელა გამიფრინდა
ჩემი კაბიდან...
რადგან ზრიალით წამოვიდა
ბროლის სასახლე.

ვერ წარმოიდგენ, სანატრელო,
ისე დაბინდდა...
მაინც ვაშენებ ჯვალო-გულში
შენს წილ სასაყდრეს.

აბა, რა გითხრა, ცად გაფრენილს
და რა გაუწყო...
ქვად უნდა ვიქცე,
ამ ტკივილებს უნდა გავუძლო...

ცრემლით პურებიც გამოგიცხო,
პირიც ვიბანო,
მხოლოდ სიზმრებში
შენთან ერთად ვისიფრიფანო.

და მხოლოდ მაშინ
ძლივს მითბება ხოლმე ფეხები,
ღმერთს რომ გავედრებ,
ვლოცულობ და შენს სულს ვეხები.

და თანადგომა
შენთან დგომას ნიშნავს რადგანაც,
ლოცვით და მარხვით მზის სხივები
სულში ჩამდგარა...



თოვლია წყნეთში

თოვლია წყნეთში
და შენთანაც თოვლია, ვიცი...
რადგან ამინდი ერთნაირი
გვქონდა ცხოვრების.

დათუთქა ერთობ
ქრიზანთემა, კამა და ქინძი,
ლამის ლამპარზე ჩამომსხდარან
თექა-ყორნები.

მადლობა უფალს,
ჩაეტია სიცოცხლის კვნიწში
უზარმაზარი სიყვარული
ანაწონები...

და კალანქოეს
გადაფცქვნილი ფოთლები იწვის,
რომ მომიშუშოს
უშენობის ზღვა-ნაწოლები.



მზე უყვარს ბრონეულს

მზე უყვარს ბრონეულს,
ბრონეულს მზე უყვარს...
გულის მზე გიძღვენი –
ჩემი განძეული.

უხამი პერანგით
წამოვალ ულამს,
გაგიფენ ძონეულს,
ქარში დარწეულებს.

სანთელსაც აგინთებ,
უჩინო, უკვამლს
შემწედ მყავს უფალი,
მიმზერს ნაძვეული.

მომაქვს სიყვარულით
გავსილი ფიჭა-გული
და მომაქვს ნაგროვი
ცრემლის მარცვლეული.





უყელსაბამოდ

ჩემთვის დაგირგავს,
ეს ვარდები, ჩემთვის დაგირგავს...
და რა იცოდი ოდესმე... თუ
ჩემთვის დარგავდი...

ცხოვრება – დიდი სიურპრიზები
სხეულსა და გვამს...
და რა იცოდი,
რომ მდინარის შემონაკადი

მოვარდებოდა შენთან,
როგორც გიური არლუნი
და ჩაგიტანდა
ქვესკნელეთში დაუსაბამოდ...

და სიყვარული ცადანვდილი,
როგორც ხახული,
საზღვრების მიღმა
დარჩებოდა უყელსაბამოდ.




სთხოვე მებორნეს

სოფელში, ტყესთან, განაპირას,
ცა რომ ბარდნიდა,
ვჩუქნიდით ორნი
სიყვარულებს გულის მადნიდან.

გვენთო ბუხარი
და ვლოკავდით ერთად ქვამარილს,
გამთენისას გვაღვიძებდა
კატოს მამალი.

შუალამისას მგლის ყმუილი,
ძალლის წრიალი,
მერე სიჩუმე,
სიჩუმეში თოვლის შრიალი


და ვარსკვლავები...
ბუხრიდან რომ იყურებოდნენ...
მოატრიალოს ეს ბორანი –
სთხოვე მებორნეს!





ଓଲି

ମହାତ୍ମାରୂପ ପଣ୍ଡି





1

* * *

არწივისფრად თენდებოდა მთებში,
ლეგა ნისლი დააფრინდა კოშკებს...
და ენგური საპატარძლო კაბით
უკვდავების წყაროსავით მოსჩქეფს.

ედედოფლა მთის მწვერვალებს თითქოს
მარგალიტის შხეფით გადამკული,
მყინვარები დარაჯობდნენ სატრფოს
ნისლებისკენ გაფრენილი გულით.

იქნებ ქარმა შეუბერა სული,
ვარსკვლავები სანთლებივით ჩაქრა,
მონადირე გზას დაადგა მარტო,
ნადირობის უინი ჰკლავს და რა ქნას.

ბავშვობიდან არ ახსოვდა დედა,
ობლის კვერში დარდი ჩაუთალეს...
დილის ბინდში სანადიროდ წასულს
აცილებდა დედის გული – მთვარე.

* * *

ბილიკებზე დაათენდა ბეთქილს,
მზის სხივებით შეიმოსა დილა
და ფითქინა, თეთრ ქათიბის მსგავსი
ცას ღრუბლები მოახურა თბილად.

მონადირემ შეარჩია შორი
ჭიუხები გაფრენილი ფრთებით,
მწყურვალივით დაეწაფა დღეს და
თითქოს თასი გამოსცალა მთელი.

ძაფისხელა ბილიკებით მავალს
დაუღამდა მყინვარების ძირას,
მერე დაღლილს გამოქვაბულ კლდეში
იარაღით ხელში დაეძინა.

ცეცხლი არც კი დაუნთია ბეთქილს,
რადგან ბნელში დააფრთხობდა ჯიხვებს,
დღის და ღამის გასაყარზე რადგან
მათ ნაკვალევს ფრთხილად უნდა მიჰყვეს.

მთელი ღამე ძილ-ფხიზლობდა ვაჟი
და ყმუილი აფიქრებდა მგლების...
მთელი ღამე გამოქვაბულ კლდეში
მოეხატა ყინვას ყალამქრები.

* * *

თენებისას ქალწულები ფიფქის
ჩამოთოვა თოვლისფერმა ზეცამ,
წმინდა მამებს დაემსგავსნენ მთები
და პერანგი ანგელოზის ეცვათ.

ამ ამინდში ერთი ჯიხვი მაინც
შეხვედროდა, არ უნდოდა ბევრი,
შეავედრა ნადირობა ქალღმერთს
მონადირემ და გატეხა კვერი.

ხმელგანატეხს ეტყობოდა ისევ
მზის სხივები ცხრაგზის დაფანტული,
ბილიკები დაეფარა ფიფქებს
და ბეთქილსაც გაუავდრდა გული.



მიდიოდა ჭიუხებში მაინც,
მთაში ნადირს დაეძებდა ფრთხილად,
ნაკვალევი შეამჩნია შორით,
ჯიხვთა ფარა თოვლმა გაამხილა.

მიჰყვა კვალს და გადააწყდა ჯიხვებს,
ნაადრევად დაიჭექა თოფმა,
გადაფრინდნენ მწვერვალების ფრთებზე...
მოყმეს სიმწრის დააწურა ოფლმა.

ასე შორი მანძილიდან ბეთქილს
ცხოვრებაში არ უსვრია ტყვია,
თოვლის მოსვლამ ააჩქარა ალბათ,
დარდს და ავდარს ერთად გადაჰყრია.

* * *

ერთი კვირა აბარდნიდა ზეცა,
მეხუთე დღეს გაუთავდა პური,
მოცარული ბრუნდებოდა სახლში,
მშიერი და თოვლში ჩაკარგული.

ერთხელ კიდევ მოიხედა უკან,
ერთხელ კიდევ ჩაცქერდა ჭოგრიტს,
ხედავს, შველი პანაწინა რქებით
ანათებს და ბეთქილისკენ მოჰქრის.

და ჩახმახი შეაყენა წამში
და გახედა როცა თოფის ლულას,
ხედავს, ოქროს თმას ივარცხნის ქალი
და ოქროსფერ წამწამებსაც ლულავს.



დაღლილობის ბრალიაო ალბათ...
ისევ ისე ჩააცქერდა ჭოგრიტს,
ყინულებზე უტკენია ფეხი
შველს და თითქოს მოდიოდა ჩოქვით.

ნადირობის აიტანა ჟინმა
მონადირე და იარაღს ეცა...
მაგრამ ისევ ოქროსფერი ქალი
პეშვით სვამდა მოჩუხჩუხე ვეძას.

ბეთქილს თავში შემოასკდა სისხლი,
შემდეგ თოფი მოისროლა თოვლში...
შველის მზერა მიჰყვებოდა უკან
და ზამთარი სიცივით და თოშვით.

2

* * *

ორლობემდე მიაღწია სახლის,
გათოშილი დაეწაფა წყაროს,
ცარიელი დაუბრუნდა ოჯახს,
ლამის ბოლმამ ქვესკნელს გადასძალოს.

თითქოს იგრძნო სამოთხეში თავი,
როცა თბილი შეეგება კერა,
მაგრამ სულში ოქროსფერად ისევ
ალიცლიცდა მზის ასული ქერა.

— კიდევ კარგი არ დამიხვდნენ სახლში,
გაიფიქრა და მიუჯდა ბუხარს,
მაგრამ ჯიხვით შემოვიდა ძმა და
გაოცებით შეჰყურებდა მწუხარს.

– როგორ ზიდე ამოდენა ჯიხვი...
ბეთქილ, რატომ ჩამოგტირის სახე...
შევიშალე სიხარულით ლამის,
ჩვენი ჭიშკრის წყაროსთან რომ ვნახე...

წყალი ახლა არ დალია განა?!
თითქოს ბეთქილს ჩაუვარდა ენა,
თოვლის გარდა, ვერაფერი ნახა,
გაოგნებამ ვაჟი გადაფერა.

გათქვირებულს დააკვირდა ნადირს
და უსიტყვოდ გამოვიდა გარეთ...
ისევ თეთრად აბარდნიდა ფიფქი
და მიადგა მხცოვან მახვშის კარებს.

* * *

ტაბლას უჯდა თეთრწვერება მარტო,
საუკუნეს გაექროლა რაშით...
წუთისოფლის დღეებივით სთვლიდა
და მარცვლიდა კრიალოსანს მახვში.

ნახმლევი და დაღარული სახით
ბეთქილს ჰქითხა, შეწუხდიო რატომ,
ამ ავდარში და ქარბუქში, შვილო,
გარეთ რამ გამოგიყვანა ამ დროს...

არაფერი დაუმალა მოხუცს
და უამბო ყოველივე წვრილად...
– მიგილია საჩუქარი დალის! –
თქვა მახვშმა და თბილად შემოსცინა.

– ჯიხვს გულ-ღვიძლი ააჭერი, ვაჟო,
ღია ცის ქვეშ დაგჭირდება კმევა...
და შესწირე, ქალღმერთისთვის დასწვი,
დაგეხსნება მერე სულის გვემა.

* * *

და აკმია ღვთაებისთვის მოყმებ
შესაწირი შუაღამით მარტომ,
მეორე დღეს აჩახჩახდა მზე და
წამწამები გაახილა ფართოდ.

* * *

ამის შემდეგ აღარ კლავდა ნადირს
და შეარქვა ძმამ „ხოგაის მინდი“,
დაივიწყა მონადირემ თითქოს
ნადირობაც და ქალღმერთის მითიც.

და ახსოვდა თამარქალი მხოლოდ
და ტუჩების უტკბილესი გემო,
არად უჩნდა დედაკაცთა ჭორი
და სოფელმა თუნდაც გადაქელოს,

მაინც თამარს მოეხვევა წელზე,
მაინც თივის ანებივრებს ზვინთან
და ბუმბერაზ, უზარმაზარ მხრებით
თამარქალის სიყვარულსაც ზიდავს.



3

* * *

ერთი კვირა იმარხულა თითქმის,
ერთი კვირა არ შეჭამა ხორცი,
ერთი კვირა არ უგრძვნია სითბო
ძუძუ-მკერდის და ტუჩების მორცხვის.

ხმელგანატეხს ჩაუწყობენ დები,
მზის ნათელი წინ გაჰყვება ხატად,
– ნადირობა დამილოცე, დალი,
მიწყალობე გაჭირვების კართან. –

თქვა და თოფი შემოიგდო მხარზე,
რა დღე იყო, ნაწვიმარი, მშვიდი...
და გაუყვა სოფლის ნაცნობ ბილიკს,
გაისწორა ფარ-ხმალი და მშვილდი.

გაიარა ცხრა მდინარე, ცხრა მთა,
ჭიუხები მოუხმობდნენ ბეთქილს,
საჯიხვეებს რომ შეავლო თვალი,
ხმა მოესმა მკერდში გულის ფეთქვის.

თითქოს ბეწვის ყოფილიყო ხიდი,
ძაფისხელა ბილიკს აჰყვა მთისკენ...
გამოქვაბულს გადააწყდა კლდეში,
თურმე ვეფხვი მოდიოდა მისკენ.

მოიხედა, შეაყენა თოფი,
(იქნებ მტრობა არ უნდოდა მასაც),
თავის სატრფოს ჭრელი კაბის მსგავსად,
ვეფხვის ბეწვმა აუბნია თავ-გზა.



წაბლისფერში ერეოდა ქარვა
და მზის სხივი აკვდებოდა ზურგზე,
ვეფხვთან შებმა არ ეწადა რადგან,
ვეფხვი თითქოს თამარივით უმზერს.

რა ტორები – მინდვრისხელა თითო,
რა ბრჭყალები – დამასკური ხმალი,
სილამაზეს ამშვენებდა ყელში
ზოლებს შუა მჯიღისხელა ხალი.

ძირს დაუშვა, არ ესროლა თოფი,
გაახსენდა ზოლიანი კაბა
და თამარის ვეფხვისფერი მზერა,
მისი სულის იარებს რომ ბანდა.

თითქოს დინჯად მოდიოდა მხეცი,
მაგრამ თურმე რისხვა იყო ღვთისა,
ერთ ნახტომით შეაფრინდა ბეთქილს,
უფსკრულს ჩასწვდა ნაშალები კლდისა.

ვაჟმა ქუდი მოიგლიჯა წამსვე,
დააძგერა პირდაფრინილ ხახას
და მახვილი გააშიშვლა როცა,
ქვიშა ჩაჰყვა ლოდებს გადანაყარს.

ვეფხვის ბრდლვინვით შეზანზარდა ზეცა,
მხეცის ტორმა დაასისხლა მოყმე
და ორივე თავგანწირვის ფასად,
ბრძოლით ჰკლავდნენ წუთისოფლის ბოლმებს.

ბრჭყალებით და მოელვარე ხმალით
ერთურთს ბრდლვნიდნენ უფსკრულების პირას,
ქალი ვინმე ჩამოვიდა კლდიდან
და ნათელი უფსკრულს დაეფინა.

მოდიოდა ქალი ოქროსთმება,
ლომგულ ბეთქილს ეცლებოდა ძალა...
და როდესაც ვეფხვი მისწვდა ბეჭთან,
მკლავი როცა ვაჟკაცს მოეცარა...

ერთადერთი საოცარი წამი
გადასწონის მთელ სიცოცხლეს ზოგჯერ,
ხან გაგვთელავს ბედისწერა რაშით,
ხან გვიმზადებს სასწაულის ხურჯინს.

და ბეთქილმა შეამჩნია ქალი,
ჯერ კი შეცბა... მაგრამ იგრძნო ღონე,
ერთ მოქნევით ვეებერთელა მხეცი
თან გადაჰყვა კლდის ნაშალთა ყორეს...

მოყმე ეგდო უფსკრულების ქიმზე
და ნაომარს დაჰკარგვოდა გონი,
მისი ბრძოლის, დევგმირობის ამბავს
ბარში ალბათ ჩაიტანდა ქორი.

და მეორედ დაიბადა თითქოს,
მთის ნიავმა გაუხილა თვალი,
– მითხარ, ვინ ხარ, აქ საიდან მოხველ?
– მე გახლავარ თვით ქალღმერთი დალი.

– „ნადირობა დამილოცე, დალი,
მიწყალობე გაჭირვების კართან...“ –
გახსოვს, მთხოვდი, მოდიოდი ჩემსკენ,
ნადირობის სურვილი რომ გკლავდა.

და მეც მოველ უფსკრულების პირას,
როცა ვაჟკაცს გეცლებოდა ძალა,
როს სიკვდილი ჩაგფრენოდა ბეჩავს,
როცა მკლავი დაღლილს მოგეცარა.

მოვედი და ჩაგიღვარე სულში
ჩემი თმების ოქროსფერი ძალა...
და დანარჩენს თავად მიხვდი ალბათ,
ახსნილია უკვე გამოცანა. –

თქვა და მზისკენ შეტრიალდა წამით,
მზესთან ერთად ბრდლვიალებდა, ენთო,
მოიხედა, შეჰყურებდა რაინდს,
ჩურჩულებდა: – ჩემო გულისერთო,

თუკი სული არ გაფრინდა ცაში,
წელან შავეთს გამოგგლიჯე თუკი,
სისხლისაგან დაიცლები, ვაჟო,
თუ არ ვკრიფე მთაში ფარსმანდუკი.

* * *

მიდიოდა ხეობაში ქალი,
ხევის მიღმა მოლი იყო ერთი...
აბოდებდა სისხლში მცურავ ბეთქილს,
სიკვდილშიც კი მე მქონია ბედი.



შეჰყურებდა ლურჯპერანგა ცას და
ჭირის ოფლი ეღვრებოდა შუბლზე,
– სიზმრად იყო, ალბათ სიზმრად იყო...
მაგრამ დალი სიცხადიდან უმზერს.

ოქროს თმები ეხებოდნენ ბეთქილს,
ქალი სრესდა თაიგულებს მინდვრის,
ხედავს, დალი ბეჭზე ყვავილს აფენს,
თან ქალლმერთი ვეფხვის ბრჭყალებს ითვლის.

გაოცებით შეჰყურებდა მზექალს,
ვეფხვისაგან დატორილი მოყმე,
ხედავს, დალი როგორ იხსნის მანდილს
და ჭრილობას როგორ გადაუხვევს.

მშრალი ბაგე შეარხია ვაჟმა,
– წყალი! უწყლოდ ვიშრიტები ლამის...
ქალმა პეშვით წყაროს წყალი ასვა,
– მზეც ყოფილხარ, უდაბნოში ნამიც...

ჩემო მხსნელო, ანგელოზო ზეცის,
არ მჯეროდა, რომ გნახავდი ოდეს,
შენ რომ არა, უპატრონოდ სადმე,
სულთმებრძოლი ვეგდებოდი კბოდეს.

– მე კი არა, ვაჟკაცობამ შენმან...
შენ სიცოცხლე გაპოვნინა, ვაჟო,
მაგრამ მანაც ვაჟკაცურად გტორა,
ვეფხვთან ჭიდილს აღარ ეთამაშო!



ბეჭთე გაჩნდა ცხრა ნაბრჭყალი მხეცის,
ვეფხვსაც ჰქონდა ცხრა ნატიფი ზოლი,
ნაიყვანე, დაიტირე სახლში,
ვით ვაუკაცი, მხოლოდ შენი სწორი.

დატირებაც ცხრანაირი უნდა...
მოერგება მხოლოდ შენი ჩოხა...
და ფარ-ხმალიც დაულაგე გვერდით
და ნაბადიც გაუშალე ნოხად.

შემდეგ მოდი, შემოაკვდა სადაც
წუთისოფელს უფსკრულების პირას,
ვაუკაცურად მიაბარე მიწას,
მიუჩინე სამუდამო ბინა.

4

* * *

– ჯერ სახელი არ მიკითხავს შენი,
ნეტავ ვაუო, რომელ დედამ გშობა?..
– ბეთქილ მქვია და მტვერი ვარ შენი,
მიწა ვარ და მიწიერი გმობა.

– მიწიერი ცოდვებისგან, ბეთქილ,
მე განგწმინდავ, წამომყევი კლდეში
და დაგრჩება უკან, ხევის მიღმა
წუთისოფლის და ცხოვრების თქეში.

ოღონდ ფეხი ნატერფალებს ჩემსას
დააბიჯე, ბილიკებზე მომყე...
უფსკრულებზე მიჰყვებოდა ქალღმერთს,
ნაფეხურებს უკოცნიდა მოყმე.

ქარში დალის ირხეოდა ტანი,
მონუსხული შეჰყურებდა ვაჟი,
კოჭებამდე იშლებოდა თმები
და ოქროს ზღვად ლივლივებდა მთაში.

* * *

და მივიდნენ ჭიუხებთან ახლოს
და ედემის გაიშალა ბალი
და ჩანჩქერებს გადმომსკდარებს კლდიდან
ამშვენებდა ცისარტყელას თალი.

ვით ბებერი მეციხოვნე მთების,
კლდის მწვერვალზე შემდგარიყო ჯიხვი,
ერთნაირად ადევნებდა თვალ-ყურს
ცხენთა რემის და ჩანჩქერის ჭიხვინს.

და ზვერავდა არემარეს ყოველს,
იქვე ფარა აიშალა შურთხის,
იდუმალი გაისმოდა სტვენა...
– მე ვარ, დალი და ნურაფერს უფრთხით...

დაამშვიდა ცხოველები ქალმა
და საუფლოს შემოავლო თვალი,
ირმების ტყე აქარიშხლდა მთაში,
შვლები ხელებს ულოკავდნენ დალის.

და გვირგვინი ყვავილების ცაში
ფრინველებმა ქალლმერთისთვის დაწეს
და დაადგეს ფრთაფარფატით თავზე
სილამაზის და მშვენების მაცნეს.

* * *

— აი, ჩემი სამფლობელო, ბეთქილ,
ხედავ, ჯიხვნი როგორ სძოვენ ქუჩის,
იარაღზე არ შეივლო ხელი! —
ცოდვილ სხეულს ციურობა უჭირს.

და არჩვები მიეგებნენ დალის
და პატრონმა გადაუსვა ხელი
და აჟღერდა იდუმალი ქნარი,
— გესმის, ბეთქილ, ნაკადული მღერის?!

ხედავ შურთხებს, მსტოვრებია ჩვენი
და შენიშნეს მონადირის მოსვლა....
ჯიხვთ ზამთრობით უზიდავენ ბალახს
და ზეციდან უგზავნიან კოცნას.

... აქეთ მოდი, ნაფეხურებს ჩემსას
ვაჟო, ალარ ააცილო ფეხი,
თორემ რისხვით იზანზარებს მიწა
და ინატრებ შებრძოლებას ვეფხვის!

ცხრა ნაბრჭყალი დაავიწყდა ბეთქილს,
მკერდში ალარ ეტეოდა გული....
და ჯიხვები წყნარად სძოვდნენ ბალახს...
და ცა იყო თეთრი, ბამბის ქულის...

5

* * *

დალალებად იღვრებოდა კლდიდან
დალისფერა, დალისთმება წყარო,
— ოქროს წყალით დღეს გაკურთხებ, ბეთქილ,
რომ მიზანი ალარ მოგეცაროს.



და ქალლმერთი ხავსმოდებულ ლოდზე
ფეხშიშველი, თმაგაშლილი შესდგა,
მზის ამოსვლამ დაამუნჯა ვაჟი,
თუმცა სურდა, რომ რაღაცა ეთქვა.

მზეს ვერაფრით გაუსწორა თვალი,
ყვავილების გაფრიალდა ბაფთა...
პეშვით წყაროს აპკურებდა დალი,
თითქოს ბეთქილს მიწის მტვრისგან ბანდა.

– ო, ქალლმერთო, მე მიწა ვარ სრულად,
შენ კი მტვერი რომ განბანო ჩემი,
რაღა ვრჩები... თვით ქალლმერთი დალიც
ვერ იქნება ჩემი გადამრჩენი!..

– მიწიერებს აქ რა უნდათ, ვაჟო?!
არ დაუდგამს ფეხი კაცთა მოდგმას,
ზეციური რომ აკლიათ ფრთები,
მიტომ სჭირთ-რა ვაება და მოთქმა.

და ქალლმერთის მოფარფატე თმებმა
სურნელება დააფრქვიეს თაფლის...
– იღბლიანად მიკურთხიხარ, ვაჟო,
მე ცხოვრებას შენსას მოგიდაფნი...

და შეასვა მზისსხივება ქალმა
პეშვით კლდიდან მონაჟური წყალი,
მონადირემ შეამჩნია დაღლა
და გაღელილ მკერდზე ოქროს ხალი.



და ბეთქილმა ჩაიჩოქა ლოდთან,
ოქროს თმებზე ეამბორა დალის,
დედოფალი ქანდაკივით იდგა,
გასცეკეროდა დასისხლებულ დაისს.

ზღვა ღელავდა კოჭებამდე თმების,
ქალის მზერა ინთქმებოდა შორით,
მყინვარწვერის სიამაყის მსგავსი,
შენატროდა წყაროს გამოჟონილს.

* * *

— ძონისფერი რატომ არის ზეცა,
უტყვი სევდა შემომანვა რატომ,
მზე რომელმა დაასისხლა ნეტავ,
ვინ ესროლა ქვეყნის დედამნათობს?!

სისხლის სუნი რატომ ასდით ღრუბლებს,
ფიქრი ჩემი რად აიჭრა ცამდე?!
უკვე დროა... ნატერფალებს გაჰყვე...
ძაფისხელა ბილიკებით წადი!

იმ უფსკრულთან როცა მიხვალ, მარჯვნივ
იღუმალი ბილიკია ერთი,
ის ჩაგიყვანს დასისხლებულ ვეფხვთან,
ასეთია ალბათ შენი ბედი.

სისხლებს მოპბან მთის მდინარის შეფით,
დაუხუჭავ თვალებს გადაგლეჯილს,
ასეზის ძალას შეგიმატებს, ვაჟო,
მაგ მანდილით შეხვეული ბეჭი.

და მხეცს ისე შემოიგდებ ზურგზე,
ფოთოლივით გეჩვენება მჩატე...
ბეჭი როცა მოგირჩება, ბეთქილ,
ეგ მანდილი შენს ლოგინში ჩადე.

ამის შემდეგ არ აჩვენო თვალით
ევას მოდგმას აბრეშუმი, თორემ...
როგორც გითხარ მოიქეცი ისე,
არ შეგშვენის ის ცხოვრება, მდორე.

წადი, ალარ მოიხედო უკან!
მზე სისხლისგან დაიცალა ლამის,
მონადირე გასცეროდა სივრცეს,
ცას არ აჩნდა ცრემლისხელა ნამიც.

და ზეცაში ყვავილების ღელვა
მიიწევდა თითქოს ატმის რტოდან
და დაისიც თითქოს იყო წყნარი,
მაგარამ რაღაც იდუმალი კრთოდა.

6
* * *

საუკუნედ გადაიქცა წამი,
მონადირე ხედქცეული იდგა...
– ო, ნახვამდის, დედოფალო დალი,
დავბრუნდები, ვაუკაცურად მითქვამს!

თვალი ძლივსლა მოაშორა ქალღმერთს,
გულიც მასთან საუფლოში დარჩა,
არც სახლ-კარი გაახსენდა ბეთქილს,
არც თამარი, – თეთრ-ფრიალა ხარჭა.

და დაეშვა ბილიკებით მთიდან,
მაგრამ შესდგა, მოიხედა უცებ,
შეაფეთა განშორების მზერა,
ო, კაცის თვალს რა დააცხრობს უძლებს.

მაგრამ შეკრთა ეს ლომგული მოყმე,
დედოფალი ქცეულიყო შველად,
– უკან რა-ა-ტომ მოიხედე, ბეეთ-ქი-ი-ლ!
ახლა უკვე აღარ ძალმიძს შველა! –

ქვევრებივით გაჰკიოდნენ მთები
და ოქროსფრად პანაწინა რქები
ანათებდნენ ძოწეულის სივრცეს,
მიწა იძრა, ჩამოცვივდნენ ქვები.

მონადირემ წინ გადადგა ბიჯი,
თითქოს ლოდი დააგორა დევმა,
შემდეგ უკან გადაფრენის წამი...
იქაც ვეღარ გადაურჩა მდევარს.

და გონება დაებინდა ბეთქილს,
ჩაჰკიოდნოდა სულში ბედისწერა...
და როდესაც გაახილა თვალი,
მოემწყვდია ქვეპში ქვათაცვენას.

* * *

ცას ახედა გადარჩენილ მზერით,
ძოწეულით გაეძარცვათ ზეცა,
მზე ჰორიზონტს ჩადიოდა მიღმა
და ლრუბლების იფარებდა ზენარს.



მონადირეს გაახსენდა ის დღე,
ცარიელი რომ დაბრუნდა სახლში,
უცნაური, ოქროსრქება შველი,
დამუნჯება... საუბარი მახვშის.

ფორიაქი... საჩუქარი დალის...
ყველაფერი აირია ერთად...
ვეფხვთან ბრძოლა, ცის საუფლო შორი
და ქალღმერთი – ქალი მზეთამზეთა!..

და თავის თავს გამოუტყდა ვაჟი,
რომ უყვარდა... მიბრუნებაც სურდა,
მაგრამ დალი უკიოდა მთიდან,
წინაპართა უშფოთებდა სულთა...

და ბუმბერაზ ჩამონაშალ ქვებმა
სამყოფელო გაახსენეს დევთა,
ბერდედა რომ უამბობდა ზღაპარს
და სიზმრებში ხმალდახმალ რომ სდევდა.

გაახსენდა: – „ნაფეხურებს ჩემსას
ვაჟო, აღარ ააცილო ფეხი!..
თორემ რისხვით იზანზარებს მიწა
და ინატრებ შებრძოლებას ვეფხვის!“ –

წამოფრინდა ვით დამფრთხალი მხეცი,
ბილიკებზე მზერა გაიძერა...
სადღა იყო ნატერფალი დალის...
ჩაეკარგა ქვებში ქვათაცვენას.



მეცხრე ციდან ჩამოვიდა თითქოს,
ცოდვილ მიწას დააბიჯა ფეხი,
მუხასავით ფესვგადგმული იდგა,
გული ჰქონდა ჩანგრეული მეხით.

ნაომარს და ზღაპრით მოსულს ჰგავდა,
ვეფხვთან ბრძოლის ადგილები იცნო,
ქვემოთ ვერცხლის უფსკრულები ჩანდა,
დამეხილმა მწუხრის ფერთან იძმო.

და იდუმალ გამოჩენილ ბილიკს
მარჯვნივ მიჰყვა უფსკრულისკენ, დაღმა
და მიმწუხრის ვარსკვლავები მკრთალი
იგვირგვინა ლურჯ ღრუბლების თაღმა.

რომ ჩავიდა სისხლებშემხმარ ვეფხვთან,
შეებრალა მხეცი ვეებერთელა...
და მწუხარედ ჩურჩულებდა მოყმე:
– რატომ მიცან, რატომ მიცან მტერად...

* * *

ჩამოჰბანა დასისხლული ბეწვი,
დაუხუჭა გაგლეჯილი თვალი,
თითქოს მოკლულს დაატირა ზეცამ, –
თვალებიდან ჩამოსცვივდა ნამი.

და მანდილმა ძალა მისცა ბეთქილს,
ნატკენ ბეჭზე შემოიგდო ვეფხვი,
ძაფისხელა ბილიკებზე ფრენით
აიტაცა, ვით ფოთოლი ვერხვის.

* * *

ჭიუხებთან მიდიოდა როცა,
გაიფიქრა: ჯიხვნი სძოვენ ლაღნი...
აქვე თუ არ ვინადირე ახლა,
თავსაც კლდეზე ხარჯიხვით ვახლი.

და უჩუმრად შეამჩნია ჯიხვი,
ლურჯ ქარაფზე ქანდაკებად მდგარი...
ვეფხვი უხმოდ დაასვენა ლოდზე,
მოერიდა გაქროლებას ქარის...

მეორე გზით მოუარა ქარაფს,
თუმცა იყო გაცილებით შორი,
მოეჩვენა, რომ ფეთქავდნენ ცაზე
გულებივით ვარსკვლავები ბულის...

– ო, ქალლმერთო, მომიმართე ხელი,
სიბნელეში გამინათე გზა და
დამიმშვიდე გაფრენილი გული,
გული, რითაც შენს სიყვარულს ვზიდავ!..

მშობიარე ღრუბელიდან თითქოს
დაიბადა ოქროს ვაჟი – მთვარე
და მის შუქზე ჯიხვნი სძოვდნენ ბალახს,
მოყმე ვეღარ უჯერებდა თვალებს.

ნადირთ ფარას ამშვენებდა ერთი
თვალხატულა, თეთრქათიბა შუნი,
ყელმოლერით ლაღად სძოვდა ქუჩის,
მერე შესვა წყალი კლდით ნაჟური.

იქნებ სატრფო მიეგება წყალთან
და შეეხო მის ბაგეებს უხმოდ...
და მესამე წამოვიდა მათკენ
და იმ ხარჯიხვს ქარაფისკენ უხმო.

ფარა შესდგა და ელოდა დუელს,
თეთრქათიბა მოუსვენრად თრთოდა
და თვალებზე ეტყობოდა ბეჩავს,
რომ მის გულშიც ფანტელები თოვდა...

* * *

ჯერ დაშორდნენ და ზომავდნენ მანძილს,
ორნივ ერთად აეტანა სურვილს...
კბოდე შესძრა მათ ჯახანის ხმამ და...
შემდეგ რქები ერთურთს ჩარაზული...

ამ დროს შურთხნი აიშალნენ ზეცად...
და ხარლალის იდუმალი სტვენა...
მეციხოვნემ მტრის სურნელი იგრძნო
და მეორედ ჩაუსტვინა ენამ.

მესამეჯერ იდუმალი სტვენით
გასაქცევად მოუხმობდა ყველას...
უცებ შეწყდა ერთმანეთთან შუღლი,
თეთრქათიბამ ყელი მოილერა

და გაფრენის შეტორტმანდა წამი,
შუნთან ორნი რბოდნენ გამორჩევით,
ხუთმა ჯიხვმა ჩაიჩოქა იქვე
და ტყვიების გაისმოდა ჯერი.



ჟინმორეულს ნადირობის ვნება
ვერ დაუცხრა და ესროლა ოთხთა,
უფსკრულებში ჩაიჩეხნენ ოთხივ,
რქათა შეხლა გაისმოდა უტყვთა.

მათგან ორნი, ის რჩეულნი იყვნენ,
შუნის თვალებს რომ ეტრფოდნენ მაყვლის
და შუღლიც რომ დაატეხეს ქარაფს
და ემსხვერპლნენ მის წამწამებს ახრილს.

მოიმწყვდია მონადირემ კლდეზე
თეთრქათიბა, დაბნეული მზერით,
გასაქცევი ალარსაით ჩანდა,
ზეცას მისცა სული დანასერი...

და გაფრინდა ქარაფიდან შუნი,
ფრთები თითქოს ანგელოზის ესხა,
შორს, ღრუბლებმა წარიტაცეს ცისკენ
და ალმოხდა მონადირეს ესლა:

– წუთისოფელს ნადირობით ვლევდი,
მსგავსი რამე არ მინახავს დღემდე,
გავიფიქრე, არ ჩაიქცეს-მეთქი
და გაფრინდა... ლამის გადავხევდე!

ცას გახედა მონადირემ შორით,
თითქოს ცრემლად ქცეულიყო მთვარე,
სისხლის შხეფებს უნმინდავდა ნისლი,
ვარსკვლავებიც სადლაც გადამალეს...



* * *

ცხრა სიცოცხლე დაჲკლებოდა ჭიუხს,
ცხრავეს ერთად დაუმთავრდათ დღენი
და ოდესლაც კლდეზე ლალად მფრინავთ,
სისხლშიც ლალად მოელერათ ყელი.

შავი ნაბდით შეიმოსნენ მთები
და გლოვობდნენ, იდგნენ ჭირისუფლად,
იქნებ მათთვის სამძიმარი ეთქვა,
ან როდემდე ყოფილიყო უბრად.

ვერ გაეგო, სიხარული სწვავდა
თუ სინანულს დაესერა გული,
ფეხი მაინც ცოდვილ მიწას ედგა,
თუმცა იყო ციდან ჩამოსული.

* * *

გაორებულს გაახსენდა მთაში
ნადირობა, ძმადნაფიცი – თორლვა...
ირმის ფრთაზე რომ წავიდნენ მაშინ,
მოგონება მოგონებას მოჰყვა.

ბილიკებზე რომ აუყვნენ ჭიუხს,
მერე კლდეში ჯიხვთა ფარაც ნახეს,
შემდეგ თითქოს ფრთა შეისხეს ცისკენ
და ტყვიებიც დაუშინეს ლალებს.

ორი ჯიხვი წამოიქცა კლდეზე,
ორი გულის ერთად შეწყდა ფეთქვა...
– არ ესროლო! დაილოცოს ღმერთი...
არ ესროლო!.. გაამრავლოთ ღმერთმა! –

თქვა და თორლვამ თოფს აუკრა ხელი,
გადაკარგა გასროლილი ტყვია,
სილამაზე შეარჩინა ჭიუხს,
ჯიხვს თვალები აღარ დარჩა ლია.

ფრინველივით გადაფრინდა კლდეზე,
უკან მიჰყვა ხარჯიხვების ფარა...
ამშვიდებდა გადარეულ ბეთქილს:
– გაქცეულებს არ ესროლო, არა!..

რაც მოვკალით, საკმარია უკვე,
ველარ შევძლებთ ორზე მეტის ზიდვას,
ეს იმხელა მარაგია ზამთრის,
გაზაფხულსაც კი წაჟუპება მზითვად.

თუ ჩავუშლიტავთ, რას მოვიგებთ ამით?
არც მთას ვარგებთ, არც საკუთარ ოჯახს,
ყვავ-ყორნების გახდებიან ლუკმა,
რასაც ვზიდავთ ის ვიკმაროთ, მორჩა!..

* * *

ახსოვს, თავის გაბრაზებაც ახსოვს,
მაგრამ ახლა სინანული ჰქლავდა,
ნეტავ, წელან ყოფილიყო თორლვა,
არ მოჰქლავდა ცხრავეს, ერთის გარდა...

ამოოხვრით დაიწყნარა გული,
თუმცა ის დღეც სიზმარივით გაჟერა,
დასწვდა ხარჯიხვს მსუქანსა და რჩეულს,
ზურგზე უნდა შემოეგდო, მაგრამ

ვერ გაუძლო უსასტიკეს ტკივილს,
თითქოს მკერდი შანთით დაუდალეს
და ხარლალი დაასვენა ლოდზე
და გახედა ცის მოლურჯო თაღებს.

– ცხრა ამხელა ვეფხვი ვზიდე წელან, –
თქვა და კიდევ ერთხელ სცადა ბედი,
მეორედაც გაეგლიჯა ბეჭი
და ნადავლი დაუვარდა ფერხთით.

და მარტივით შეუშფოთდა სული...
და ფიქრები, ვით ეკლები ძეძვის:
იქნებ მანდილს დაეკარგა ძალა
და სახლამდე ველარ ზიდოს მხეციც?

არა! ამის გაფიქრებაც არ სურს,
მას ერჩივნა თავს დატეხვა მეხთა,
ფეხი არც კი დააბიჯა ბილიკს,
ფრინველივით გადაფრინდა ვეფხვთან.

ერთხანს შესდგა და დაფიქრდა წამით,
შემდეგ მხეცი აიტაცა ხელში
და ტკივილის ველარ იგრძნო კვალი,
ალბათ, ვეფხვის სიმსუბუქეც შეშლის.

* * *

მომიტევე რაც შეგცოდე, დალი,
მე არ უნდა მენადირა წელან...
ო, რად შევხვდი ყელმოლერილ ჭიუხს,
მომიტევე, შენ ხომ ჩემი მზე ხარ?!



შენ ხომ ჩემი სხივფარფატა მზე ხარ...
და უჩუმრად სიყვარულიც გწვავდა,
მიწა ვარ-თქო, რომ გითხარი ერთხელ,
შენ ხომ ჩემი ციურობაც გწამდა.

იქნებ მიტომ დამაპერტყე ბედი,
იქნებ მიტომ მომიმართე ხელი,
ცხრა ჯიხვი რომ მისაჩუქრე, დალი
და მომეცი ნადირობის ლხენა...

იქნებ ვზიდო ის რჩეული ჯიხვი,
იქნებ ვზიდო ის რჩეული, ნიშა,
დანარჩენს კი დავუტოვებ ჭიუხს,
ყორნებისთვის იქცევიან ლეშად.

მომიტევე, დედოფალო ჩემო...
ჩამოლამდა, ჩამობნელდა უკვე...
რადგან მაშინ გადაიქეც შველად,
არასოდეს აღარ დავხოც ნუკრებს.

– თქვა და ცაზე ფეხაკრეფით თითქოს
მოიპარნენ ვარსკვლავები მკრთალნი
და უჩინრად ქარაფების მიღმა
შემოხაზეს ნაკვალევთა რკალი.

* * *

ისევ ჯიხვთან გაუწია გულმა,
იქნებ დალიმ ძალა მისცეს ეხლა?!
ვერ კი დასძრა... და მწუხარე ბეთქილს
ჭირის ოფლი შუბლზე ჩამოელვრა.



ტკივილისგან სულწასული მოყმე
ბოლოს მაინც დამორჩილდა იღბალს
და ხარლალის შინ წალების ნატვრა
შემოდგომის ფოთოლივით მიხმა.

ნეტა ვინდა დაუჯერებს ბეთქილს,
ვეფხვის გარდა, ცხრა ჯიხვი რომ მოჰკულა?
მონადირეს კარგ მოყმეს და რჩეულს
ნადირობით შეარჩევდნენ სოფლად... –

ეს ფიქრები აწვალებდნენ ბეთქილს,
თითქოს მგლების ხროვასავით ხრავდნენ,
უნდა რამე წარეტანა ნიშნად...
და ყურები დაათალა ცხრავეს.

მაინც მიწად დავიშლებით ოდეს,
რაგინდ ფრთები ცის სარკმლებსაც ასწვდეს,
თუმცა მოყმე ზღაპრადქცეულ ბედმა
ციურ ფერთან და ნისლებთან აძმეს.

ხან მაცდური შეუჩნდება ფიქრი,
ხან ციური ფერი გადაუვლის,
რა ქნას, მიწად გააჩინა ღმერთმა,
ვერც მიწიერს გაექცევა სურვილს.

8

* * *

შუალამე ისვენებდა მთებში,
თალხი კაბით, ვარსკვლავებით ბროლის,
თმას ლამისფერს უწენავდა ქარი
მონადირეს მთიდან მონაქროლი.

და ფეხდაფეხ მოჰყვებოდა ნისლი,
მოჰყვებოდა ღრუბლებად და ჯანღად
და ზურგზე ვეფხვმოგდებული მოყმე
გათენებას ბილიკ-ბილიკ ჩაჰყვა.

ძმა წყაროდან უყვიროდა ბეთქილს:
– ვაჟო, ბეე-თქილ, ხომ მშვიდობით მოხველ?!
თან ფიქრობდა, ვეებერთელა ტვირთი,
რა მოაქვსო სიმძიმისგან მოხრილს?!

მოახლოვდა და დამხვდური შეცბა:
– ძმაო, ბეთქილ... ნუთუ ჩვენში ვეფხვი?!
ჩვენ საძებრად მოვდიოდით შენთან
და ვფიქრობდით, დაუცდაო ფეხი...

სადმე უფსკრულს ჩაიჩეხა იქნებ,
ანდა მგლების ხომ არ გახდა ლუკმა?..
ან ჩანჩქერმა წარიტაცა შლეგმა,
წადირობამ ჩაუარა უქმად...

არ გვჯეროდა თუ გნახავდით ცოცხალს,
შენ კი თურმე ვეფხვი მოჰყალ მთებში...
და თამარმაც მოგიკითხა გუშინ;
ამშვიდებდა დებს ჭკუიდან შეშლილს.

და გიორგი მოეხვია რაინდს,
ახლა უკვე გადარჩენის სწამდა,
განთიადის ცას შეადნა მთვარე,
ცივი წყარო მოსვეს ორთავ ძმათა.

სამი კაცი შეეშველა ბეთქილს,
სამმა კაცმა ძლივს ასწია „ტვირთი“,
– როგორ მოჰკალ ამოდენა ვეფხვი?!
ჩვენ გვეგონე შენ „ხოგაის მინდი“...

რომ ამბობდი, ჩაეცინა ძმას და...
ალარაფერს არ მოვკლავო, გახსოვს?!
ვერ წაუხვალ ნადირობას, ვაჟო,
რაგინდ თოფი ცხრაგზის გადარაზო...

დამშვენდება სახლი ვეფხვის ტყავით
და ძალლებიც დაძლებიან მძორით...
– რაო, ვეფხვის გატყავება, რა სთქვი?!
ვაჟკაცია და ვაჟკაცთა სწორი.

ვინ... რაინდთა გატყავება ვინ სთქვა?! –
თითქოს ბეთქილს წაეკიდა ცეცხლი,
კარი სამგზის მიჯახუნდა სახლის,
გამოცვივდნენ გოგონები მერცხლის.

და კისერზე დაეკიდნენ დები,
და მანდილი დაუსველეს ცრემლით,
– ეს რა არის, რა მოგსვლია, ძმაო?
ჩვენ სიზმრებში დავიღალეთ ძებნით.

შენ კი თურმე დაჭრილი გაქვს ბეჭი,
აი, სისხლსაც დაუწყია ჟონვა...
სამთა სახლში შეიტანეს ვეფხვი,
დიაცები აიტანა ჟრუოლამ.



— კიდევ კარგი არ შეაკვდი, ბეთქილ,
მხეცის კლანჭებს, ო, მადლობა უფალს...
მოგვიყევი, სად მოჰკალი ვეფხვი
და რატომ ხარ ნაღვლიანად, უბრად?

რატომ დუმხარ, გვიპასუხე მაინც,
შეგეწევა ანგელოზი, ხატი...
ხმაც არ გასცა... და ოთახის გულში
დადგა თავის ვეებერთელა ტახტი.

და ნაბადი დააფინა მერე
— დამტოვეთო! — შუბლშეკრულმა ბრძანა,
და ჩააცვა ვეფხვს თავისი ჩოხა,
კიდევ ერთხელ მოიკრიბა ძალა.

ვეფხვი ფრთხილად დაასვენა ტახტზე
და ფარ-ხმალი დაულაგა გვერდით,
მართლა ჰეგავდა მეომარს და ვაჟკაცს
და ნაომარს გაჰვეჯოდა ფერდი.

* * *

გული თითქოს წამოეგო მარგილს,
ვეფხვის ცოდვა აწვალებდა, მიხვდა,
ბეთქილს აღარ ადარდებდა ხალხი,
არც ყურები გაახსენდა ჯიხვთა.

* * *

გარეთ სოფელს მოეყარა თავი
და ბეთქილთან ვერ ბედავდნენ შესვლას,
ძმას საკუთარს ვეღარ სცნობდნენ დები, —
ჩურჩულებდნენ ხატია და ესმა:



— ან რად მოჰკულა ამოდენა მხეცი,
ან რად სტირის, გაგიუდაო ალბათ,
სახლში იქნებ გავბედოთო შესვლა,
გვეყოფაო კარებს უკან მალვა.

უცებ შეწყდა ჩურჩული და ხმები,
... და ასი წლის მოდიოდა მახვში,
მოდიოდა სახემშვიდი, დინჯად
და შეუძლვა ჯალაბობას სახლში.

ჯერ მოხუცი მოეხვია ბეთქილს,
მერე გარეთ გამოიხმო მარტო,
ჯერ დადუმდა, შემდეგ უთხრა ჩუმად:
— ტირილიც და გამაგრებაც გმართებს.

შვილო ბეთქილ, შემოგაკვდა ალბათ
და შენც იცი, ამ ჭალების, ამ მთის
ღვიძლი შვილი რომ არ არის ვეფხვი...
გადახედა ალმაცერად მანდილს.

იქნებ დალის ნიშანია, ვაჟო
და ქალლმერთის ამჩნევია კვალი?!
მე ვნატრობდი შემხვედროდა სადმე
და ვუცადე რამოდენა ხანი.

მაგრამ ბედმა ამაცდინა მთაში,
ვეფხვთან ბრძოლა მე არ მერგო წილად,
დღე და ღამე დავეძებდი ქალლმერთს
და ღამეებს ვათეთრებდი წინათ.

რამდენჯერმე მომეჩვენა შორით
ქერა თმა და დალალები მისი,
არც მომხედა, გაფრიალდა ქარში,
ეჰ, ეტყობა არ ვიყავი ღირსი...

* * *

ხალხი ძლივსლა ეტეოდა სახლში
და სურვილი ვეფხვის ნახვის ჰკულავდა,
დები ისევ ამშვიდებდნენ ბეთქილს:
– იქნებ სევდა გაატანო ქარს და

იქნებ ცოტა დაიმშვიდო სული,
საკმარია ამოდენა გლოვა,
ვაჟს ცრემლები არ შეშვენის, ძმაო,
არც დარდები, ტყეში მგელთა ხროვად!

– თუნდ ამკუწეთ პირბრიალა ხმალით,
გინდ მახვილი გულზე გადამკარით,
ვერა, სევდას ვერ გავატან ქარს და...
ის არ არის მოტანილი ქარის.

* * *

ცას ლრიალი ცხრაგზის შესწვდა კაცის,
მარტოხელა ჭირისუფლის გლოვა...
– ვოი, ვო-ო, კლდეზე შემხვდი რატომ?
და ცრემლების ჩამოსცვივდა გროვა.

მე მოყვარე დავინახე შენში,
ვოი, ვო-ო, მტერად რატომ მიცან,
სალ კლდეებზე გაგლეჯილი ფერდი
იქნებ ახლა მთელ სხეულსაც გინვავს.

ვოი, ვო-ო, შემაფრინდი რატომ,
ვოი, ვო-ო, ბეჭში დამჭერ რატომ,
ვოი, ვო-ო, დაგიბნელე მზე და
ვერ იხილავ ოქროსთმება მნათობს.

ვოი, ვო-ო, მზის ფერები გდევდა,
ვოი, ვო-ო, შემოდგომა იყავ,
მე კი მთაში წუთისოფლის დღეებს,
როგორც ხარი მივყვები და მივბლავ.

შენს მაგივრად მოვმკვდარვიყავ ნეტავ,
ვოი, ვო-ო, რა კაცურად მოკვდი,
მთვარის შუქი დაგფენია შუბლზე,
მთვარის ცრემლიც ვარსკვლავებად მოკრთის.

ნეტავ მთებში პირდალებულ უფსკრულს,
მე ჩავენთქე, ცოცხალი ვარ რატომ,
ან მაგ ბრჭყალებს არ შევაკვდი რატომ,
ხალიბების საიდუმლოდ ნადნობს.

დავეტორე მაგ ვეება ტორებს,
დავეგლიჯე კბილებს ალმას-ბასრებს,
წყაროებმა რად არ მასვეს შხამი,
მჟავე წყალი რატომ გადამასვეს?!.

ვოი, ვო-ო, შემომაკვდი რატომ,
ნეტავ ახლა შენს მაგივრად ვიწვე,
ნეტამც შეწყდეს ჩემი გულის ფეთქვა,
მაგრამ ვაი, უფრო ძლიერ მიცემს!



* * *

და სიჩუმემ შემოალო კარი
და ზღვასავით ალელვებულ ხალხში
ფეხაკრეფით შემოვიდა თამარ,
მოელოდა მონადირეს ფრთაშლილს.

თითქოს ვერც კი შეამჩნია ვაჟმა,
ქალს თვალებში შეეფეთა ბეჭი
და მანდილით შეხვეული მხარი
და ფიქრებში შეფრთხიალდა ეჭვი.

– ჩერქეზეთში გადავიდა იქნებ,
საყვარელი გაიჩინა ალბათ,
თორემ ჩემზე შეიშრობდა ტუჩებს,
ვეფხვის გლოვით და ცრემლებით ნაბანს.

ჩემს ნახვაზე თუ ესხმოდა ფრთები,
თუ შორიდან შემნიშნავდა ადრე...
მანდილით ვინ შეუხვია ბეჭი...
ოქრო რკინად როგორ გადაადნეს?

მერე ვეფხვსაც გადაავლო მზერა
და თავისი სარეცელი ეცნო, –
ამ ნაპადზე ნებდებოდა ბეთქილს,
თრთოდა კიდეც ქარისაგან ძენნა.

უნდოდა რომ ჩაეხუტა ბეთქილს,
ძველებურად ეთქვა: ჩემო თამარ...
ეჭორავათ – ეს არისო სატრფო,
გაეგონა თუნდ სოფელს და მთა-ბარს.



ალბათ, კოცნით მოურჩენდა ბეჭს და
მოაგლეჯდა აბრეშუმის მანდილს,
იქნებ ცოლიც დარქმეოდა მერე,
არწივისგან გააჩენდა მართვეთ.

* * *

ორი მზერა შეეფეთა ერთურთს
და ცრემლები მონადირის დაშრა,
მაგრამ მაინც ისევ დუმდა ვაჟი,
ქალი გულში გადაიქცა აშრად.

და თავისთვის ჩუმი ბოლმა ჰკულავდა:
– რად არ მაქცევს ყურადღებას მოყმე,
საყვარელი გაიჩინა ალბათ...
საყვარელი გაიჩინა, უხ, მე!

* * *

ხალხის ზღვაში შეერია ტალლა,
ხალხის ზღვაში შეერია ჯერ კი...
მერე ბეთქილს ამოუდგა გვერდით,
მაგრამ ვაჟი, ვით უგრძნობი ჯირკი,

იყო თითქოს თამარისთვის უცხო,
ისევ ქალმა გაუტეხა ნავსი:
– დაისვენე, გეტკინება გული,
ვეფხვი რაა, რომ დარდებით გავსებს?!

ხმაც არ გასცა, შეუბლვირა ერთი,
მის შავ თვალებს დაეხატა რისხვა,
მოდი, ყველამ დამანებეთ თავი! –
თან გამოსცრა კბილებიდან ესლა.

* * *

— და ნელ-ნელა დამარტოვდა სახლი,
გაიკრიფა ხალხი დაქანცული,
ანგელოზებს დააფრთხობდა ბნელში,
შუალამით ხმა ისმოდა ცულის.

განთიადზე გიორგიმ და თორლვამ
ვეფხვისათვის სასახლე რომ შეკრეს...
მთელი ღამე ფანტელებად თავზე,
მთელი ღამე დასთეთროდა ბეთქილს.

ცხრა სანთელი იწვებოდა უკვე,
თენდებოდა, ცხრა სანთელი თრთოდა...
და გაუდგნენ სოფლის გზიდან მთებში
და ცხედარი წასვენეს ორთა.

* * *

და დაკრძალეს უფსკრულის პირს ვეფხვი,
თითო ჭიქაც წაუქციეს ღვინო...
— შენ კი ამას გისურვებდი, ბეთქილ,
მწუხარება არასოდეს ხილო.

მგლოვიარე არ მენახო არსად
და ცრემლების შეგშრობოდეს ფრქვევა
და გაკმაროს სულის ტანჯვა ღმერთმა...
სულის ტანჯვა და სხეულის გვემა.

ხატ-სალოცავ დაგიფარავს, ვაჟო,
თითქოს ახლა აქადაგდა თორლვა
და ბეთქილი ძმადნაფიცის ხმაზე,
გაზაფხულის ყინულივით მოლლვა.

– ჩემო თორლვა, მიწისა ვართ ჩვენაც
და ოდესმე აღსასრულიც მოვა...
შენნაირი მეგობარი ერთმაც, –
თვით ადამმაც ვერასოდეს ჰპოვა.

10

* * *

უფსკრულიდან ბრუნდებოდნენ როცა,
ბეთქილს გულმა გაუწია კლდისკენ,
მაგრამ თორლვა მიიწევდა ქვემოთ
და ამბობდა: თუ საწუთრო გვირქენს –

თუ ოდესმე ავეგებით რქებზე,
მოდი, გულის გავიხაროთ ჭია,
თორემ რაა, ეს ცხოვრება ფუჭი,
თორემ რაა, ეს ცხოვრება ჩია.

მერე მუხა დაანახა შორით,
– ჩემო ბეთქილ, იმ ბერმუხას ხედავ?
იქ მოვკალი ის ბრჭყალება დათვი...
იქ დათვებით სავსე არის ტყე და...

არ ვიმჩნევდი ნადირობის ნდომას,
მაგრამ წელან მეტყობოდა თითქმის,
ვეფხვის გლოვით დამეხილი იყავ,
ფერი გქონდა დარდისაგან მიტკლის.

მაშინ ვეღარ გაგიბედე, ძმაო,
მაგრამ პაპის წამოვილე წათი,
მოდი, ცალად ვინადიროთ ორმა,
მე ჩემი გზით, შენ შენი გზით წადი.



— ემაგ წათით არ მოჰკალი, თორლვა,
ერთი დარტყმით რომ მოაშთე დათვი?!
მერე ჩვენთან დაქანცული მოხველ
და ბუხართან გათოშილი გათბი.

კეტით მკვდარი არც მენახა დათვი,
ალბათ, პაპის დაგყოლია მადლი,
ჩვენი დიდ-ბერ-მონადირე იყო,
კაციც იყო, სვეტიც იყო ნათლის.

* * *

და მივიდნენ ძმობილები ტყესთან
და შეხვედრის ადგილი რომ დათქვეს,
ბილიკები გაიყარნენ მაშინ,
თორლვა ტყეში გზას დაადგა თავქვეს.

ხოლო ბეთქილს, სასწაული მოხდა,
რომ პირველად ნადირობა არ სურს,
მოენატრა... გასცქეროდა მზეს და
დაეძებდა მზისფერება ასულს.

მიდიოდა, მაგრამ ერთხანს შესდგა,
შემდეგ ტყიდან გამობრუნდა უკან,
იცის, თორლვა მიუტევებს მერე,
იცის, თორლვა რომ არ არის გულქვა...

მაგრამ დალის ტრფიალების ამბავს,
ვერ გაუმხელს საიდუმლოს ფარულს,
სალი კლდისკენ საკუთარი ჩრდილი
მიჰყვებოდა ტყიდან გამოპარულს.



11

* * *

ბილიკ-ბილიკ უფსკრულების პირას
მიდიოდა ფრთაშესხმული ვაჟი
და ფიფქივით უფაქიზეს გრძნობას
ატარებდა თან სხეულით კაჟის.

ჩანჩქერების სათავესთან ახლოს,
ოქროსფერ თმებს დაეძებდა ყველგან...
– თუ ვერ გპოვებ, მირჩევნია უფსკრულს
ჩამიტანოს ჩანჩქერების დელგმამ.

ო, ქალღმერთო, დამენახო იქნებ,
თორემ ცოცხლად ტრფიალისგან ვიწვი...
ჩანჩქერიდან ხმა გაისმა ქალის:
– ვიცი, ჩემო, ვიცი, ბეთქილ, ვიცი...

მზე ჩანჩქერში ბანაობდა თურმე,
ესხმებოდა მარგალიტის შეფი,
სადედოფლოდ ირთვებოდა ალბათ,
სადედოფლოდ მონადირეთ მეფის.

აი, თურმე ბრდღვიალებდა რატომ,
თურმე რატომ ჩახჩახებდა წყალი...
წუთისოფელს დასტოვებდა ბეთქილ,
ჩაჰკონვოდა თუნდაც ერთი წამით.

ჩანჩქერიდან გამოვიდა მერე,
ქალი თითქოს ჩამოქნილი სანთლად,
ბრწყინვალებამ თვალი მოსჭრა ბეთქილს,
მზეს სხივებიც თან გამოჰყვა სათნო.

დედიშობილს მოეხურა თმები
ქათქათა და გაშიშვლებულ ტანზე
და ცახცახით ჩაიხუტა ქალი
მონადირემ ვნებისაგან სავსემ.

დიდხანს იყვნენ ჩაკრულები ერთურთს,
სიყვარული ყვავილებად თოვდა,
მერე ქალმა მოიშორა ვაჟი,
თქვა: – ყველაფერს აქვს თავისი დრო და

საქორწინოდ მზე გვაკურთხებს, ჩემო,
სადედოფლოს გადავიცვამ კაბას
და ალმასის ჩანჩქერების შხეფი
ჩვენ წარსული ცოდვებისგან განგვბანს.

* * *

ქარვის კაბა ფრიალებდა ქარში,
სათავისკენ მიდიოდნენ წყვილად,
თვით დემონის ჯადოქრული მზერაც
დაინდობდა წყვილებს გასაწირად..

რა დააცხრობს ნაჩანჩქერალ გულებს,
რა აავსებს უფსკრულებს და ხევებს,
განა ვინმე განაშორებს ერთურთს
ასე მაგრად ჩაჭიდებულ ხელებს?!

შორს, ჩანჩქერის კენწეროზე შესდგნენ,
ჰორიზონტი ჰქონდათ ბეწვის ხიდად,
ქალის თმები იშლებოდა ცისკენ
და ეს წამი მთელ სიცოცხლედ ლირდა.

მერე მზისკენ შემობრუნდნენ ერთად
და ბრდლვიალა მზემ დასწერა ჯვარი,
ფრინველებმა გადმოფანტეს ციდან
ყვავილების თეთრ-ფიფქება ჯარი.

იქნებიან ერთი ხორც და ერთ სულ
და ექნებათ საზიარო სევდაც...
ქარვისფერი გადაესხათ შხეფი
და აკურთხა ჩანჩქერებში მზემ და

მონადირემ ააწყვიტა ლილნი,
დაეწაფა გადავსებულ მთვარეს
და ხალები დაუკოცნა ირმის,
ბროლის წყლებმა მთები გადაფარეს.

მონადირე უკოცნიდა ვნებით,
ბაგეებს თუ ბროწეულის ყვავილს,
ოქროს თმები ბრდლვიალებდნენ მზეზე
და კოცნითვე პასუხობდა ქალიც.

და ფაფუკი ძუძუები მისი
მოაგავდა ფრთათეთრ ბოლოს გედის,
გაშმაგებით ეხვეოდა ვაჟი,
ქალი იყო ყვავილივით დეკის.

* * *

შემდეგ წყვილად გაახილეს თვალი
ქარიშხლით და ვნებით გადაღლილი,
თურმე კლდეში გაგიუებულ ჩანჩქერს
წარეტაცა სამი ოქროს ლილი.



12

- სევდა რატომ შემოგანვა, დალი,
დღეს ხომ ჩვენი ქორწინების დღეა?!
ჩუმი ოხვრით ხმა გაისმა ქალის:
- გამასენდა დის თვალები ღია...

ჩვენ ოდესლაც დავფრინავდით ერთად,
მწვერვალიდან ცადაშლილი ფრთებით
და უჭკნობი ყვავილებით სავსე
სული გვქონდა და ვიყავით დები.

თუმცა ადრე მე არ მითქვამს შენთვის,
შენ ხომ ჩვენზე არაფრი იცი?!
რომ იცოდე, როგორ მიჭირს თხრობა,
იმ ტკივილის გახსენებაც მიმძიმს.

მაგრამ უკვე ჩვენ ერთნი ვართ, ბეთქილ
და წარსულის გადაგიშლი დავთარს...
და ვცხოვრობდით საუფლოში მაშინ,
გვპატრონობდა დედოფალი დალთა.

და დალები უმსუბუქეს ფრთებით
მწვერვალებზე დავფრინავდით ერთად,
მზით ნაკურთხი რომ ვიყავით ყველა,
მიტომ ვცემდით თაყვანს ქარვის ფერთა.

სილამაზის მეტი დაგვყვა მადლი,
დალთ საუფლოს ვამშვენებდით ორნი,
მე სიყვარულს დავეძებდი მაშინ,
დას კი ტრფობით წართმეოდა გონი.



დღე და ლამე სველი ჰქონდა ღაწვნი,
მონადირე შეუყვარდა ვინმე,
თავად ვაჟსაც ცეცხლი სწვავდა თურმე,
თუმცა უთქვამს: ვინ შენა და ვინ მე...

რომ მოსულა მონადირე ერთხელ,
დას დაუწნავს ოქროსფერი თმები,
ნაწნავებზე აფრენილა ვაჟი,
კლდის მწვერვალზე, სიყვარულის ნებით...

ო, იმ ლამეს დავლუპულვართ თურმე,
მეორე დღეს შიშისაგან ძრწოდა,
როგორ უნდა სჩვენებოდა პატრონს?!
თუმცა მან ხომ სიყვარულით სცოდა.

13

* * *

ატმოსფერო დაგვიმძიმდა ირგვლივ,
დალთ-დედოფალ მოფრინავდა ამ დროს,
– ვინ, ვინ სცოდა? – კითხულობდა მზერით,
შემოხედვა მისი ოქროს ადნობს.

მაღლა კლდეზე წაგვიყვანა დალნი,
იქ გველოდა შეცნობა და განსჯა...
მწვერვალიდან გადავთრინდით ყველა,
ჩემი და კი... შორს, მწვერვალზე დარჩა.

ვერ გაშალა დაქანცული ფრთები,
სადღაც გაჰქრა სიმსუბუქე მისი,
სიყვარულის დაამძიმა ცოდვამ
და ცრემლებად კბოდეს დაენისლა...

შეიშალა დედოფალი დალთა
და ჩემს დაზე დააფრქვია რისხვა
და მოჰკვეთა საუფლოდან ქალი, –
ცრემლი მისი აქარიშხლდა ვით ზღვა.

შევყურებდი მარტოდმარტო შთენილს,
გული ჩემი ივსებოდა დარდით,
თურმე სევდა შეეფინა ცას და
ზეცა იყო მოჭედილი მარჯნით.

მაინც რისთვის, რად მოგკვეთეს, დაო,
იქნებ ტრფობა რომ შეგეძლო მხოლოდ?!
სიყვარულის აშენებდი კოშკებს...
სხვა კი ფიქრის ვერც ააგებს ყორეს.

რად გაგწირეს, ჩემო ერთადერთო,
რად გაგწირეს, ჩემო ფიქრისფერო,
ნუთუ ჩვენი საყვარელი მთები
ცრემლისფერად უნდა გადაფერო?!

* * *

განგვირისხდა დედოფალი დალთა,
– ვინც მოკვეთილს მიეკაროს – ბრძანა –
ვეღარ მოვა სიახლოვეს ჩვენსას!..
მე კი სულში მოვიკრიბე ძალა

და გავფრინდი ჩემს გარიყულ დასთან,
თუმცა არვის მოუცია ნება,
– ეს რა ჰქენი! – შემომკივლა დამ და
ტანჯვა ტანჯვას როგორ გადაება

ვერც ვიგრძენი... ჩავეხუტე მხოლოდ
და ცრემლები დავუკოცნე ბროლის...
– ნულარ დარდობ, მე შენთან ვარ, დაო,
გამოჩინდება ნუთისოფლის ფონიც...

14

და მას შემდეგ ჩვენ ვცხოვრობდით კლდეზე
ორად ორი ქარვისფერი დანი,
ასეთ ყოფას შევეგუეთ, თურმე
დრო ყოფილა დარდის გადამტანი.

ვპატრონობდით კლდით ჩაჩეხილ ჯიხვებს
და ყოველთვის ვსვამდით შუნის რძეს და
ხოლო ღამით გამოქვაბულ კლდეში
ჩვენ გვეძინა ხარჯიხვებთან ერთად.

ვკანკალებდით ღამეებში ზამთრის
და შურთხები გვიზიდავდნენ თივას,
დას გადამხმარ ყვავილებში ჩაფლულს
ო, რამდენჯერ შევსწრებივარ მტირალს.

ხან ვტიროდით, ხან ვხარობდით ერთად,
ხან კლდეს ვიყავთ, ხან ჩანჩქერში, ხან მთას
და ვიყავით ერთმანეთის მჯობნი,
ერთმანეთის მეტი არვინ გვყავდა.

15

მე ჩანჩქერში ვბანაობდი როცა,
მონადირე მოდიოდა ხოლმე,
სევდას დისას გაატანდა ღრუბლებს
და დარდების უქარვებდა ურმებს.



ეჰ, თანდათან გადიოდა დრო და...
ჩემი და კი უმატებდა ოხვრას,
დაემსგავსა მკერდშევსებულ მთვარეს,
მაგრამ მხრებზე ემჩნეოდა მოღლა.

ერთხელ ცრემლით დაუსველდა სახე
და მეჩვენა ფერგამკრთალი, სუსტი,
– რა დარდი გკლავს, რა ფიქრი გკლავს, დაო?! –
ჩუმად ვკითხე, – გამიმხილე, ნუ სტირ!

მის სხეულში ფაჩუნობდა თურმე
პაწაწინა გასაშლელი კვირტი...
– და ხანდახან მაბრუებსო ფიქრით, –
ეს მითხრა და მოუმატა ქვითინს.

მოფერებით დავამშვიდე იგი,
ჰგავდა თითქოს მზის სხივებით ნახატს
და ღვთიური ბრწყინვალება მასში
კრთოდა თითქოს... სევდაც კრთოდა რაღაც...

არაფერი დამავიწყებს მის თმას
და მის ფეხებს ჩამოქნილს და ლამაზს...
ვერასოდეს ვიფიქრებდი, ბეთქილ
თუ ცხოვრება გვიპირებდა ამას...

16

* * *

დაბადების ვოცნებობდით დღეზე,
– ნეტავ, დედას დაემსგავსოს ჩვილი, –
ამ ფიქრებით ჩვენ ვამკობდით ბავშვს და
რა ვიცოდით, იქვე დუმდა ჭირი.



ერთხელ დილით, იმ ავბედით დილით,
მოვირბინე ყვავილების მოლი
და დავკრიფე ყვავილები დისტვის,
მას უყვარდა ყვავილების თქორი...

მე პეპლები მასხდებოდნენ თმაზე,
დავიქანცე ხუმრობით და ფრენით,
მზე კენწეროს დაეკიდა ცაზე
და შუადღე დადგა მზისა ფერი.

სიხარულით მივფრინავდი კლდისკენ
და მიმქონდა თაიგულის ფარჩა...
და ჰკოცნიდნენ ზურმუხტები ვნებით
ლალს, მარგალიტს, ფირუზსა და მარჯანს.

სურნელება ავიტანე მინდვრის,
მაგრამ უცებ შეშლილივით შევკრთი,
დავიკივლე და შევძარი მთები,
მერე ლოდებს შევალენე მკერდი...

დისტვის თურმე მოუკვეცავთ თმები,
გაუფატრავთ... აუგლიჯავთ ბავშვი!..
და თვალები დარჩენოდა ლია...
ჩავიკარგე ნავი ქარიშხალში...

ო, ის მზერა დღესაც მშანთავს, ჩემო,
თუმცა დროა უკვე გარდასული,
მაშინ ჩავწვდი შეშლილების სევდას,
შევიგრძენი მეხთატეხა სულის.

* * *

და ცრემლები შემოასკდა დალის
და ბეთქილსაც ვეღარ ეყო ძალა,
დაემშვიდა ნიალვარი – ქალი
და ორივე აქვითინდა მწარედ.

* * *

მონადირე ჩაეხუტა ქალს და
ჰკითხა: – რა ჰქენ მერე, სულის ერთო?!
– ნუდარ მკითხავ... მოგიყვები, ვაჟო...
ეს კლდეები ყველა დავაფეთე.

შევყურებდი დასისხლებულ დას და
ვლრიალებდი!.. ბედისწერა მცდიდა...
სალ კლდეებზე ვახეთქებდი თავს და
დას ლუბლებიც დასტიროდნენ ციდან.

ავიტაცე ყვავილები მინდვრის
და გაფატრულ სხეულს დავაფანტე...
გულწასული გადმოვეშვი კლდიდან
და მეგონა სიცვდილის გზა ფართე...

ჩავიჩეხე, ალბათ დიდხანს ვეგდე
დასისხლული, გულწასული გონით...
ჯერ ყინულის შევარხიე ხელი,
მერე თვალიც გავახილე მგონი.

და შევნიშნე დანისლული მზერით,
თეთრწვერება მონადირე ვიღაც,
თითქოს შევკრთი, გავიწიე გვერდით,
დავაკვირდი სახესა თუ ნიღაბს.

მონადირეც უკან გადგა თითქოს,
შეშინდა თუ?.. გამეცალა, ალბათ,
თურმე მკერდი შეეხვია ჩემთვის
და პერანგი მისი სისხლში დალბა.

– მკერდი რატომ შემიხვიე ბედშავს,
დავცლილიყავ გულწასული სისხლით,
არც საწუთო აღარ მიღირს ჩირად,
არც სიცოცხლე, აწონილი მისხლით... –

ვუთხარი და მანაც მკითხა ჩუმად:
– ასე ლამაზს რა მოგსვლია, ქალო?!
მეც ვუამბე უბედობა ჩემი
და დარდების გავულენე კალო.

– წელან შემხვდა მონადირე ჩვილით, –
თქვა და ისევ უბრად იდგა დიდხანს...
– სად გაიქცა გამფატრავი ქალის! –
მივაკივლე – მითხარ, ჩქარა მითხარ!!!

ჭრილობები გადამეხსნა გულის
და ტკივილი მიასკეცდა ისევ,
– რად გაფატრეს, რად შეაჭრეს თმები?
ვერ მივაგენ მისი მოკვლის მიზეზს...

და მოხუცი მონადირე კვლავაც
მამშვიდებდა: – მოგიყვები ყოველს...
მან კაეშნის რომ დაიწყო თხრობა,
საუბარი მოუგავდა ფხოველს.



სანადიროდ მიდიოდა ჭიუხს,
მონადირე დაუნახავს უცხო,
ხელში ეპყრა უდღეური ბავშვი,
სწყევლიდაო ბოროტებას უძღებს.

და უკითხავს თეთრწვერებას მისთვის...
მასაც უთქვამს ყველაფერი წვრილად...
სანადიროდ მიდიოდა თურმე
და კივილის ხმაზე შეამცივნა.

კლდეზე ნახა მშობიარე დალი
თმაშეჭრილი, სულთმებრძოლი გდია,
ქალი ცრემლად იღვენთება თურმე,
მის ღაწვებზე წყაროები კრთიან...

უცხო ყმისთვის აღსარება უთქვამს,
ვოი, ვო-ო, უბრალოდო ვკვდები...
ცოლიანი ჰყვარებია ვაჟი,
სწორედ მის ცოლს შეუჭრია თმები.

სად გაიგო კუდიანმა ნეტავ,
რომ ქალლმერთებს ძალა ჰქონდათ თმაში,
მიეძინა როცა დალის მშვიდად,
აპარულა ჯადოქარი თავშლით

და შეჭრილი დალალები კლდეზე
მოფანტულა, როგორც ოქროს წყარო,
კუდიანი ქირქილებდა თურმე:
– ისიც გეყოს, რომ ლამაზი ხარო!



მშობიარეს გამოსცლოდა ძალა,
დედაკაცი გაპარულა მერე...
და ქალღმერთი შეჰერებდა ცაზე
უკანასკნელ ოქროცურვილ ფერებს.

* * *

უცხო ყმისთვის უთხოვია შველა:
– ბოლმა მოჰქერის, მოაჭენებს ჯარად,
შემირჩინე ერთადერთი შვილი
და მუცელი გამიფატრე ჩქარა!

თუ ბიჭია, შემომძახე მკვდარსაც,
რომ გამიჩნდა ვაჟი – ამირანი,
ქალს სახელი შეურჩიე თვითონ...
დავთრინავდით და ვყოფილვართ რანი?!

წაიყვანე დღენაკლული ჩვილი,
მერე ტყავში გამოზარდე ხარის,
ჩემი თმების მას გაჰყვება ძალა
და იქნება დევთა მოსისხარი...

რას მიყურებ!.. შემირჩინე შვილი...
თავად ხედავ, უკვე ვითვლი წამებს,
აიღე და გადამკარი ხმალი,
ამაგლიჯე ბავშვი!.. გამაცალე!!!

ცაზე თითქოს გადაფითრდა მზე და
შორს, ღრუბლებში ოქროს ცრემლად ჩადნა,
აცახცახდა მონადირე თურმე
და ცოცხალი ქალი გადაფატრა.

ერთხელ კიდევ დაიკივლა დალიმ...
თქვა: – გმადლობო, უკვე მშვიდად ვკვდები...
და თვალებით შეაჩერდა ზეცას
და აცრემლდნენ ცრემლისფერი მთები.

მონადირე ქვითინებდა თურმე...
– ვაჟიაო!!! – მთებმაც მისცეს ბანი...
გათოშილმა გაიგონა ალბათ,
დედა გახდა ვაჟის, მზით ნაბანის.

* * *

გამოერკვა მონადირე უცებ, –
დრო დადგაო უკვე ჩვილის მოვლის...
აიტაცა დღენაკლული ბავშვი
და პერანგში გაახვია მოვის.

მიდიოდა მონადირე ჩვილით,
შეხვედრია თეთრწვერება თურმე... –
ეს ამბავი მე გადმომცა მან და
ავქვითინდი, ვეღარ დავემდურე.

* * *

და ჩანჩქერის სათავესთან ახლოს,
დავასვენეთ იგი წმინდა კონცხზე,
დის სხეული დავიტირე ცრემლით
და გაშლილი თმებით დიდხანს ვკოცნე.

მზის სხივებმა მოიტაცეს მერე...
შეუერთდა მარადიულ საწყისს,
წარიტანა აშხვართული ტანი
და ტუჩები წარიტანა მარწყვის...

17

* * *

... და ამირანს დავეძებდი ყველგან,
მაგრამ იგი ვეღარსაით ვპოვე,
ასე ტანჯვით გადიოდნენ წლები,
მთა და ბარი მე უჩინრად მოვვლე.

მერე ამბად გავიგონე ბოლოს,
შეუსვია ვაჟკაცობის თასი,
თურმე უფალს მოუნათლავს ვაჟი...
უხოცია დევნი ასჯერ ასი.

* * *

და ნათლიას დასჭიდია თავად,
შემდეგ ღმერთის დასტეხია რისხვა, –
კავკასიის მიუჯაჭვავს ქედზე,
საიდანაც თავს ვერასდროს იხსნის!..

ისევ დარდად გადავიქეც, ისევ...
და ცრემლები ღანვებს ჩამომადნა,
როგორც ხელში მოფართხალე ჩიტმა,
განუტევა სული ჩემმა ნატვრამ.

18

* * *

ოცნებამაც მიმატოვა მერე
და სიკეთე გადამექცა რისხვად,
სულ ვფიქრობდი, უბედობას ჩემსას
კაცთა მოდგმა თავის სისხლით მიზღავს.



დავდიოდი ქარვისფერი ქალი,
გლოვის ნიშნად თმები გავიშალე,
ხან ქურციკად ვიქცეოდი, ხან კი
მე ვიყავი ოქროსრქება შველი.

მონადირე რომ მესროდა ტყვიას,
მე ვუგებდი გასაოცარ ფანდებს,
იმავ ტყვიით განვგმირავდი მას და
შევაჩეხდი ამ კლდეებს და ამ მთებს.

სიხარბისგან თვალდათხრილნი ვაუნი,
ვეღარ მცნობდნენ განსხვავებულ ნიშნით,
მხოლოდ შენ ერთს არ გისვრია ჩემთვის,
იცი, ვინ ვარ?! – წარსულს გადაგიშლი...

გახსოვს, იყავ სანადიროდ როცა,
ერთი კვირა გაბარდნიდა ზეცა,
ბრუნდებოდი მოცარული სახლში,
ყინულებთან დავენაფე ვეძას.

დამინახე ოქროსრქება შველი,
მერე თოვლში მოისროლე თოფი...
მაცოფებდა სიძლიერე შენი...
კაცთა მოდგმას მივუტევე ორპირს.

ერთი კვირა ნახეტიალს თოვლში,
არ მინდოდა შეგტყობოდა წყენა,
სათნოება შევიცანი შენში
და ხარლალი გისაჩუქრე ძლვენად.



ამის შემდეგ გადევნებდი თვალ-ყურს,
დაგსდევდი და ვერას გრძნოდი თავად...
უპატრონოდ, მარტოდმარტო მთებში,
ავად გავხდი, ტრფიალისგან ავად.

* * *

თუმცა ჯიხვზე სანადიროდ მოხველ,
მეორეჯერ ვეფხვთან გამოგცადე...
გამაოგნა ვაჟკაცობამ შენმან,
სიხარულით ავფრიალდი ცამდე.

მერე ვეფხვი დაიტირე სახლში
და აუგე ვით მეომარს წესი,
შეშლილად და გიუად გთვლიდა ყველა,
გარდა ერთის – სოფლის უხუცესის.

დღეს კი შენთან ვიქორწინე, ბეთქილ,
ა჊ა, ქარვის გამომართვი მძივი,
მაგ მანდილსაც მოუფრთხილდი, ვაჟო,
რაც მებადა, სრულად შემოგწირე.

ალარ დამრჩა არაფერი ჩემთვის,
მხრებზე გვაწევს სიყვარული – ტვირთი...
მერე დალიმ დაიხედა ხელზე,
ბეჭდისაგან უბრჭყვინავდა თითი.

სამკაული შეატყორცნა ჩანჩქერს...
და ჩანჩქერმაც წარიტაცა ლალი,
ბრდლვიალებით ჩაიკარგა წყალში
ალმასების მოლიცლიცე ბალი.

— ყველა ნივთზე ის მიყვარდა მეტად,
გადაკარგვამ გული დამიღარა...
სიგიჟემდეც რომ მიყვარდეს ვინმე,
არასოდეს ვაპატიებ ღალატს!..

დღეს წარსულის ამიცრემლდა დარდი,
ახლა წადი, შებინდდება ვიდრე...
მე შენს მეტი არვინ დამრჩა, ბეთქილ,
გისაჩუქრებ რქადატოტვილ ირემს.

ვაჟმა ქალი აიტაცა ხელში,
ქალის თმები მონადირის ბეჭებს
დაეღვარა და ბეთქილის ფიქრი
გაჰყვა წყალში გადაკარგულ ბეჭედს...

19

* * *

ტყის ნაპირას ძმობილები შეხვდნენ
ერთმანეთს და შესვეს წყაროს წყალი...
ერთს მოეკლა დევის დარი დათვი
და მეორეს — რქაქორბუდა ხარი.

— წელან როცა უღრანებში შეველ, —
ვერ ფარავდა აღშფოთებას თორლვა,
ბელთან ერთად დავინახე დათვიც,
მერე დათვთა ჩვეულებას მოჰყვა:

ორი წლისა გახდებიან ვიდრე,
თურმე მამრი ეტანება ბელებს,
შესაჭმელად გაიმეტებს შვილებს,
დედა დათვსაც დაუბნელებს ფერებს.

* * *

დიყებს უკან დაემალა ბელი,
არ ზოგავდა მამა დათვს და ტორებს,
ბოლოს, მამრმაც შეუბრუნა ტორი,
კიდევ კარგი შევესწარი, თორემ...

დედა იქვე დაენარცხა მოლზე,
მამა დათვი გაძუნძულდა ბელთან,
დიყებიდან განწირულმა მზერამ
შემაშფოთა, სული დამიფეთა.

შეშლილივით წამოვარდა დედა,
დაეძგერა დევისხელა დათვს და
მათმა ბრდლვინვამ შეარხია ტყე და
თითქოს ჩემი მოთმინებაც გაცვდა...

საფარიდან გავცეროდი ბრძოლას,
მაოცებდა თავგანწირვა დედის...
და ჩახმახი შევაყენე ყალყზე,
ეჰ, მოთმენა ვერ შევძელი მეტის.

გადაფითრდა დაბურული ტყე და
დაიჭექა გაშმაგებულ თოფმა
და უღრანში გაიყინა წამით
დათვთა ბრდლვინვა და ველური მოთქმა.

მამრის შუბლზე აცრემლებულ სისხლმა
დაატირა ცადახელილ თვალებს,
დიყებისკენ გაჰკიოდა დედა:
– ჩქარა, შვილო, ჩქარა ტყეში, მალე!



დათვთა ძუნძულს შევსწრებივარ ბევრჯერ,
მაგრამ მათი არც მსმენია ფრენა,
დედა-შვილი მიფრინავდა ისე,
ვერ აღგინერს ჩემი ბრგვნილი ენა.

შენს მოსვლამდე ვერ დავმშვიდდი, ბეთქილ...
გული დასცხრა, დაგინახე რაკი,
დათვთა სრბოლა მოგახვიე თავზე,
ვეღარც გკითხე, სად მოჰკალი ლალი...

ზეციური მადლი დაგყვა ალბათ,
ასე რჩეულს წასწყდომიხარ ირემს...
მიდიოდნენ, საუბარი ძმათა
უსაშველო გზასაც გამოილევს.

* * *

სიტყვა არც კი დასცდენია დალზე,
თუმცა ფიქრით ისევ მასთან ჰქოდა...
წარსულ ამბებს იხსენებდა თორლვა
და ბეთქილი პასუხობდა „ჰოს“ და...

– უცნაური მეჩვენები, ბეთქილ,
თუმცა შენი მეგობარი ვიყავ,
ყველაფერზე ვკამათობდით ადრე,
ერთმანეთი თუმც უსაზღვროდ გვიყვარს.

დღეს კი ყოველს დაეთანხმე სიტყვას,
შენი ქცევით გაკვირვებულ ვარ და
მითხარ, როგორ გარდაიქც, ვაურ,
ან რამ შეგქმნა დღეს უეკლო ვარდად?!



— ცას გახედე, რა ლამეა, თორლვა,
ქორნილია, ვარსკვლავების ცვენა...
განა მთვარეს რომელიმე ეტყვის,
გეყოფაო ფიქრები და ფრენა?!

* * *

როცა მთიდან ჩამოვიდნენ ორნი,
დაეძებდა მთვარე თავის სწორფერს,
არ ეძინა სარკმლებიდან მზირალს
ჭრაქისშუქა, თვალციმციმა სოფელს.

ვერ მალავდა ცნობისწადილს თითქოს,
მონადირეთ მოელოდა ცამდის...
და დამშვიდდა, ბუხრისპირას როცა
აშიშხინდა ხარირემის მწვადი.

20

ფოთლებივით ქარს მიჰქონდა დრო და
თამარ ქალის ქარს მიჰქონდა ბედიც,
თუკი უნინ ბეთქილს სანთლად ენთო
ხელისგულზე და სიყვარულს ჰყენდა.

დღეს მიუვალ ამ ცხრაკარა ციხის
ერთი კარიც ვერ შელენა ქალმა
და ზეცამდე ანთებული ვნებით
ვერ გადასწვა ციხე ცეცხლის ალმა...

ქალი ძლივსლა იოკებდა რაშებს, —
ფიქრებს სულში ერთმანეთთან მიჯრილს;
ხან სადავეს მიუშვებდა ქარში...
ცხრაგზის უცხოს ვეღარ სცნობდა მიჯნურს.

... და თიბათვე დამდგარიყო მთაში...
 ვით უჭირავს მთიბველები ფერდობს
 და ღონივრად ვით იქნევენ ცელებს,
 ციცაბოზე როგორ დგანან, ღმერთო?!

იფიქრებდა შემხედვარე უცხო
 და შესთხოვდა გადარჩენას ზენას,
 მერე მაგრად დახუჭავდა თვალებს,
 მეორეჯერ ვერ შეჰქმდდა მზერას.

დასცეკეროდნენ მწვერვალები მშვიდად
 და „ლილეოს“ გუგუნებდა უშბაც...
 მთებივით რომ გაჩენილან სვანი,
 მიტომ ხმალი ვერ შეუწვდა დუშმანს.

მაგრამ მთებშიც განსხვავება იყო...
 და ბეთქილი ტოლს უდებდა არვის,
 დევის მკლავით გადათიბა ფერდა,
 ჭრელა-ჭრულა ყვავილები, ქარვის.

და ყველაზე შორს გაპქონდა ბეთქილს
 ყვავილების მოწყვეტილი წელი,
 თიბვის სუნმა აუშალა სულში
 მოგონება გარდასული, მწველი –

თამარმა რომ აუტანა, ახსოვს,
 პური თავის გამომცხვარი, იფქლის...
 მაგრამ ვაჟმა გამოსცელა წამში
 ყვავილებიც და თამარზე ფიქრიც.

* * *

სალამო რომ ალიცლიცდა ცაზე
 და შეაშრათ დაქანცულებს ოფლი,
 როცა ჰკრეფდა მზე ოქროსფერ სხივებს,
 გამოაცხო როცა კვერი ობლის.

მზის ფერებში მოეჩვენა ბეთქილს,
 ოქროს ძაფით დალი სხივებს ურთავს...
 და მთიბველებს აღარ გაჰყვა სახლში,
 მიაძახა: – მოგეწევით, მურთაბ!..

აბოლებდა... შეჰყურებდა დიდხანს
 მწვერვალებში ჩათქვირებულ მზეს და...
 არ ეგონა თუ ქალღმერთზე ფიქრი
 სულს და სხეულს ასე აღუგზნებდა.

* * *

უცებ თვალზე ააფარეს ხელი,
 ბეთქილ შეკრთა, წამოვარდა ფეხზე,
 ხედავს, თამარს გადაღელილს მკერდით,
 – აქ რა გინდა, აქ რა გინდა, მეხსენ!

– მთელი ღამე გვაბრუებდა, გახსოვს?
 სიყვარული და სურნელი თივის...
 აქ რა მინდა?! აქ რა მინდა, ვაჟო?!?!
 ო, ის ღამე ახლაც ურჟოლად მივლის...

თენდებოდა და დაგვაცხრა წვიმა
 და ბავშვივით ამიტაცე ხელში,
 მიმაფრენდი ბილიკებზე, ბეთქილ,
 მერე თავი შევაფარეთ ეხში...



შეაჩერდა ქალი ცეცხლის თვალებს,
მეტი სიტყვა გაუბედა ვეღარ,
შეეშინდა არ ეჭექა ზეცას, –
ბეთქილი არ დაძრულიყო მეხად.

ამოგლიჯა გული დევის ოხვრამ
და მოთიბულს დააცქერდა ნამხრევს,
ეტყობოდა, რომ ბოლმებმა სულში
რაშებივით ლაგამები დახრეს.

* * *

და წამოდგა... და აიღო ცელი...
და გაუყვა თავქვე ბილიკს ვიწროს,
აჩრდილივით ადევნებულ ქალმა
ბეჭზე ვეფხვის ნატორალი იცნო.

და მანდილი გაახსენდა თამარს:
– მოუხსნია... ვისი იყო ნეტავ?
არასოდეს ღირსებიყო წასვლა
სანადიროდ, ნეტავ, ჩემდა ბედად!

* * *

სოფლის გზაზე ჩააღწიეს ისე,
ბეთქილს არც კი მოუკიდავს ხელი...
სახლისკენ რომ მიდიოდა ვაჟი,
ქალი შესდგა ნაპირებთან ღელის...

მოიხედა, არვინ ჩანდა უკან
და მანდილი ისევ გაიხსენა...
იგრძნო, თითქოს შეჰყურებდა ვილაც,
დამშანთავი ზურგს უწვავდა მზერა...



მზე მწვერვალებს ჩასულიყო თუმცა,
ნამნამების ვერ ფარავდა გვირგვინს,
თაფლისფერი თვალებიდან სხივი
ელვრებოდა... არვინ იყო ირგვლივ...

23

* * *

უსაშველოდ მოენატრა დალი,
მის ნაჩქარს ეხებოდა ნივთებს,
მიტოვებულს დაემსგავსა ზღაპარს
და მწყემსავდა თეთრ ლამეთა მითებს.

რამდენჯერაც გახედავდა უშბას,
რამდენჯერაც მოინდომა წასვლა,
იმდენჯერვე მოდიოდა თქეში
და ავდარი იქცეოდა აფთრად.

ორლობიდან გამოვიდა ერთხელ
და თამარი შეეფეთა კართან,
მისალმებაც ვერ მოასწრო ვაჟმა,
რომ თამარი იქვე გადავარდა.

თითქოს მართლა გულწასული იყო
და ბეთქილმა შეასხურა წყალი,
თვალი როცა გაახილა ქალმა,
მზერა სტყორცნა გამომცდელი, მწყრალი.

* * *

ააყენა და წყაროსთან, იქვე,
რომ ჩამოსხდნენ, გავსილიყო კოკა,
– ასე მძიმეს ვერ წაიღებ, თამარ...
ქალი მოჰყვა ძველებურად გოგმანს.

იქნებ ტყიდან მოფრენილი ჩიტი
შეიპარა სალამურის ღერში...
სოფლის გაღმა მიდიოდნენ ორნი,
ქალი – ფრთებით, ვაჟი – კოკით ხელში.

* * *

– მოდი, ცოტა შევისვენოთ, ბეთქილ,
დაქანცულებს ასვენებდა მოსეც...
და ენგურში უზარმაზარ ქვაზე
გადავიდნენ და ჩამოსხდნენ ლოდზე.

და მდინარე ლრიალებდა ირგვლივ,
ქაფთან ერთად იქნებ დარდსაც ნთქავდა...
კალმახები ლიცლიცებდნენ წყალში
და თამარი იმ კალმახებს ჰგავდა.

ვაჟმა ჩუმი შეაპარა მზერა
დაწინწკლულ და შემოტმასნილ კაბას
და მაშინვე შეამჩნია ქალმა
გაიფიქრა: – რა გეგონა, აბა?!

გაბედულად აუღურტულდა ისევ,
როგორც ტყეში გულწითელა ჩიტი,
იქნებ ბოლო მოჰლებოდა უკვე
ამდენ ბოლმას, ამდენ სულთა ჭიდილს.

– გახსოვს, მაშინ... ის პირველი კოცნა
აქ მაჩუქე, ჩავეხვიეთ ერთურთს
და დავარქვით სიყვარულის ლოდი...
იმის მერე არ გაგცვალე მე თუ!.. –

მიხვდა, სიტყვის რომ გასცილდა საზღვარს
და მაშინვე მოიკბინა ტუჩი,
გადააწყდა ცეცხლისმფრქვეველ მზერას,
ზეცას ნისლი ჩამოაწვა თუჯის.

უხმაუროდ წამოიჭრა ვაჟი
და მდინარის მიაშურა ნაპირს,
ნისლებისკენ წარიტაცა ქარმა
სიყვარულის გაწყვეტილი ძაფი...

ორლობემდე მიუტანა კოკა,
გამობრუნდა მერე იმავ წამში,
მას თამარიც მიჰყვებოდა უკან
და ღრუბლები დაცურავდნენ ცაში...

მდინარემდე მიაცილა ქალმა,
წყალი სჩქეფდა დათალხული, შფოთი...
და ორივემ დაინახა, ენგურს
დაეფარა სიყვარულის ლოდი...

24

* * *

აწყვდიადდა დედოფალი – ლამე,
შორს, ღრუბლებმა ჩაიხუტეს მთვარე,
არ ახელდნენ ვარსკვლავები ცაზე
ვნებისაგან გადაქანცულ თვალებს.

და მხატვარმა წუთისოფლის – ლმერთმა
ყველაფერი შავად გადაღება...
მთების მკერდზე მიეძინა სოფელს
და ძალლების გაისმოდა ყეფა.



* * *

ო, იმ ღამით არ ეძინა თამარს,
განშორებამ დალი დაამჩნია,
მერე წყვდიადს შეუერთდა ჩუმად,
მოერიდა კარის მძიმე ჭრიალს.

და ბეთქილის შეიპარა სახლში,
ვაჟს ფანჯარა დარჩენოდა ღია
და პერანგი გადაიძრო ქალმა
და შიშველი ბეთქილს ჩაეხვია...

ვაჟს ეზმანა, ყვავილები მინდვრის
ცხელ გვალვებმა როგორ გადაახმეს,
სიზმარეულს ვერ გაშორდა ზღაპარს,
ძილში თითქოს ეხვეოდა ქალლმერთს.

ოქროს ხალი ვერ უპოვა მკერდზე,
თითქოს კვალიც გამქრალიყო ნიშნის
და სიზმრიდან გამოსცურა როცა,
ხელში შერჩა დალალები გიშრის...

თამარ ქალი უკოცნიდა ტუჩებს,
თამარ ქალი – ცადანვდილი ვნება,
მის ძუძუ-მკერდს ვინდა გადაურჩეს?
და ბეთქილიც მიჰყვა ქალის ნებას.

საუკუნე არ წოლილან ერთად...
და რამდენი გაფრენილა ხანი...
დაიქანცნენ გადარეულ კოცნით
და ნაბადი დაიხურეს ღამის.



გაცოცხლებულ ყვავილების მსგავსად,
თითქოს ქალის ოცნებები ახდა...
ერთი ფიქრი აწვალებდა ბეთქილს,
ერთი ფიქრი... და ყმუილი ძალლთა.

ვერ გაექცა ველურ ვნებას ვერსად,
სალ კლდეებზე ნაომარი ხვადი,
ეჰ, სიზმარი ყოფილიყო, ნეტავ...
ყველაფერი იყო უკვე ცხადი.

გამოვიდა ნამთვრალევი თითქოს,
ღვინითა თუ ადულებულ მაჭრით...
და მაშინვე შეტრიალდა სახლში,
ხმა მოესმა როცა თავის ფანჯრის.

სიზმარივით გამქრალიყო ქალი,
ისევ ჩუმად შერეოდა ღამეს...
და სარკმლიდან გაჰყურებდა ვაჟი
ქალის აჩრდილს და თეთნულდის მთვარეს.

მთვარის შუქზე მოფარფატე ლანდი
თითქოს სადღაც ჩაიკარგა პნელში...
შემდეგ გვიან ჩაეძინა ბეთქილს
ფიქრითა და ვნებით გადალეშილს.

25

* * *

აბრეშუმი ჩაებლუჯა თამარს,
ბალიშის ქვეშ შემთხვევით რომ ნახა,
და სახლისკენ მიაფრენდა ქშენით
და შავეთის მიუძღვოდა მაყარს...

ფეხაკრეფით შეიპარა სახლში
და აანთო ჩაბუტყული ჭრაქი,
მიაშურა სამყოფელოს თავისს
და ოთახში ჩაიკეტა რაკი...

გადაშალა აბრეშუმი შუქზე,
მანდილიდან გადმოვარდა ქარვა
და ამჯერად ვეღარ შესძლო ვაუმა
მძივისა და გულის გადამალვა...

ქალის სახე გადაფარა რისხვამ –
ნიალვართა გადარეულ ქშენამ,
დაფლეთილი აბრეშუმი სახლში
აფრიალდა გამოფატრულ შველად.

* * *

შეშლილივით გამოვარდა ქარში,
ავსულივით უჩინარი გახდა,
სიყვარული დაუმსხვრიეს რადგან,
რადგან ეჭვი სიზმარივით ახდა.

– ეჰ, ვინ იცის, უკოცნიდა ვნებით
ვაუი ტუჩებს იმ დასაწვავ სატრფოს,
ან რამდენჯერ ნებივრობდნენ ერთად
და რამდენჯერ გათოშილი ათბო...

და სწყევლიდა მათ შეხვედრის წუთებს,
სოფლის გაღმა მიაშურა მინდორს...
და თამარის დანთებული ცეცხლი
ბობოქრობდა და ზეცამდე ენთო.

ჯერ ფრჩხილებით გამოფხოჭნა მიწა,
დაგლეჯილი მძივი მიწას დაფლა,
მერე მანდილს მიუბრუნდა, როცა
წარიტაცა ქარმა ცეცხლის აფრა...

და ოქროსფრად აბრდლვიალდა ბნელში
აბრეშუმის ავარდნილი ალი...
მძვინვარებდნენ თამარი და ცეცხლი,
მძვინვარებდნენ არნახული ძალით...

26

* * *

განთიადმა გადაფარა ნისლი,
მთების გულში გაეღვიძა სოფელს,
მწვერვალიდან ამოვიდა მზე და
ალბათ, სხივებს დედამიწას მოჰყენს.

გაშლილიყო მთებზე ცხვრების ფარა
და ბალახით უკვე წაეხემსა...
და სალამურს აკვნესებდა მწყემსი,
სალამურიც ქცეულიყო მწყემსად.

და ბოსლებთან მოეყარა თავი
ათასფერა, ჭრელა-ჭრულა ნახირს,
სამკაულად ამშვენებდა სოფელს,
დაგამშვიდებს მათი მზერა დაღლილს.

მთვარე ჯერ არ გამქრალიყო ცაზე
და სწველიდნენ დედაკაცნი ძროხებს,
დილის ნამზე ფუსფუსებდა ყველა
და ბუნებაც ჰქონდა მწვანე ნოხებს.



* * *

და ეს დილაც ჰგავდა ათას დილას,
მაგრამ ხალხმა აყმუვლებულ ძაღლებს
ვერ უშველეს ვერც ჩხუბით, ვერც ბლვერით,
ზოგიც კიდევ ამუქრებდა სახრეს.

უცნაურად მოეჩვენათ ისიც, –
დილას ფერი შეჰპარვოდა ლამის...
ღრუბლებისკენ მიაფრენდა ქარი
ძაღლთა ყმუილს და საქონლის ბლავილს.

შავი რაშით შუალამემ უცებ
გადათქორა ყოველივე ირგვლივ,
მზეს ეფარა დანისლული მთვარე
და იდგამდა მზის დათალხულ გვირგვინს.

შეაჩერდნენ ჩაღამებულ ზეცას...
და შფოთავდა პატარა თუ დიდი,
შიშის ზარით შეჰყურებდნენ წყვდიადს,
მიწიერი ყველამ იგრძნო ტვირთი.

გადარჩენას ავედრებდნენ ზენას,
– ღმერთო, შენი დაგვიფარე ყმები
და ცოდვები მოგვიტევე ბეჩავთ! –
გაისმოდა განწირულთა ხმები...

იქნებ იყო ხელმეორედ მოსვლა,
მოელოდნენ ცეცხლისმფრქვეველ მახვილს...
და ცრემლებით ლოცულობდა მთებში,
ცისკენ ხელებაპყრობილი ხალხი.



* * *

ამ ხმაურზე გაეღვიძა ბეთქილს
და ბალიში გადასწია როცა,
ვერსად ნახა მანდილი და მძივი...
ის ერჩივნა გასკდომოდა მიწა

და ჯოჯოხეთს ჩანთქმულიყო ცეცხლში,
შეხვედროდა ვიდრე ევას მოდგმას,
მაგრამ ფიქრიც არ აცალა თითქოს
ცივ სარკმლიდან მოვარდნილმა მოთქმამ.

შეშლილივით გამოვარდა გარეთ,
ყველაფერი დაეფარა წყვდიადს,
ხალხს თვალებში ჩასდგომოდა შიში...
– რა მოსვლია წუთისოფელს ტიალს?! –

გაიფიქრა და ახედა ზეცას,
მზერა თითქოს მიუგავდა არწივს,
გაჰყურებდა მზის დათალხულ გვირგვინს
და ქალღმერთი წარმოუდგა თვალწინ.

უსასრულოდ გაგრძელდაო თითქოს,
გაირბინა რამდენიმე წუთმა...
ხელმეორედ გადათენდა ცაზე...
და სამყარომ მოიბრუნა სუნთქვა...

გაოგნებამ გადაფარა ხალხი,
– რა მოხდაო?! – კითხულობდა ყველა,
იქვე მზერადაბინდული მახვში
იდგა მშვიდად – საუკუნისხელა...

– ნულარ შფოთავთ, დაბნელებას მზისას
ვერ დავუშლით ამ სამყაროს მეხრეს,
ბავშვობაში შევსწრებივარ, მახსოვს...
ბნელდებაო ოთხას წელში ერთხელ –

გამახსენდა მამაჩემის თქმული,
ამიტომაც შემეპარა ეჭვი...
მეცხვარეებს გამოჰკითხეთ უკეთ,
რა გამოჩენდა წუხელ ხარის ბეჭში.

* * *

და ბეთქილი ხორცს იგლეჯდა ბოლმით,
თამარს აღარ დარჩებოდა ვალში,
მოჰკითხავდა გადამალულ ნივთებს,
მაგრამ ქალი წასულიყო ბარში.

ვაჟი ველარ შეპყურებდა მზეს და
მიწიერი დასცექეროდა მიწას,
მერე ბრდლვინვით დაიღალა ლომი
და ბუნაგში გულწასული მიწვა.

27

* * *

დაეკარგა მოსვენება ბეთქილს,
არ ეძინა არც დღე, აღარც ღამე...
და ფიქრები დაემსგავსნენ მსტოვრებს
და თქარუნით გული გადაღალეს.

იხსენებდა: ქარვისფერმა ქალმა
მთებში როგორ გამოჰგლიჯა სიკვდილს,
იქნებ ახლა გაუჭირდა თავად
და ჩანჩქერთან გულწასული იცდის.

ან ვინ იცის, არნახული შხამით
ზეიმობდა ბოროტება – გველი
და ქალღმერთი დაკბენილი კლდეზე,
იქნებ ბეთქილს მომაკვდავი ელის?!

* * *

ყვავილებში ჩაძინებულ დალის
თმა შეაჭრეს ავსულებმა იქნებ...
ყორნებივით დასჩაოდნენ თავზე,
ვაუი ველარ იშორებდა ფიქრებს.

ცაზე რატომ ჩამობნელდა მზე და
რად დაფარა ბოროტებამ თალხით?!.
– ჯოჯოხეთის წარვეტაცე ქარებს,
იქნებოდა ალბათ, ჩემზედ ახი!

* * *

და ქალღმერთან გადაწყვიტა წასვლა,
მთებისაკენ გაჰქიცეოდა გული
და ახრჩობდა მზის დედოფლის დარდი
და სხეული სულზე გადაკრული...

მაგრამ მაინც მიდიოდა გზაზე,
იხსენებდა ჩანჩქერებში ტრთობას...
და იმ ღამის უნებლიერ ღალატს
შეეშფოთა ვაუი, დაეთოფა.

და ბეჭედი გაიხსენა ისევ...
ჩანჩქერები ჩაჰკარგავდნენ ალბათ,
უფსკრულების უნაპირო ფსკერზე...
და ლოდები დაამსხვრევდნენ ალმასს.



ნაღალატევს, განრისხებულ დალთან,
ბეთქილს ბეჭდის მოელოდა ბედიც...
სად ილტვოდა გაფრენილი გული,
სად მიჰქროდა სული დანაფეთი?!

როგორ უნდა შეეხედა მზისთვის,
როგორ უნდა შეხვედროდა ქალღმერთს...
შეიძლება წარიტაცოს წყალმა,
ან წამეხარ მუხასავით გახმეს...

და კლდეების ქარიშხალი – სული,
ისევ ძლიერ ლომის სხეულს აყმო
და შეჩერდა არეული ფიქრით...
ისევ სოფლის დაუბრუნდა დაღმართს.

28

* * *

და დღეები შემოდგომის ფოთლებს
დაემსგავსნენ და ჭკნებოდნენ სევდით,
შემოდგომას დაემსგავსა თავად
სახლში კარებჩაკეტილი დენთი.

* * *

და პირველად გამოვიდა გარეთ,
დღესასწაულს ზეიმობდნენ როცა,
შემდეგ უშბის გადათოვლილ მწვერვალს
მონატრების ჩუმი მზერა სტყორცნა...

ბეთქილს ჯიხვის მიაწოდეს ყანწი
და „ლილეოს“ გუგუნებდა ჭერხოც,
თითქოს ღრუბლებს გაატანეს დარდი
და უვლიდნენ უდარდელნი ფერხულს.



უცებ მოსწყდა კლდის მწვერვალებს შუნი
და სისწრაფით წამოვიდა ზვავის,
ფეხებშუა გამოუძვრა ბეთქილს
და ქარივით ჩაიკარგა ლამის.

და სვანებმა თოფზე იკრეს ხელი,
ტყვია-წამლის დატრიალდა სუნი...
იცნო, კლდიდან გაფრენილი ცისკენ
მონადირემ თეთრქათიბა შუნი...

ხალხის მზერა შეაჩერდა ბეთქილს –
მონადირეს, მთელს სვანეთში განთქმულს,
დაეფარა წინათვრდნობა ავი
ვაჟკაცობას გულში ფესვად გადგმულს.

და გაფრენილ ქარაშოტის მსგავსად
ვაჟი მთისკენ გაეკიდა ნადირს,
მზე ღრუბლებში ჩაიმალა ალბათ,
სადღაც გაჰქირა მოკაშკაშე მნათი.

მერე თითქოს თეთრ ვარდების მსგავსი
ცამ დაიწყო უსასრულოდ ბარდნა,
გადათეთრდა, აქათქათდა მთები
და ქვეყანა დაემსგავსა ვარდნარს...

ფრინველივით მიფრინავდა შუნი
და ფარავდა ნაკვალევებს თოვლი,
სულს სადავე აეწყვიტა თითქოს,
ტყვეობით და დარდით გადათქორილს.

და ბეთქილი იფლობოდა თოვლში...
მიაღწია როცა უშბის კალთებს,
ხედავს, შუნი გადაიქცა დალად
და ბრდლვიალა, მზისფერ თვალებს ანთებს.

მაშინ შეკრთა მონადირე, მიხვდა,
რომ ქალლმერთმა შეიტყუა მთებში,
რა მზესავით ანათებდა დალი...
რა ოქროსფრად... მოქათქათე ფერში...

– გამარჯობა, დედოფალო ჩემო,
ოღონდ მალე დამაბრუნე შინ და...
თორემ მალე ჩავიხრჩობი თოვლში,
კარგ ამინდში გეახლები მშვიდად.

– ბეთქილ, რატომ ვერ მისწორებ მზერას,
სპეტაკ ფერში ნაღალატევს ჰგავხარ...
შემომხედე და მითხარი, ვაუო,
რად აჰყევი წუთისოფლის ტალღას.

მოკვდავ ქალში რად გამცვალე, ბეთქილ,
ხომ გიყვარდი... მეც მიყვარდი ისე,
რომ ცხოვრება შემოგწირე სრულად,
ნუთუ ტრფობის არ იყავი ღირსი?!

ნუთუ მოსვლის აღარ გეყო ძალა,
თეთრ ქათიბში ნუთუ ვეღარ მიცან?!
აღარ დაგცდეს: „დედოფალო ჩემო“,
მიწიერო, ჩასაშლელო მიწად!

დამიბრუნე მანდილი და მძივი,
დამიბრუნე ჩემი მკვდარი გული!..
დღეს ამინდი არ იდარებს შენთვის,
სამუდამოდ წყეულიყავ, კრული!

* * *

ზედაპირზე მიდიოდა თოვლის,
ნაკვალევებს არ ტოვებდა ქალი,
მიჰყვებოდა განრისხებულ ქალლმერთს
მონადირე თოვლში გადამქრალი.

— მომიტევე, დედოფალო, დალი,
თამარს ჰქონდეს ჩემი ცოდვა, მაგრამ
მეც შეგცოდე, ვერ დავშორდი მიწას...
დედამიწა დედაა და... რა ვქნა!!!

იმის შემდეგ მკვდარი დამაქვს გული,
რაც დავკარგე მანდილი და ქარვა...
დალის არც კი მოუხედავს უკან...
და ქალლმერთი სითეთრეში გაჰქირდა.

* * *

შეზანზარდა, შემოირღვა მთები,
თითქოს გრგვინვით წამოვიდა მეხი,
უშბის კალთებს დაეკიდა ვაჟი
ცალი ხელით და ნატკენი ფეხით.

და ქარბუქი ამოვარდა მთებში,
გველის კლაკნით და გველივით ცივი
და ებრძოდა განწირული მოყმე
ქარებისა და სიკვდილის წივილს.



29

* * *

რა ამბავი მოიტანა სოფლად
მონადირემ სირბილით და ქშენით,
რომ ქალები იხოკავენ სახეს
და მათ კივილს ვეღარავინ შველის?!

როგორც ერთი, შემართულა ყველა:
ბავშვიც, ქალიც, ერიცა და ბერიც,
მიდიან რომ მიეხმარონ ბეთქილს,
სახეებზე უკრთით თოვლის ფერი.

* * *

კიბეებით, საგებებით ხელში
მისდგომოდნენ უშბის თოვლის კალთას
და ქარბუქი თამარქალის მანდილს
აქროლებდა გადარეულ ქართან.

* * *

შეშლილები შეპყურებდნენ დები,
მწვერვალები ცრემლით გადანამეს,
ვერც ტირილით შეეშველნენ ბეთქილს,
ვერც საგებით მოუხერხეს რამე.

უშბის კალთებს ვეღარ შესწვდა მაღლა
რამდენიმე გადაბმული კიბე...
და თამარი ცრემლიანი შესდგა
ჯოჯოხეთურ უფსკრულების კიდეს:

– ნუღარ წვალობ, მე მომენდე, ბეთქილ,
გადმოხტი და გადაგიშლი მანდილს,
მისით ომიც შეწყვეტილა ბევრჯერ,
შიში ნუ გაქვს ქვევით გადავარდნის.



ბევრი ვაჟი დაუხსნია ამას
და ქარქაში ჩაუგია შუღლი...
შენც დაგიხსნის თუ იმედი შეგრჩა,
თუკი სიკვდილს თვალებს არ დაუხრი!

* * *

შორს, მწვერვალზე ქვითინებდა დალი:
– რაებს ბოდავს გველი, რაებს... ჭრელი!
შებილნული ვის უშველის ნეტავ...
ეჰ, მანდილი ნეტავ იყოს ჩემი.

დაიჭერდა ჩამოვარდნილ ბეთქილს,
უფსკრულიდან ააფრენდა ცისკენ...
და ღალატის შევუნდობდი ცოდვას
და სიცოცხლეს ვაჩუქებდი რძისფერს...

* * *

მონადირე გათოშილი ხელით
უშპის კალთებს ჩამოაწყდა ამ დროს
და ჩაენთქა პირდაღებულ უფსკრულს,
ღრიალი და თოვლი ერთად ათოვს...

ხალხის გმინვა შეერია ფიფქებს,
შორს, უფსკრულში ეშვებოდნენ თოკით,
დიდხანს ძებნეს, ვერსად ნახეს გვამი,
ჩაიკარგა მარცვალივით მდოგვის.

* * *

... და სახლისკენ წაიყვანეს მერე
გულწასული თამარი და დები,
გაისმოდა ქვითინი და მოთქმა,
მოთქმა, როგორც სენი გადამდები...

30

* * *

და გაშორდნენ სალამოჟამს უფსკრულს
და ბუნება დამარტოვდა თითქოს...
მზე გამოჩნდა სითეთრები ცაზე
და სხივებით იხრებოდა მთისკენ.

და ფიფქები დაიცრემლა წვიმად,
მზე ტიროდა, ადნებოდა მყინვარს...
პირის ბანვას რად ეძახის... რატომ...
კაცთა მოდგმა მზის ტირილის ხილვას...

* * *

უფსკრულებში ღაღადებდნენ ქვები,
მონადირეს დაჰფლეთოდა მკერდი,
სალი კლდიდან მოჰკიოდა დალი,
— არ მეგონა, თუ გულს ასე მტკენდი.

არ მეგონა, ვიქცეოდი დელგმად,
არ მეგონა, დავიხოკდი ღანვებს,
ის იმედი მასულდგმულებს, ჩემო,
საიქიოს მხოლოდ შენთან დავწვე.

* * *

აი, უკვე ჩამომექცა ზეცა,
სულში უკვე შემოვიდა მწუხრი,
არა გტკივა, არა გტკივა, ნეტავ,
კლდე-ლრეებში გაგლეჯილი მუხლი.

შენ ხომ ჩემი ნაფეხური კოცნე,
შენ ხომ ჩემით სულდგმულობდი მხოლოდ,
ვიო, მოკვდავში რად გამცვალე, ვაჟო,
რად გამწირე, რატომ დამალონე.

ხომ მოგეცი ცხრა ჯიხვი და არჩვი,
არაფერი დავიშურე შენთვის,
მერე გულიც ხომ მოგეცი, ვაჟო,
მწეხარება ჩემი ზეცას ერთვის.

ვოი, მოკვდავში რად გამცვალე, ბეთქილ,
ვინ მოგპარა ჩემი ქარვის მძივი?!
განმარისხე, შემენირე რატომ,
რატომა გაქვს ბაგეები ცივი!..

შენი გიშრის, ნაფერები თმები
უსაშველოდ ცურავს სისხლის ზღვაში,
რატომ გძლია მიწიერმა ცოდვამ,
რად გამცვალე, რად გამცვალე სხვაში...

* * *

გადაგჩეხე უფსკრულების პირას,
დაგიტირე მერე გაშლილ თმებით,
ვოი, ვო-ო, რა ცივი ხარ, ვაჟო...
ვოი, ვო-ო, გიტირებენ დებიც.

დამწყევლიან, არ იციან, რადგან
წუხილისგან ფიფქივით რომ ვდნები,
ჩემი ცოდვით გადამწვარა ზეცა,
ჩემი ცოდვით გადაფითრდნენ მთებიც.

* * *

ცრემლით ბანდა დასისხლებულ ცხედარს
და ქალლმერთის ოქროსფერი თმები
გადაფითრდა მეთოვლის დარად,
დაელვარა მარგალიტისფერი.



სამი ენთო კელაპტარი იქვე...
აბრეშუმით შეემოსა დალის
მონადირის მწუხრისფერი თმა და
მონადირის დაფლეთილი ტანი.

მთელი ღამე დაიქანცა გლოვით,
– ჩემთვის, დღეო, ვეღარ გათენდები...
და ქალღმერთი ეზვეოდა ბეთქილს
კოჭებამდე მოქათქათე თმებით.

ვოი, ვო-ო, შეგიყვარე რატომ...
ვოი, ვო-ო, სანთლად მენთე რატომ...
ვოი, ვო-ო, განმარისხე რატომ...
ვოი, ვო-ო, შემომაკვდი რატომ!..

ვოი, ვო-ო, გათენდება ოდეს,
ვოი, ვო-ო, ცოდვას დავწვავ მზეში,
ვოი, ვო-ო, ჩავინთქმები მზეში,
ცეცხლს მომართმევს მზე ოქროსფერ პეშვით...

შენ კი დილით გიპოვნიან, ვაჟო,
წაგიყვანენ, დაგიტირებს ყველა,
მერე გულში ჩაგიხუტებს მიწა,
მე კი მზეში ჩავიწვები ხელად...

და ვიქნებით მზე და მიწა ერთად,
მე გაგათბობ ოქროსფერი სხივით,
რომ მოიწევ სიყვარულის ნაყოფს,
შემომწირე უმწიფესი ხილი.




ყვავილებიც შემომწირე, ბეთქილ,
მინდვრის ყვავილს არაფერი მიჯობს...
როგორ მიჭირს განშორება შენი,
ხედავ? უკვე გვათენდება, ბიჭო!..


მზე მთებიდან ამობრწყინდა როცა
და ცეცხლისგან გვირგვინი რომ მოწნა...
საჩუქრებად დაუტოვა დალიმ
მონადირეს განშორების კოცნა...

* * *

მთიდან წვიმა მოდიოდა ცრემლის,
წიფლის ტოტი შეერხიათ ქორებს,
მიდიოდა ის მზისდარი მზისკენ...
ვეძახე და ვეღარ გავაგონე!









ეპილოგი

შინ – ბრონქეულში

თათრი პროზა

მე სინათლე ვარ, შენ – სიბნელე, ვუცდით ერთმანეთს, ველოდებით დაუსაბამოდ. ერთი სული მაქვს, რომ დავბრნელდე და ღამის მხარზე გადაღლილი თვალი მივლულო, ჩემზე ფიქრებით დამეტში გამოკირულო... თუ არ დავბრნელდი, ცოტა ხანი თუ არ დავბრნელდი, სულს ვერ მოვითქვამ და ვერასოდეს შემამჩნევენ სინათლე რომ ვარ.

რა მოთმინება გქონია, რომ თვალებდახუჭულს ძილს არ მიფრთხობ, არ მაღვიძებ ამდენი ხანი და გაბუჟებულ მხარს მინდობილა პატარა თავი... და კიდევ კარგი, უციცქნესი ცხენთა ჭენებით სინამდვილეში არ დარბიან ჭიანჭველები... გულის ერთ შრეში შენს მეორეს ტუჩზე თითს ადებ, უჩუმრად ამბობ: – დაიძინოს, დაღლილი არის.

და მე არ ვიცი, არც მსმენია მისი სახელი, რაც სამყაროში არასოდეს გამოხუნდება... მზერა ჰქვია თუ... იქნებ ჰქვია უფრო ყურება, – ყურით და თვალით, ცხვირით, პირით, სულით ყურება. მთვარეს მოუხმობ და ვარსკვლავებს. ციცინათელებს გამოუშვებ გულის საპყრობილედან, რომ ამ შეხვედრის ბეწვის ხიდის ვიწრო კვეთაზე მაგრძნობინო, სიბნელესაც რომ შესძლებია დიდი სინათლე, თანაც იცი, – თუ გამეღვიძა, მაშინვე წავალ სამზეოში, მიხმობს დედამზე. შენ კი ახლა ზამთარს ეძახი, რომ ფიფქებმა სინათლე შემოგვიმატონ. მე მეღვიძება. ლამპიონების სინათლეზე ვხედავ უამრავ ფიფქის დედოფალს, როგორ ცეკვავენ უმსუბუქეს კაბის შრიალით, მივაყურადებ მათ სიმღერას, რომლის თარგმანი მხოლოდ სულს ესმის.

მორჩა! მივდივარ!.. შენ მთავაზობ არაუნის სალათს, ღომს და ელარჯს, თეთრი თოვლის ბეზეან ნამცხვარს, რძეს და მაწონს, ყველს და ბატიბუტს, თეთრ შოკოლადს – ყველაფერს თეთრებს! ოღონდაც დავრჩე... მცირე ხნით მაინც... ოღონდაც დავრჩე...

მეც მინდა შენთან... მაგრამ არა! უნდა წავიდე! დაჰკრა საათმა... უარის ნიშნად ერთმუჭა თავს როცა გავაქნევ, თეთრ მანტიას შენი ხელით მხრებზე მომაფენ და გაიხედავ გვერდზე, ცრემლი რომ ვერ შევნიშნო... მე არასოდეს დამინახავს სიბნელის ცრემლი... ის კი ვიცი, გული ხედავდა...

... და უკვე დღე ვარ, სინათლე ვარ, ვცოცხლდები მზეში. მზის სითბო გვიყვარს სიგიურდე მე და ვიტრაჟებს. ფიტქინა ეზო სულ სავსეა თეთრი ვარდებით და სიფრიფანა, გამჭვირვალე თეთრი ფარდები დღენიადაგ გაწეული გვაქვს. მზე სულ შინა გვყავს და სხივების მოწნულ კალათით არ გვაკლია მზის გამომცხვარი ოქროსგულა შაქარლამები.

... და შენც ვეღარ ძლებ, ერთი სული გაქვს, მზეში გათენდე და მოძებნო სხივთა ჩრდილებში. პო, გულის ჯიბით დაატარებ ერთციდა თავ-შალს, რომელიც დამრჩა... დამრჩა შენთან, თეთრ შროშანებთან...

და იმ დღის მერე წუთისოფლის ღამეებს ტეხდი და ეს იცოდა მხოლოდ შენმა, ბრძენმა ზარნაშომ... – თეთრო ღამეო! ბუ-უუ!.. ბუ-უუ!.. – შეგეხმიანა კლდის ნაპრალიდან, თავზე ყურების შეირხია ბუმბულის კონა, ფრთა ჩაიქნია და ბუმბულის ნელი შრიალით უხმაუროდ შეერია ულრან სიბნელეს. შენ კი ამ დროს წუთი იხელთე და გამოუსხლტი მიღეულ მთვარეს და გეგონა, ვერ შეგნიშნავდა...

მოსვლისთანავე შემამჩნიე... რადგან ღამე ხარ და გულით მხედავ. აქ კი ჩვენთან დღისით და მზისით აბრიალებულ თვალებითაც ვეღარ მხედავენ... მაგრამ არ ვჩივი... არ ვწუნუებ და აღარც ვდარდობ, შენ ხომ მესტუმრე და მოხვედი... რაც მთავარია...

თითისწერებზე ავინიე და ჩაგეხუტე და შენს მთა-მკერდზე ჩემი ჩიტის თავი მოგადე... ჩემი სურნელი შევიგრძენი შენის მაგიერ და უნებურად თვალიც სურნელს ჯიბისკენ გაჰყვა – გულის ჯიბიდან ანათებდა ციცქანა თავშალი. მე ის ვიცანი და შენს სამოსზე ორი ცხელი ცრემლი ჩაგორდა... ბევრი ჩავყლაპე... შენ კი სულში ჩამხედე და დათვალე ჩემი ცრემლები.

საკმარისია! – მე გითხარი და დავფაცურდი... და გამოგიცხე ტორტი „დღე-ღამე“, სადაც დღე ციცქანა, – ძაფისხელად შეიმჩნეოდა... სამაგიეროდ, არ დავიშურე არც მიხაკი და არც მუსკატი, არც დარიჩინი და ვანილი, ბლომად ყავა და ტონა კავაო, არც უშავესი შოკოლადი და მვიწყებია. გავლუმპე ტორტი შავი მინანქრით, მაყვლის მინდვრები გადავფინე, მოვრთე, მოვკაზმე, მივართვი მოცვი შაქარლამის შავ ბედაურებს... შემოგთავაზე ზეთისხილი, შავი მოცხარი, თეთრი შაქრის ვარსკვლავ-კვინებთან... შავი ღვინოც გამოგიღე ჩემს განჯინიდან და ფანჯარაზე ჩამოვ-

კიდე კოჭებამდე, მუქი ფარდები. თიხა-ვიტრაჟის ვარსკვლავების სანათუ-რიც ჩუმად აგინთე, რომ გეგრძნო თიხაც, ვარსკვლავებიც, დროც და ვიტრაჟიც... და ისიც, – შენთვის დაბნელებაც რომ შემიძლია!..

მაგრამ ისევ დაჰკრა საათმა...

– მეც მინდა შენთან, მაგრამ ახლა უნდა წავიდე... – სამართებლივით ბასრი იყო შენი ჩურჩული... ყვითელნისკარტა, შავმა შაშვმა მზის სხივების ორლობებმდე გამოგაცილა.

მე ვიდექი ზურგშექცეული და ღაპა-ღუპით დავტიროდი უციცქნეს თავშალს, – გულის ჯიბეში ნამყოფს...

შენ კი უკვე ხელისგულების სარკეებში ხედავდი ჩემს თავს, რადგან მუჭები ცრემლით აგევსო... და ლიცლიცებდნენ, გიყურებდნენ ჩემი თვალები ხელისგულების ცრემლის გუბიდან...

და ბედის ხაზებს მიჰყებოდნენ მატარებლები...

მას შემდეგ ვდგავარ და გაცილებ... რა მემართება... ყოველდღე გხე-დავ, რომ გაცილებ და გული მწყდება, რატომ ვიდექი შენთან, მაშინ ზურგშექცეული და უსაშველოდ რომ მიყვარდი, – უნდა მეყვირა!

ფიქრი ფიქრს მიჰყვა, დღე კი ღამეს, ანდა პირიქით... იმდენი წელი დატრიალდა, თვლაც კი მერევა... შენს მოლოდინში გადავძოვე გზა და ბილიკი და დავიღვარე პალიტრაზე ღამის ფერებად...

... და რა იქნება საუკუნის დასასრულისას?! შენ სინათლედ გადაიქცევი და გამანათებ... და მეცხრე ცამდე გეყვარება ისევ აისი... და დაისებში მზესთან ერთად ჩავიწურები... შეხვედრებისას შევერევით ცის პალიტრაზე და ამ ფერებით დახატავენ მერე მხატვრები...

მაგრამ ერთ დღესაც, მოვა მზეზე დიდი სინათლე და ნაწრთობ მარცვლებს შეაგროვებს შინ... – ბრონეულში.





დაიგენტდა:

გამომცემლობა „მერიდიანი“,
თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზ., №47.
 239-15-22
E-mail: meridiani777@gmail.com





Հայոց

Հայոց, հայութ մեջ այս կանաչ,
առայգ հանգիցը և թռ...
Եղբայրութ օճախ եղած
ու վիշտութ միջուն.

Եղբայր առանձ մեր առ ենց—
եղան ու պար եղու...
ու անցութեալ զարդ գումար
և պատճեն պար պատճեն.

Եղբ շաբաթոց, պահ առ յառաջ
առայգ ըստ բար շենց
ու անցութեալ մայր յառաջ,
պահ պատճեն ու մայր 305***...

Կոյզուն անոց Անձուն պահ,
Կոյզուն անոց ո՞ւ ի՞չո՞ւ?
Չոյզուն, անոց յետ անոց կանաչ,
առայգ եւ առայգ ու թռ.

Հայոց



9 789941 340789